საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ნოემბერი **ოთხშაბათი** 2011
№264 (13561) ფასი 80 თეთრი

# არმიამ გაინსროლა



## 82:76

არმია-გოტინგენი. არმიელთა რიგებში საუკეთესო სანდიატა გაინსი იყო

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ექსკლუზიური კომენტარი



2

რომან ფიფია არც იმას მალავს, რომ უკმაყოფილოა და არც იმას, რომ ალექს გარსიას ჯერ კიდევ

## ენდობა

## ველით წერილს

როგორც ადრე, ბავშვობაში: ვის უნდა ჩვენთან თამაში?



2

## ამხანაგური უძახე და...

სამოლოდვე ამოცანები: ახლების გამოცდა, წარუმატებელი სერიის შეწყვეტა, ხასიათის გამოკეთება



VS

## ახლა თასზე

იმერული სუპერმატჩი მთელი საქართველოსთვის

## ტორპედო-ზესტაფონი

თასის 1/4 ფინალის წილისყრა

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# რა არის მთავარი მძიმე ჯგუფამდე და რა იქნებოდა მისწრება ჩვენი ნაკრებისთვის



**საქართველოს ნაკრები 11 ნოემბერს "მიხეილ მესხზე" მოლდოვას ამხანაგურად ეთამაშება, გუშინ კი ეროვნული გუნდის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია ჟურნალისტებს შეხვდა.**

**- მოლდოველებთან მატჩში რაზე გაკეთდება აქცენტი, შემტევ ფეხბურთზე?**

- ჩვენი სურვილია, მოლდოვასთან ყველა ის ფეხბურთელი ვნახოთ, რომელთაც ნაკრებში არ უთამაშიათ ან ნაკლები პრაქტიკა აქვთ. კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტი მოთამაშე გამოვცადოთ, სამზე მეტს რომ შევცვლით, მოლდველებთან ამაზე უკვე შევთანხმდით.

სამწუხაროდ, დაგვაკლდებიან დიმიტრი ტატანაშვილი და ლევან მჭედლიძე, მათ ნაცვლად "ვიტ ჯორჯიას" ნახევარმცველი გიორგი ჯანელიძე და "მეტალურგის" თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე გამოვიძახეთ.

ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, შეხვედრა ამხანაგურია თუ ოფიციალური, ეს ნაკრების მატჩია და მოსაგებად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ფიფას რეიტინგში მდგომარეობა გავიუმჯობესოთ.

ახლა მთავარია, წარუმატებელი სერია შევწყვიტოთ და ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობა გამოვაკეთოთ. მომავალი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ეს აუცილებელია, რადგან კარგად იცით, რა მძიმე ჯგუფში მოვხვდით.

**- სხვა სავარაუდო სპარინგ-მეტოქეზე ხომ არაფერი გარკვეულა?**

- ჯერ სიახლე არაფერია. წერილები ბევრგან გავაგზავნეთ, ვიცით, ვისთან არის თამაში კარგი და ვისთან - არა, მაგრამ ჩვენი დონის გუნდისთვის ამხანაგური მატჩის გამართვა ასე ადვილი არ არის და ჯერ ამ წერილებზე პასუხები არ მიგვიღია. მოლდოვასთან მატჩიც ბოლო მომენტში გადაწყდა.

**- საქართველოს ადრე კვიპროსისა და მალტის ტურნირებზე მაინც იწვევდნენ, ახლა მსგავსი წინადადებებიც არ მიგიღიათ?**

- კვიპროსზე ბევრი მეგობარი მყავს, მათთვის ნათქვამი მაქვს, ორი წელია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ და ერთხელაც არ მიგვიწვიეთ-მეთქი, მაგრამ ასეთი საკითხები მეგობრობით არ კეთდება. ტურნირს ტელევიზია ატარებს და ისეთი ნაკრებების ჩაყვანა სურთ, რომლებითაც ხალხი დაინტერესდება და მოგებას მიიღებენ. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ასეთი ნაკრები არ ვართ. არადა, ასეთი ტურნირები ჩვენთვის მისწრება იქნებოდა, რადგან ორი შემადგენლობით ჩავიდოდით და ბევრ საინტერესო მოთამაშეს გავსინჯავდით.

**- ასეთი ტურნირის საქართველოში ჩატარება შეუძლებელია?**

- შეუძლებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამას დაფინანსება და ტელევიზიების დაინტერესება სჭირდება, მეზობლები მაინც რომ ჩამოიყვანო. შარშან იყო ამაზე მსჯელობა, აზერბაიჯანელებთან გვქონდა მოლაპარაკება, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე საინტერესო ფეხბურთელების გამოცდა გვსურდა, მაგრამ ბოლოს ეს მაინც არ გამოვიდა.

ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ, 16 საათზე "ბასაზე" ივარჯიშა, ქეცბაიას გეგმით, ფეხბურთელები დღესაც იქვე დაიტვირთებიან, მატჩის წინა დღეს, 10 ნოემბერს კი ნაკრები გენერალურ რეპეტიციას "მიხეილ მესხზე" ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**



# ლადო დვალიშვილი: ეს ციკლი ჩემთვის ნარუმატებელი იყო

**საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან ერთად გუშინ "ბასაზე" გამართულ პრესკონფერენციაზე ჰაიფას "მაქაბის" 25 წლის თავდამსხმელი ლადო დვალიშვილიც გამოცხადდა და კითხვებს უპასუხა.**

**- ნაკრები ერთი ფორვარდით თამაშობს და მეტწილად მეწყვილე არ გყავდათ. ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნიდათ?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, როცა მხოლოდ ერთი თავდამსხმელი თამაშობს. თუმცა, მწვრთნელი რასაც დამავალებს, მეც იმას ვასრულებ.

**- მატჩისთვის ფიზიკურად მზად ხართ?**

- დიახ, თავს ნორმალურად ვგრძნობ.

**- საქართველომ მოუგო ხორვატიას, მაგრამ, როდესაც გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა და ლატვიას შევხვდით, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ მოგებისთვის ფსიქოლოგიურად მზად არ იყავით.**

- ფეხბურთიც იმითაა საინტერესო, რომ წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. ხორვატიასთან ერთი მომენტი გვქონდა და გამოვიყენეთ, ლატვიასთან კი ბევრი შანსი მოგვეცა და მაინც წავაგეთ. საერთოდ, ეს ძალიან დასანანი შეხვედრა იყო.

**- გასულ შესარჩევ ციკლში საკუთარ თამაშს, ალბათ, წარუმატებლად მიიჩნევთ.**

- სამწუხაროდ, ასეა - ციკლი ჩემთვის წარუმატებელი იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია



რომან ფიფია (მარცხნივ) და ალექს გარსია

# ყურადსაღები კომენტარი

თბილისის „დინამოში" მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბის ერთგული ქომაგებისათვის დამაფიქრებელზეც მეტი იყო; ერთი შეხედვით, გუნდის სატურნირო მდგომარეობა კატასტროფულად არ უნდა შეფასდეს: 13 ტურის შემდეგ „დინამო:" მეორე ადგილზეა და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება ქუთაისის „ტორპედოს". თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ არსებობს „მეორე ცხრილიც", სადაც რვა საუკეთესო გუნდს მხოლოდ ერთმანეთში დაგროვილი ქულები ერიცხებათ. აი, ამ შემთხვევაში „დინამოს" მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა: ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული გუნდი სამივე კონკურენტს („მეტალურგი", „ტორპედო", „ზესტაფონი") არცთუ მცირე სხვაობით ჩამორჩება. აღარაფერს ვამბობთ იმ მართლაც მოულოდნელ ფაქტზე, რომ საქართველოს თასის გათამაშების რეკორდსმენი (ცხრაგზის გამარჯვებული) გუნდი ამ ტურნირს მერვედფინალში გამოეთიშა. არადა, საქართველოს თასის 21-წლიან ისტორიაში ასეთი რამ მხოლოდ მესამედ მოხდა! ამას ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიასთან" ნათამაშები ფრეც მოჰყვა და კვირას „მცხეთა-პარკზე" ჩატარებულ იმ საინტერესო დაპირისპირებაში, გულახდილად რომ ვთქვათ, ახალგაზრდა „ვეტერინარებმა" თავის ტიტულიან მეტოქესთან შედარებით ბევრად უკეთ ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. არანაკლები აჟიოტაჟი მოჰყვა „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, ესპანელი სპეციალისტის **ალექს გარსიას** სიტყვებსაც, რომელიც „მშვიდ გარემოში მუშაობას ითხოვდა". მოკლედ, შეუიარაღებული თვალითაც კარგად ჩანს, რომ „დინამოში" მართლაც „რაღაც ხდება"; არადა, როგორც ზემოთ (და ადრეც არაერთხელ) აღვნიშნეთ, მოვლენების ასეთ განვითარებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გუნდის სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებს კლუბის მეპატრონისგან ყოველნაირი მხარდაჭერა ჰქონდათ და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სავარჯიშო პირობებსა თუ ფინანსურ უზრუნველყოფაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ყოველივე აქედან გამომდინარე, კლუბის მეპატრონე, წესითა და რიგით, კმაყოფილი ვერ უნდა ყოფილიყო „დინამოს" ბოლოდროინდელი ასპარეზობით და არც იმას დავმალავთ, რომ საფეხბურთო წრეებში ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდის ირგვლივ გარკვეული „საკადრო ჭორებიც" გავრცელდა. სიტუაციაში გასარკვევად საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" მეპატრონეს, ბატონ **რომან ფიფიას** მივმართეთ, რომლის კომენტარსაც გთავაზობთ.

*„ბუნებრივია, რომ ბოლო შეხვედრებში გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგითა და თამაშის ხარისხით, ისე, როგორც „დინამოს" ნებისმიერი გულშემატკივარი, კმაყოფილი ვერც მე ვიქნები. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ნდობას ვუცხადებ ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელ ალექს გარსიას. ჯერ ყველაფერი წინ არის; მნიშვნელოვანი თამაშები გველის და ვიმედოვნებ, რომ ის რესურსი, რაც ჩვენს გუნდს აქვს, ბოლომდე იქნება გამოყენებული. ამას გარდა, იმის იმედიც მაქვს, რომ „დინამო" საქართველოს ჩემპიონატშიც შეძლებს იმ თამაშის ჩვენებას, რაც ამ ზაფხულს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე მოახერხა".*

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერი

# კვირკველია წამოსვლაზეა



ფინანსურმა კრიზისმა საბერძნეთი არია, ხალხი ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო და ეს ყოველივე, ცხადია, ფეხბურთსაც დაეტყო.

საბერძნეთის სუპერლიგის "პანიონიოსის" 31 წლის ქართველი მცველი **დავით კვირკველია** ამბობს, რომ კრიზისის გამო, შესაძლოა, გუნდიც დატოვოს და ქვეყანაც.

*"საბერძნეთში მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, რაც აბსოლუტურად ყველა სფეროსა და ორგანიზაციას დაეტყო. კრიზისმა საფეხბურთო კლუბებიც აზარალა, მათ შორის, "პანიონიოსიც". უკვე მეორე თვეა, ხელმძღვანელობა ხელფასებს ვერ ისტუმრებს და ჯერჯერობით დამაიმედებელიც არაფერი გვესმის. დეკემბრამდე კლუბში დავრჩები, მაგრამ მერე ჩვენს ურთიერთობას გადავხედავ. ასეთ ვითარებაში დარჩენა შეუძლებელია, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ კლუბის შესყიდვა ძლიერ ბიზნესჯგუფს სურს. ამიტომ არ ვჩქარობ, ვითარება გაირკვევა და მეც ამის შესაფერისად მოვიქცევი"* - გვითხრა კვირკველიამ და დასძინა, რომ სხვა ქვეყანაში სიამოვნებით ითამაშებდა, მაგრამ ჯერ კონკრეტული მიწვევა არ ჩანს..

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# ფორტუნას იმერული დერბი უყვარს

გუშინ „მიხეილ მესხის“ საკონფერენციო დარბაზში საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა, რომელმაც ერთი ისეთი წყვილი შეადგინა, რომელიც აუცილებლად მოექცევა ქართული საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში — „ტორპედო“-“ზესტაფონი“. იმერული დერბი თასის გათამაშების მშვენება უნდა გამოდგეს, თუმცა ორივე კლუბის წევრებს, ალბათ, ერჩივნათ, ერთმანეთს უფრო გვიან გადაჰყროდნენ.

წილისყრის დაწყებამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნოდარ კაკულიამ კლუბების წარმომადგენლებსა და მედიას პროცედურის შინაარსი განუმარტა და დამსწრეებს შეახსენა, რომ დებულება ამ ეტაპზე განთესვას აღარ ითვალისწინებს.

ბურთულების ამოსაღებად კლუბების წარმომადგენლები ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში დღეისთვის დაკავებული ადგილების მიხედვით მიინ[illegible] და ინტრიგაც უცებ გაჩნდა. “ტორპედოს” პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ დოლურიდან 3-იანი ამოიღო, “ზესტაფონის” სპორტულმა დირექტორმა მიხეილ ხუციშვილმა – 4-იანი და იმერული დერბიც “მზად იყო.

პირველი მატჩი: 24 ნოემბერი
**ტორპედო–ზესტაფონი**
საპასუხო მატჩი: 7 დეკემბერი

საქართველოს თასის წინა გათამაშების ნახევარფინალი ქართული სეზონის ერთ-ერთი ხმაურიანი მოვლენა იყო. “ტორპედომ” “ზესტაფონს” ორრაუნდიან დაპირისპირებაში სძლია და ფინალში გავიდა, თუმცა მატჩისას, მეტი რომ არ ვთქვათ, უსიამოვნო ამბები დატრიალდა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად გაგრძელდა და ქუთაისელი და ზესტაფონელი ქომაგები შერიგდნენ. მიმდინარე სეზონში ეს გუნდები ერთმანეთს უკვე ორჯერ შეხვდნენ და ორივეჯერ მატჩებმა ნაღდ საფეხბურთო გარემოში ჩაიარა, რაც იმის საფუძვლიან იმედს გვაძლევს, რომ ასევე იქნება სათასო შეხვედრებშიც.

შეგახსენებთ, ზემოთ ნახსენები ნახევარფინალის პირველი მატჩი ქუთაისში “ტორპედომ” **გიორგი მეგრელაძის** გოლით 1:0 მოიგო, ზესტაფონში კი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა.

მიმდინარე ჩემპიონატში კი პრინციპულმა მეტოქეებმა საგარეო მატჩებში იმარჯვეს: ქუთაისში “ზესტაფონმა” 2:1 მოიგო, ხოლო “ტორპედომ” ზესტაფონში – 1:0.

**ლევან ფხაკაძე** (“ტორპედოს” პრეზიდენტი): *“დარწმუნებული ვარ, ეს მატჩები მხოლოდ ქუთაისელი და ზესტაფონელი კი არა, ყველა ქართველი გულშემატკივრის ინტერესს გამოიწვევს. მჯერა, ორივე შეხვედრა დაძაბული და სანახაობრივი იქნება და მაყურებელი ნამდვილი ფეხბურთით ისიამოვნებს”.*

**მიხეილ ხუციშვილი** (“ზესტაფონის” სპორტული დირექტორი): *“იმერული დერბი საქართველოში ყოველთვის გამორჩეული მოვლენაა და გამონაკლისი არც ეს შემთხვევა იქნება. “ზესტაფონისთვის” თასის მოგება ჩემპიონობაზე არანაკლებ პრიორიტეტული ამოცანაა და ამ ეტაპის დასაძლევად ყველაფერს ვილონებთ”.*

პირველი მატჩი: 24 ნოემბერი
**მეტალურგი–ვიტ ჯორჯია**
საპასუხო მატჩი: 7 დეკემბერი

იმერული დერბის შემდეგ ეს ყველაზე საინტერესო წყვილია. “მეტალურგი” ჩემპიონატშიც და თასზეც ფავორიტთა შორისაა, “ვიტ ჯორჯია” კი, იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატში წამყვან ქართულ კლუბებს გვარიანად ჩამორჩა, კონკურენტუნარიან ძალად რჩება.

ძველი ვიტელები – **გრიგოლ ბედიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ლუკა რაზმაძე** და **ლაშა ჯაფარიძე** თავის ყოფილ კლუბს შეებრძოლებიან, რაც წყვილს დამატებით ინტრიგას სძენს.

ამ ჩემპიონატში ეს გუნდები ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს – მცხეთაში რუსთაველებმა 2:0 გაიმარჯვეს.

**კობა ჟორჟიკაშვილი** (“მეტალურგის” მთავარი მწვრთნელი): *“ბანალური ფრაზაა, მაგრამ თასის ამ ეტაპზე იოლი მეტოქე არ არსებობს. “ვიტ ჯორჯიასთან” რთული დაპირისპირებები გველის, მაგრამ ჩვენ თასისთვის ვიბრძვით და ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან გამარჯვებისთვის ვითამაშებთ. “მეტალურგიც” და “ვიტ ჯორჯიაც” თანაბარ მდგომარეობაში არიან, რადგან ორივე გუნდი ხელოვნურ საფარზე თამაშობს და ამ გარემოებასთან ადაპტირებულია”.*

**დავით თავართქილაძე** (“ვიტ ჯორჯიას” სპორტული დირექტორი და პრესსამსახურის უფროსი): *“ბოლო დროს ჩვენმა გუნდმა თამაშის ხარისხი აშკარად გააუმჯობესა, რაც ამ ბარიერის გადალახვის იმედს გვაძლევს. მეტოქე ძლიერი გვყავს, მაგრამ “ვიტ ჯორჯია” მზადაა იმისთვის, რომ “მეტალურგს” ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს და ნახევარფინალისთვის იბრძოლოს”.*

პირველი მატჩი: 24 ნოემბერი
**გაგრა–მერანი**
საპასუხო მატჩი: 7 დეკემბერი

“გაგრა” და “მერანი” ერთმანეთს მხოლოდ უმაღლესი კი არა, პირველი ლიგიდანაც იცნობენ, სადაც წლების განმავლობაში დიდი კონკურენცია ჰქონდათ. საქართველოს თასის მფლობელ გაგრელებს ამჟამად საუკეთესო დროება არ უდგათ, “მერანი” კი პირიქით, აღმავლობის გზაზეა, თუმცა წყვილის გამარჯვებულის „გამოცნობა“ მაინც ძნელი საქმეა.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში თბილისში “გაგრამ” “მერანი” 3:0 დაამარცხა, თუმცა მარტვილელებმა შინ რევანში აიღეს – 1:0.

**მიხეილ აფხაზავა** (“გაგრას” პრესსამსახურის უფროსი): *“გვინდოდა, “მერანს” ან “დილას” შევხვედროდით, შესაბამისად, წილისყრის შედეგით კმაყოფილი ვართ. ცუდია, რომ პირველ მატჩს შინ ვატარებთ, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს”.*

პირველი მატჩი: 24 ნოემბერი
**ბაია–დილა**
საპასუხო მატჩი: 7 დეკემბერი

ფავორიტი არც ამ წყვილს ჰყავს. ჩემპიონატში ზუგდიდელებს უკეთესი პოზიცია უკავიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, “დილამ” გათამაშებიდან “დინამოს” გამოთიშვით სათასო გუნდის იმიჯი შეიქმნა.

პირველი მეოთხედფინალური მატჩები პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე 24 ნოემბერს გაიმართება, განმეორებითები კი ორი კვირის შემდეგ, 7 დეკემბერს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლეგიონერი



# მეკარემ გადასვლა გამოსვლასავით გათვალა

## ნუკრი რევიშვილი: ანჟიში შანსი არ მქონდა

**“ლელო” უკვე წერდა, რომ მახაჩყალის “ანჟისა” და საქართველოს ნაკრების 24 წლის მეკარე ნუკრი რევიშვილი “კრასნოდარში” გადავიდა. დაღესტნელთა გენერალურმა დირექტორმა გერმან ჩისტიაკოვმა “სპორტ-ექსპრესთან” ინტერვიუში თქვა, რომ რევიშვილს ახალ კონტრაქტს და გაორმაგებულ ხელფასს სთავაზობდნენ, მაგრამ დარჩენა იუარაო.**

*“რევიშვილმა თავისი გზა აირჩია, რისი სრული უფლებაც ჰქონდა – კლუბთან მოქმედი [illegible]ონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრ[illegible]აფრისთვის, რაც “ანჟისთვი[illegible]ჰია, მადლიერები ვართ და წარმ[illegible] კარიერას ვუსურვებთ. თუმცა გვაოცებს ის, რომ რევიშვილის გადაწყვეტილების შესახებ ნუკრის ახალი კლუბისგან შევიტყვეთ და არა თავად მისგან. მაგრამ “ანჟის” მეკარის საკითხი არ აღელვებს, რადგან რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ვლადიმირ გაბულოვი შევიძინეთ”,* – განაცხადა ჩისტიაკოვმა.

ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ჩამოსულ რევიშვილს გუშინ ველაპარაკეთ.

**- ჩისტიაკოვის ინტერვიუში გალიზიანება იგრძნობდა. ერთი ვერ გავიგეთ, გაბულოვი იმიტომ ჩაიყვანეს „ანჟიში“, რომ შენ გადახვედი “კრასნოდარში”, თუ მისმა ყიდვამ გადაგადგმევინა ეს ნაბიჯი?**

- ჯერ მე გავაფორმე “კრასნოდართან” კონტრაქტი, მერე კი ორი რუსი მეკარე მოიყვანეს. მე ხომ მანამდე ვიცოდი, რომ მომავალი წლიდან რუსეთის პრემიერლიგაში ახალი დებულება ამოქმედდება და ლეგიონერებზე ლიმიტის გამო „ანჟიში“ უშანსოდ ვრჩებოდი.

**- ლეგიონერების ნაკლებობა არც “კრასნოდარშია”.**

- “ანჟიში” უფრო ბევრი ლეგიონერია, “კრანსოდარში” კი მეტი რუსი ჰყავთ და თამაშის მეტი შანსიც მექნება.

**- ანუ ეს იძულებითი ნაბიჯი იყო.**

- ფაქტობრივად, ასეა, თანაც, “ანჟიში” დარჩენის საფასურად გაორმაგებულ ხელფასს მპირდებოდნენ, მაგრამ მხოლოდ ხელფასის აღება და უთამაშებლობა ჩემთვის მიუღებელია, უნამუსობაც კი გამოდიოდა. მე თამაში მინდა და არა მხოლოდ კარგი ხელფასი, რადგან, უპირველესად, ნაკრების ფაქტორს ვითვალისწინებდი - ეროვნულ გუნდს უთამაშებელი მეკარე არ სჭირდება. სხვათა შორის, სხვა ვარიანტებიც მქონდა.

**- მათ შორის, კიევის “დინამოც”.**

- შესაძლოა, ამაზე კლუბები ლაპარაკობდნენ, პირადად მე კი არავინ დამკავშირებია. მოკლედ, ახლა “კრასნოდარი” ვამჯობინე და გამართლებული იყო თუ არა ჩემი ნაბიჯი, დრო გამოაჩენს.

**- ევროპული კლუბებიდან წინადადება არ გქონია?**

- არანაირი, თორემ ძლიერ ევროპულ ლიგაში ძალების მოსინჯვა ჩემი ოცნებაა.

■ ■ ■

ჩისტიაკოვმა კიდევ ერთხელ წამოატივტივა ნუკრი რევიშვილის მენეჯერის, რუსეთში მომუშავე **მამუკა ჯულელის** თემა. ჩისტიაკოვი ამბობს, საქმეში ჯულელიც ჩაერია, მაგრამ, რევიშვილისთვის ხელფასის გაორმაგების პარალელურად, მისთვის თანხის გადახდა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთო. შეგახსენებთ, რომ ახლახან “სპორტ-ექსპრესი” ამტკიცებდა, საქართველოს ნაკრების მეკარის “კრასნოდარში” გადასვლით ჯულელმა ნახევარი მილიონი ევრო მოიგოო.

რევიშვილს ამის თაობაზეც ვთხოვეთ კომენტარი:

- საიდან იციან, ჯულელი ნახევარ მილიონს იღებს, მილიონს თუ საერთოდ არაფერს. აქ მთავარი ისაა, რომ ეს არასწორი ინფორმაციაა. საერთოდ, ბოლო დროს ჯულელს ძალიან უკირკიტებენ. მსგავსი ინფორმაცია სხვა ტრანსფერებზე არ გამოუქვეყნებიათ და ვერ გავიგე, მამუკას რას ერჩიან?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



## თემურ შონია

# ჩვენი პრობლემა უფრო უიღბლობაა

### სპარტაკი აჯანყებისთვის ემზადება

ცხინვალის"სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად ვლადიმერ ხაჩიძის დანიშვნის შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა. 8 ქულა 8 ტურში - ასეთია "სპარტაკის" მონაგარი მისი ხელმძღვანელობით. ცხინვალელთა მიზანი უმაღლესის მოწინავე 8 გუნდს შორის მოხვედრაა და საამისო შანსი ჯერ კიდევ აქვთ. თუმცა ბოლო ორ ტურში განცდილი მარცხით სპარტაკელთა სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

"სპარტაკის" კაპიტან თემურ შონიას განვლილ და მომავალ მატჩებზე, გუნდის მიზნებზე, შანსებსა და სხვა თემებზე ვესაუბრეთ.

**- "მერანთან" ჩატარებული მატჩით დავიწყოთ, სადაც დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდით.**

- რაღა თქმა უნდა, ამ მატჩში მიზნად მხოლოდ გამარჯვებას ვისახავდით. კარგადაც დავიწყეთ თამაში, ანგარიშის გახსნის შანსიც გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, დავისაჯეთ და აქეთ მივიღეთ გოლი. პირველი გოლის ფაქტორი ქართული გუნდებისთვის მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმაა. მიუხედავად ამისა, მობილიზება შევძელით და ანგარიში პირველივე ტაიმში გავათანაბრეთ. მეტიც, შესვენებამდე დაწინაურებაც შევძელით, მაგრამ... სამწუხაროდ, მეორე ტაიმში მოვლენები ჩვენთვის არასასურველად წარიმართა.

**- "სპარტაკს" ურიგო შემტევები არ ჰყავს, მაგრამ ბევრი გოლი ვერ გააქვს. ამის მიზეზი რა არის?**

- შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩვენი გუნდი ნამდვილად არ არის იმის ღირსი, რომ ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყოს. საგოლე მომენტებს მართლაც ბევრს ვქმნით და ვფიქრობ, გამტანის პრობლემაც არ უნდა გვქონდეს. გუნდში გვყავს ზვიად მეტრეველი, რეზო ჯიქია, კობა შალამბერიძე და სხვები, რომელთაც სხვა გუნდებშიც დაუმტკიცებიათ შესაძლებლობები...

ჩემი აზრით, უიღბლობასთან გვაქვს საქმე და არა გამტანის პრობლემასთან. ამას გადაღლაც დაემატა, რომელიც მოკლე პერიოდში მიყოლებით ჩატარებულმა თამაშებმა განაპირობა.

**- შუა სექტემბერში "სპარტაკს" მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. საინტერესოა გუნდის კაპიტნის აზრი, მწვრთნელის შეცვლით რა შეიცვალა გუნდში?**

- ვლადიმერ ხაჩიძე გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელია. სხვა რომ არაფერი, ერთ-ერთია ქართველ სპეციალისტებს შორის, რომელთაც ყველაზე მაღალი ხარისხის, PrO კატეგორიის ლიცენზია აქვს. მან "სპარტაკი" უკეთესობისკენ შეცვალა. ახლა უფრო გამართულად, სწორად ვთამაშობთ და ეს შედეგზეც აისახა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო გუნდმა ამ სეზონში პირველად და დღეისთვის ჩვენს აქტივში ორი გამარჯვებაა. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ყველა ახალ მწვრთნელს და მათ შორის ხაჩიძესაც დრო სჭირდება საიმისოდ, რათა უფრო გამართულად და შედეგიანად ვითამაშოთ. მჯერა ჩვენი მწვრთნელისა და თანაგუნდელებისა და იმედი მაქვს, მოწინავე რვა გუნდს შორის მოვხვდებით. "სპარტაკი" თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე წინ ცხრა ტურია.

**- ამ მიზნისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა, ყველა გუნდს სათანადოდ ვაფასებთ, მაგრამ ჩვენს უშუალო კონკურენტებად "დილას", "გაგრასა" და "კოლხეთს" მივიჩნევ. ისიც გამოჩნდა, რომ "სიონი" კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა. მოკლედ, უმნიშვნელოვანესი შეხვედრები გველის და თითოეული ქულის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა დაგვჭირდება.

**- ბოლოს სანაკრებო თემასაც შევეხოთ. ახალგაზრდულ ნაკრებში შარშან სისტემატურად იყავით გამოძახებულთა შორის, წლეულს კი არც ყოფილ და არც ახალ მწვრთნელს არ გამოუძახიხართ. ამას რით ახსნით?**

- მარტში მენისკის ოპერაცია გავიკეთე, რის გამოც სამ თვეზე მეტი გამიცდა. რეაბილიტაციის პერიოდში ტრავმამ შემახსენა თავი და "სპარტაკშიც" არ ვთამაშობდი. სექტემბერში "მერანთან" გასვლით მატჩში კიდევ დავშავდი და გარკვეული პერიოდი გამიცდა. ახლა უკვე მწყობრში ვარ და ოპტიმალურ ფორმაშიც მალე ვიქნები.

ნაკრების შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის კომპეტენციაა და ამაში ვერავინ ჩაერევა. ჩემი ვალია, კლუბში ნაკრებისთვისაც სათანადოდ მოვემზადო და ამისთვისაც ვშრომობ. მართალია, ბოლო დროს ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ მითამაშია, მაგრამ გუნდის შეხვედრები ვნახე და იმედი მაქვს, შედეგებს გავაუმჯობესებთ.

ლევან ჯანეზაშვილი

## პირველი ლიგა, XII ტური

### ა ზონა

**ჩხერიმელა-სამტრედია 1:1**

05. 11. ხარაგაული. „სოსო აბაშიძე". 200 მაყურებელი

0:1 რ. ნინუა (27), 1:1 გ. ბოხუა (40)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ი. გვეტაძე, ლ. მახარაძე, გ. ჭაავა, ი. ჭანკვეტაძე, გ. თურმანიძე, გ. გოგიჩაიშვილი, გ ზაქარაშვილი (36. გ. ბოხუა), დ. კოსტავა, გ. ივანაშვილი (68. დ. ბერუაშვილი), ბ. ახალაია

*სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ი. გვარჯალაძე, ჯ. არევაძე, ა. ქამაკაშვილი*

*მწვრთნელი: მ. ხუნდაძე*

სამტრედია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, ლ. სუთიძე, შ. კერძევაძე, გ. რუხაძე, რ. ნინუა, ი. ხვადაგიანი (68. ს. მიქაძე), ტ. რუხაია (54. პ. შათირიშვილი)

სათადარიგოები: კ. ღალანიძე, ვ. ლეკვეიშვილი, ბ. ახობაძე, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: გ. ბენდელიანი

გაფრთხილება: ი. გვეტაძე; დ. ჩხიკვაძე

არბიტრი: შ. ქუხილავა

**მესხეთი-კოლხეთი 1:1**

05. 11. ახალციხე. „მიხეილ იაძე". 200 მაყურებელი

0:1 გ. ლომაია (50), 1:1 დ. ხანიშვილი (85, პენალტით)

*53-ე წუთზე დ. ლეკიშვილმა („მესხეთი") ვერ გამოიყენა პენალტი.*

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, ლ. სარალიძე (55. ი. მურადაშვილი), დ. ხანიშვილი, დ. ლეკიშვილი, მ. მურმანიშვილი, ზ. ბარძიმაძე, კ. ხანიშვილი, ზ. სუდაძე, დ. ტლაშაძე, გ. წინამძღვრიშვილი (48. ო. დარჩია), ი. ცნობილაძე

*სათადარიგოები: მ. ლეკიშვილი, გ. ქურდაძე, მ. მელაძე, გ. მურადაშვილი, გ. გევორქიანი*

მწვრთნელი: პ. გოგოლაძე

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია (56. პ. გაბრავა), ო. ფიფია, გ. ლომაია, ლ. გოგენია, ც. ბუკია, კ. ალანია, ლ. ჩაჩიბაია, ი. კუტალია (46. ვ. ფირცხელავა), ი. გერგაია, პ. ბაკარანძე (46. მ. ჭკადუა)

*სათადარიგოები: გ. ხუნჭუა*

*მწვრთნელი: კ. ხურცილავა*

გაფრთხილება: ლ. სარალიძე; ზ. გელაშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**დინამო (ბთ)-სტუ 2:0**

05. 11. ბათუმი. „ადელი". 300 მაყურებელი

1:0, 2:0 მ. ჯორბენაძე (69, 79)

დინამო: შ. მამინაშვილი, ვ. ქორიძე, კ. მაკარიანი, ნ. ხუხია, მ. ფარტენაძე, დ. მალაზონია (54. ნ. დიასამიძე), ი. ცანავა (64. ნ. ნასუაშვილი), ა. მუჯირი, გ. გოგიტიძე, თ. ბერიძე (64. დ. სამსეიშვილი), მ. ჯორბენაძე

*სათადარიგოები: ვ. თევდორაძე, ა. ბაციკაძე, მ. ჟვანია, თ. კაკალაძე*

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

სტუ: ა. აბულაძე, გ. კვახაძე, ა. ლალაძე (76. ჯ. კოლუა), ლ. თვალავაძე, ნ. მაღრაძე, ნ. ბიწკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (73. ა. ლეჟავა), ლ. ციკოლია, ლ. ჯიქიძე, ა. ბაგაშვილი, გ. ჯიშკარიანი (73. ლ. საბაძე)

*სათადარიგო: ზ. ჭავჭავაძე*

*მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი*

გაფრთხილება: გ. გოგიტიძე, მ. ჯორბენაძე, დ. სამსეიშვილი, ნ. დიასამიძე; გ. ჯიშკარიანი

არბიტრი: ხ. გაგნიძე

**მეშახტე-ჭიათურა 0:1**

05. 11. ტყიბული. „ვლადიმერ ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 მ. კოპალიანი (6, საკუთარ კარში)

მეშახტე: დ. ოდიშარია, ზ. ენდელაძე, ნ. ხარაბაძე, მ. კოპალიანი, კ. ხუჯაძე (52. გ. ხეცურიანი), ი. ლიბრაძე, ა. მეტონიძე, ვ. ჭრელაშვილი, გ. უგლავა, დ. კუტალია, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, ბ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი, ე. ცნობილაძე*

*მწვრთნელი: დ. რუხაძე*

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ქურდაძე (74. გ. ვაშაძე), ი. ტყებუჩავა, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე, გ. ქირია, დ. ქირია, ნ. ნოზაძე (64. ლ. ბარათაშვილი), ნ. სტეფანიშვილი, ზ. ხაჭიპერაძე, დ. სევასტოპულო

*სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ლ. მაჩაიძე, გ. ცხადაძე, ს. გაბაძე, ა. ბაბლიძე*

*მწვრთნელი: მ. კიპაროიძე*

გაფრთხილება: ი. ლიბრაძე; გ. ბადურაშვილი, დ. ქირია, ზ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 12 | 9 | 2 | 1 | 18-6 | 29 |
| 2. მერცხალი | 12 | 8 | 2 | 2 | 18-11 | 26 |
| 3. ჭიათურა | 12 | 7 | 3 | 2 | 18-9 | 24 |
| 4. ჩხერიმელა | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| 5. სტუ. | 11 | 5 | 2 | 4 | 20-20 | 17 |
| 6. მესხეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-12 | 14 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 12 | 2 | 4 | 6 | 9-14 | 10 |
| 8. მეშახტე | 12 | 2 | 3 | 7 | 11-16 | 9 |
| 9. ლოკომოტივი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| 10. სამტრედია | 11 | 0 | 4 | 7 | 6-18 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გიგა ბოხუა („ჩხერიმელა") | 7 |
| ირაკლი ცნობილაძე („მესხეთი") | 6 |
| ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ) | 5 |
| ლევან ჯიქიძე (სტუ) | 5 |
| გიორგი ქირია (ჭიათურა) | 5 |
| დაჩი კოსტავა (ჩხერიმელა) | 5 |
| მიხეილ ჯორბენაძე (დინამო) | 5 |

**9 ნოემბერი**

**გადატანილი მატჩი**

ლოკომოტივი-სტუ

**მომდევნო ტური**

**13 ნოემბერი**

მეშახტე (ტყიბული)-დინამო (ბათუმი)
კოლხეთი (ხობი)-მერცხალი (ოზურგეთი)
ჭიათურა-მესხეთი (ახალციხე)
ლოკომოტივი (თბ.)-ჩხერიმელა (ხარაგაული)
სამტრედია-სტუ (თბილისი)

### ბ ზონა

**იმერეთი-აეტი 5:0**

06. 11. ხონი. „ცენტრალური". 300 მაყურებელი

1:0 იაკობ დეისაძე (23), 2:0 გ. გოდერიძე (25), 3:0 ბ. ჩხეტიანი (45, პენალტით), 4:0 ლ. გაჩეჩილაძე (58), 5:0 რ. კაშია (88)

*64-ე წუთზე დ. ლობჟანიძემ (აეტი) ვერ გამოიყენა პენალტი*

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, ბ. ჩხეტიანი (72. ნ. ჩაჩიბაია), იაკობ დეისაძე (58. დ. გოდერიძე), ნ. ჩიხლაძე (58. გ. გენძეხაძე)

*სათადარიგოები: დ. ხაბურზანია, ე. რუხაძე, დ. სულაბერიძე, გ. ნიქაბაძე*

*მწვრთნელი: დ. ჭელიძე*

აეტი: ზ. ჭიჭინაძე, მ. კორსანტია (46. გ. ბაკურაძე), ლ. ბიწაძე, თ. მეტრეველი, გ. ბაგალიშვილი, ს. ხაჟალია (84. გ. სოსელია), დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია, პ. კვიკვინია, გ. ჯაჭვლიანი, გ. მარგიანი

*სათადარიგო: ლ. ეზიეშვილი*

გაფრთხილება: იაკობ დეისაძე, გ. გენძეხაძე; მ. კორსანტია, ლ. ბიწაძე, გ. ბაგალიშვილი, გ. ბაკურაძე

გაძევება: გ. ბაკურაძე

**სქური-ჩიხურა 0:2**

06. 11. წალენჯიხა. „საშა კვარაცხელია". 250 მაყურებელი

0:1 გ. სილაგავა (77), 0:2 ნ. გუშარაშვილი (80)

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია (79. დ. რაფავა), შ. გაბუნია, ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი

*სათადარიგოები: გ. კვირკვია, კ. გაბელია, ა. სოხინი, ზ. ლარიბაშვილი, ზ. გახარია, ზ. მოლაშხია*

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჭელიძე, ნ. გუშარაშვილი, ჯ. ბერიანიძე, ე. ზივზივაძე, ი. ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე, ლ. ნოზაძე, გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე, თ. მუმლაძე

*სათადარიგოები: ზ. მწყერაშვილი, ა. ივანიშვილი, გ. ქიმაძე, ი. ლილუაშვილი, გ. ცარციძე*

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

გაფრთხილება: ნ. ჯოლოგუა, ლ. ბოჯგუა; თ. მუმლაძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

**ზოოვეტი-სამგურალი 2:1**

06. 11. სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 ბ. ხაჭიპერაძე (1, საკუთარ კარში), 1:1 გ. გელენიძე (29), 2:1 ლ. ჯოხაძე (83)

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, ლ. გალეგაშვილი (74. თ. ჯიმშელეიშვილი), ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, შ. ფარულავა, თ. მოსიაშვილი, ი. ჯოჯიშვილი (46. უ. მამულაშვილი), გ. კუხალაშვილი (46. მ. მახათაძე), ბ. ბარბაქაძე, ზ. ტიელიძე, ლ. ჯოხაძე

*სათადარიგოები: ს. ლორთქიფანიძე, ბ. მამარდაშვილი, მ. ბაბაიანი, ლ. ლობჟანიძე*

*მწვრთნელი: ე გუგუშვილი*

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, ზ. ჩიხლაძე, ზ. სალინაძე (66. ნ. უგრეხელიძე), ი. შალიკაშვილი, ხ. უგრეხელიძე, გ. გელენიძე (55. გ. გრძელიძე), გ. გორგოძე (55. ლ. ცხადაძე), თ. შეყრილაძე, გ. ბუხაიძე

*სათადარიგოები: გ. ჩიხლაძე, რ. ჩიხლაძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ნავერიანი*

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: ბ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: ა. გუნთაძე

**ნორჩი დინამოელი-გურია 0:2**

06. 11. სპორტკომპლექსი „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 ი. კილაძე (49), 0:2 იაგო დეისაძე (64)

ნ. დინამოელი: ა. ნონოსი, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, გ. ბერიშვილი, გ. ქვარაია, ა. შენგელია, ბ. შუბითიძე (60. ი. ჩახვაშვილი), ი. ქავთარაძე, ლ. ლაბარტყავა (72. ზ. ქარდავა), ვ. ჭანტურიშვილი (67. ზ. ძაგანია), გ. ჩუბინიძე

*სათადარიგოები: ლ. მაჭავარიანი, გ. თანიაშვილი, ა. ღვთისავრიშვილი*

*მწვრთნელი: რ. ბარამიძე*

გურია: დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, ზ. რაზმაძე (83. გ. შეწირული), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, ტ. კუკულაძე (74. გ. კვიტაიშვილი) იაგო დეისაძე (85. ლ. რუსიეშვილი), ი. კილაძე, გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგო: მ. გოგუაძე*

*მწვრთნელი: გ. იმნაძე*

გაფრთხილება: გ. ჩუბინიძე, გ. ბერიშვილი; გ. მელქაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**სულორი-ადელი 2:0**

06. 11. ვანი. „გრიგოლ ნიკოლაიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 გ. ნიკოლეიშვილი (44), 2:0 თ. მაღლაკელიძე (57)

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ბ. ნიკოლეიშვილი (46. ბ. დვალიშვილი), ა. როხვაძე, თ. ძაგნიძე, თ. მაღლაკელიძე (79. გ. ბრეგვაძე), გ. ნიკოლეიშვილი, მ. ნაფეტვარიძე (59. ნ. გიორგაძე), ბ. ბელქანია

სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, ნ. ბრეგვაძე, მ. დვალიშვილი, კ. კვიმსაძე

მწვრთნელი: მ. კორძაძე

ადელი: გ. რომანაძე, ი. ჰაადი, გ. ზოიძე, ს. მამისეიშვილი (79. თ. გიორგაძე), ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი, ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია (79. დ. უნგიაძე), ნ. დავითაძე, გ. სირაბიძე (46. ი. ლოლობერიძე)

სათადარიგო: გ. თურმანიძე

გაფრთხილება: გ. სირაბიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 12 | 11 | 1 | 0 | 30-2 | 34 |
| 2. გურია | 12 | 9 | 2 | 1 | 32-8 | 29 |
| 3. ნ.დინამოელი | 12 | 6 | 1 | 5 | 22-13 | 19 |
| 4. იმერეთი | 12 | 6 | 1 | 5 | 20-16 | 19 |
| 5. ზოოვეტი | 12 | 6 | 1 | 5 | 15-21 | 19 |
| 6. სქური | 12 | 5 | 2 | 5 | 16-17 | 17 |
| 7. სამგურალი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-12 | 16 |
| 8. სულორი | 12 | 2 | 2 | 8 | 5-27 | 8 |
| 9. ადელი | 12 | 2 | 1 | 9 | 10-24 | 7 |
| 10. აეტი | 12 | 1 | 1 | 10 | 5-50 | [illegible] |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| იაგო დეისაძე (გურია) | 14 |
| თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა) | 10 |
| გიგა კვერენჩხილაძე (გურია) | 6 |
| ზურაბ ძაგანია (ნ. დინამოელი) | 6 |
| ნიკოლოზ ჩიხლაძე (იმერეთი) | 6 |
| გელა ჭკუასელი (სქური) | 6 |
| გიორგი ბუხაიძე (სამგურალი) | 6 |

**მომდევნო ტური**

**12 ნოემბერი**

ნ./დინამოელი (თბ)-იმერეთი (ხონი)
გურია (ლანჩხუთი)-სულორი (ვანი)
ადელი (ბათუმი)-ზოოვეტი (თბ)
სამგურალი (წყალტ)-სქური (წალენჯ.)
ჩიხურა (საჩხერე)-აეტი (სოხუმი)

## II ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**IX ტური**

| | |
|---|---|
| ივერია (ხაშური)-იუსი ბესტი (თბ.) | 1:3 |
| 35-ე სკოლა (თბილისი)-ლაგოდეხი | 2:0 |
| ალგეთი (მარნეული)-აბული (ახალქ.) | 1:0 |
| ლიახვი (აჩაბეთი)-დუშეთი | 2:1 |
| სასკო (თბილისი)-იბერია (თბილისი) | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 9 | 7 | 1 | 1 | 25-6 | 22 |
| 2. 35-ე სკოლა | 9 | 5 | 1 | 3 | 19-17 | 16 |
| 3. იუსი ბესტი | 9 | 4 | 4 | 1 | 16-9 | 16 |
| 4. ივერია | 9 | 4 | 2 | 3 | 22-12 | 14 |
| 5. ლიახვი | 9 | 4 | 2 | 3 | 23-22 | 14 |
| 6. აბული | 9 | 4 | 1 | 4 | 11-14 | 13 |
| 7. დუშეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-13 | 12 |
| 8. იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 16-24 | 7 |
| 9. ალგეთი | 9 | 2 | 1 | 6 | 3-16 | 7 |
| 10. ლაგოდეხი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-21 | 5 |

### დასავლეთი ზონა

**X ტური**

| | |
|---|---|
| ენგური (ჯვარი) – ჩიხურა-2 (საჩხერე) | 1:5 |
| შუქურა (ქობულ.)-მარგვეთი 2006 (ზესტ.) | 3:1 |
| გურია-2 (ლანჩხ.)-სპორტსკოლა (ჩხორ.) | 2:3 |
| მართვე (ქუთაისი)-ეგრისი (სენაკი) | 5:1 |
| მაჭახელა (ხელვაჩაური)-დინამო-2 (ბთ) | 3:1 |
| ბახმარო (ჩოხატ.)-საირმე (ბაღდათი) | 2:1 |
| აბაშა – სქური-2 (წალენჯიხა) | 2:0 |
| ჭიათურა-2 – ბეთლემი (ძეღა) | 0:2 |

| | თ | ს | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა-2 | 10 | 7 | 1 | 2 | 35-12 | 22 |
| 2. შუქურა | 10 | 7 | 1 | 2 | 23-11 | 22 |
| 3. მართვე | 10 | 6 | 2 | 2 | 18-9 | 20 |
| 4. მაჭახელა | 10 | 6 | 1 | 3 | 20-16 | 19 |
| 5. საირმე | 10 | 5 | 4 | 1 | 18-11 | 19 |
| 6. ბეთლემი | 10 | 5 | 2 | 3 | 18-9 | 17 |
| 7. მარგვეთი-2006 | 9 | 5 | 1 | 3 | 29-18 | 16 |
| 8. გურია-2 | 10 | 4 | 4 | 2 | 15-11 | 16 |
| 9. ბახმარო | 10 | 4 | 4 | 2 | 14-11 | 16 |
| 10. აბაშა | 10 | 4 | 1 | 5 | 15-16 | 13 |
| 11. სპორტსკოლა | 10 | 4 | 1 | 5 | 13-26 | 13 |
| 12. დინამო-2 | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 13. სქური-2 | 10 | 2 | 2 | 6 | 10-17 | 8 |
| 14. ეგრისი | 10 | 2 | 1 | 7 | 11-33 | 7 |
| 15. ჭიათურა-2 | 10 | 1 | 1 | 8 | 6-21 | 4 |
| 16. ენგური | 10 | 0 | 0 | 10 | 14-34 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# კაპელო რასიზმს ვერ ხედავს



აკი მოგახსენეთ, რომ ლონდონის პოლიციამ ინგლისის ნაკრების იტალიელ თავკაც **ფაბიო კაპელოს** სთხოვა მისი კაპიტნის, 30 წლის **ჯონ ტერის** ამბავთან დაკავშირებით თავისი აზრი არ გამოეთქვა, მაგრამ „მილანის“, „რეალის“, „რომას“ და „იუვენტუსის“ ყოფილმა თავკაცმა სამართალდამცავების გაფრთხილება ყურად არ იღო და განაცხადა, რომ ინგლისელთა ეროვნული გუნდის ბანაკში რასიზმის შემთხვევა არასდროს ჰქონია. კაპელომ თქვა:

*„რაც მე ინგლისის ნაკრების სათავეში ვარ, რასიზმის შესახებ არც მსმენია, ასეთი რამ არც მინახავს და არც გადმოცემით გამიგია ვინმეს ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს. ფეხბურთელებს შორის რასობრივი შეუწყნარებლობის პრობლემა არ არსებობს“.*

როგორც იცით, მიუხედავად იმისა, რომ ტერის ბრალად „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 26 წლის მცველის, **ანტონ ფერდინანდის** შეურაცხყოფა ედება, კაპელომ „ჩელსის“ ვეტერანი შეკრებაზე გამოძახებულთა 25-კაციან სიაში შეიყვანა. ტაბლოიდებისთვის ცნობილი გახდა, რომ იტალიელმა ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის ლიდერებთან თათბირის შემდეგ მიიღო. კერძოდ, მას რჩევა მისცეს სამენეჯერო საქმის დირექტორმა **ადრიან ბევინგტონმა**, მდივანმა **ალექს ჰორნმა**, ფეხბურთის განვითარების დირექტორმა **ტრევორ ბრუკინგმა** და თავმჯდომარე **დევიდ ბერნსტეინმა**. კაპელომ თქვა:

*„დღეს ყველა ჯონ ტერიზე ლაპარაკობს. მის შესახებ ჩვენც ბევრი ვიმსჯელეთ. მე მისი კლუბის მწვრთნელ ანდრე ვილაშ-ბოაშსაც დავუკავშირდი და ვკითხე, აპირებდა თუ არა ის ტერის „ბლექბერნთან“ გამოყვანას. მან მითხრა, რომ აპირებდა. ფედერაციის ხელმძღვანელებთან მსჯელობისას მეც ვთქვი, რომ ტერისთან დაკავშირებით პრობლემას ვერ ვხედავდი. რასაკვირველია, ყველას ძალიან გვაინტერესებს, რა შედეგით დასრულდება ფეხბურთის ასოციაციისა და პოლიციის გამოძიება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სანამ კაცს ბრალს არ დაუმტკიცებ, ის უდანაშაულოა“.*

და მაინც, იტალიელი მწვრთნელისა და ასოციაციის ერთობლივი გეგმის თანახმად, ტერის მოახლოებული ორი ამხანაგური თამაშიდან (ესპანეთსა და შვეიცარიასთან) პირველში არ უნდა ეთამაშა, ხოლო მეორეში შესვენების შემდეგ უნდა შესულიყო მოედანზე — ეს ერთგვარი კომპრომისი გახლდათ, რომელსაც კაპელო... მაინც არ ალიარებდა. ის ამბობდა, რომ ტერის კი არ სჯიდა, არამედ სხვა ფეხბურთელების საქმეში შემოწმება სურდა, მაგრამ მას მერე, რაც „ევერტონის“ ცენტრალურმა მცველმა **ფილ ჯეგიელკამ** ტრავმა მიიღო, გადაწყდა, რომ კაპიტანი ესპანეთთან შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე მაინც უეჭველად იჯდება.

ალსანიშნავია, რომ კაპელომ შეკრებაზე არ გამოიძახა ანტონ ფერდინანდის უფროსი ძმა, **რიო ფერდინანდი**, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა ჭორები. იტალიელმა ეს ჭორები გააბათილა:

*„მე მას ალექს ფერგიუსონის საიუბილეო ვახშამზე შევხვდი და ვუთხარი: რიო, წავიკითხე რა დაწერა შენ შესახებ სერ ალექსმა. ვფიქრობ, მართლაც მეტი პრაქტიკა გჭირდება. ამაზე მან მიპასუხა, რომ კარგი ფორმის ალსადგენად მართლაც უფრო ხშირად თამაში მოუხდებოდა. იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის რიო ძველებურად ითამაშებს“.*

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები ორ ამხანაგურ თამაშს ჩაატარებს, ესპანეთთან და შვეიცარიასთან. ინგლისელთა იტალიელმა თავკაცმა თქვა, რომ ესპანელებს მათივე იარაღით მხოლოდ გიჟი თუ დაუპირისპირდება:

*„ესპანელების სტილის მიბაძვა სიგიჟეა. ამ სტილს სათავე „ბარსელონას“ სკოლაში აქვს და ეს ყველაფერი წლების წინ დაიწყო. ასეთი ფეხბურთი რომ ითამაშო, ის სისხლსა და გონებაში უნდა გქონდეს გამჯდარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოგივა“.*

მანჩესტერ იუნაიტედი



# ვიდიჩი ფერდინანდს ამხნევებს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 30 წლის სერბი მცველი, **ნემანია ვიდიჩი** ამბობს, რომ დაცვის ცენტრში მისი მეწყვილის, **რიო ფერდინანდის** კარიერა დასასრულს სულაც არ უახლოვდება. ფერდინანდი 7 ნოემბერს 33 წლისა გახდა. მას ასაკთან ერთად ტრავმებმაც გვარიანად დარიეს ხელი. ის ძველებურად „იუნაიტედის“ სასტარტო შემადგენლობის მუდმივი წევრი აღარ არის. მწვრთნელი, სერ **ალექს ფერგიუსონი** ადრე მის ალტერნატივას არც ეძებდა, ახლა კი განაცხადა, რომ რიომ სისწრაფე დაკარგა და გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად თამაშის ახლებურ სტილზე უნდა გადავიდეს.

ვიდიჩი, რომელიც ფერდინანდის მხარდამხარ ბოლოს შაბათს, „სანდერლენდთან“ 1:0 მოგებულ შეხვედრაში თამაშობდა, თანაგუნდელზე ასე ლაპარაკობს: *„რიო ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. ბევრს ნიშნავს მისი გამოცდილება და საკუთარი თავის რწმენა. შეხვედრის მსვლელობისას ის დადებით გავლენას ახდენს თანაგუნდელებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე.*

*თუნდაც ბოლო მატჩი ავიღოთ, „სანდერლენდთან“. მე თუ მკითხავთ, ამ შეხვედრაში მან დიდებულად ითამაშა. იმედი მაქვს, რომ ფერდინანდს ტრავმები თავს დაანებებს. მასთან ერთად ჩვენ ტიტულების მოგების მეტი შანსი გვაქვს“.*

როგორც მოგახსენეთ, ბოლო ხანს ფერდინანდი „იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ველარ ხვდება. მდგომარეობას ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიებიც ამძიმებს. ბევრი ჟურნალისტის აზრით, ფერდინანდის საუკეთესო წლები უკვე წარსულს ჩაბარდა, ვიდიჩი კი მანჩესტერელთა წარმატებებში უდიდესი ღვაწლის მქონე ადამიანს იოლად ვერ ელევა.

*„რიო ის კაცია, რომელმაც გასულ სეზონში ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს შორის ყველაზე მეტ დიდ შეხვედრაში მიილო მონაწილეობა. პრემიერლიგის ჩემპიონები რომ გავხდით და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით, დიდწილად მისი დამსახურებაა. ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის გაუგებარია, რატომ ამბობენ, რომ ის კარგად ველარ თამაშობს. ეს რომ ასე არ არის, „სანდერლენდთან“ შეხვედრაშიც ძალიან კარგად გამოჩნდა. ადამიანები, როგორც ჩანს, თამაშის ხარისხზე მეტად მისი ასაკის მიხედვით სჯიან და საკმარისია ერთი ჩავარდნილი თამაში დაინახონ, ერთ ამბავს ტეხენ“.*

რასიზმი

# სუარესი ბოდიშს ითხოვს



რასიზმი, რასაკვირველია, ცუდია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ რაც გინდა მოხდეს ბოდიში თეთრკანიანმა უნდა მოუხადოს შავკანიანს. გააჩნია, სიმართლე ვისკენ იქნება. ასე მაგალითად, „ლივერპულის“ ურუგვაელი თავდამსხმელი, 24 წლის **ლუის სუარესი** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი მცველისგან, 30 წლის **პატრის ევრასგან** ითხოვს ბოდიშს. შეგახსენებთ, რომ სუარესისა და ევრას ინციდენტი ოქტომბერში, „ენფილდ როუდზე“ მოხდა და თავიდან რეზონანსიც ჰქონდა, მაგრამ შემდეგ **ჯონ ტერისა** და **ანტონ ფერდინანდის** ამბავმა გადაფარა. იმ შეხვედრაში ევრა და სუარესი ბევრს კინკლაობდნენ. გარედან ჩნდებოდა შთაბეჭდილება, რომ მათ ერთმანეთი უხეში შეჯახების შემდეგ აითვალწუნეს, მაგრამ თამაშის შემდეგ ევრამ ურუგვაელს რასობრივი შეურაცხყოფა დასწამა. სუარესმა ფრანგის ბრალდება უარყო და მთელი „ლივერპულიც“ მხარში ამოუდგა.

ტერისა და ფერდინანდის ინციდენტისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ევრას ბრალდების დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერი არ არსებობს და შეხვედრის მსაჯმა, **ანდრე მარინერმაც** ოქმში სუარესის სასარგებლო რამ ჩაწერა — რასისტული არაფერი გამიგიაო. დღეს, ურუგვაის ნაკრების ბანაკში ჩასულ თავდამსხმელს იქაურმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს ევრასთან კონფლიქტის ამბავი, რაზეც მან უპასუხა:

*„ჯერ ვნახოთ, რას გადაწყვეტს ფეხბურთის ასოციაცია, შემდეგ კი მე და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ურთიერთობას გავარკვევთ. ვისზეც იტყვიან სწორად არ მოიქცაო, ბოდიშს ის მოიხდის. კარგი იქნება ასოციაცია მანჩესტერელს ამას ამთავითვე თუ აუხსნის, რადგან მისი ბრალდება არაფრით მტკიცდება და ვერც დამტკიცდება, რადგან რასისტული არაფერი მითქვამს“.*

ფეხბურთის ასოციაცია საქმეს იძიებს, მაგრამ, რაგინდ საკვირველად გეჩვენოთ, ჯერ სუარესი არ დაუკითხავს და თანაც აცხადებს, შეზღუდული არანაირი ვადებით არ გახლავართო. ნეტავ, ჩაფარცხვას ხომ არ აპირებენ?

მანჩესტერ სითი

# ახალი დაუმარცხებლების დაბადება



მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ისტორიაში ერთადერთი გუნდი, რომელმაც მთელი სეზონი დაუმარცხებლად ჩაატარა, „არსენალია“ — **არსენ ვენგერის** ლეგენდარულმა „მეთოფეებმა“ ეს 2003-04 წლების სეზონში შეძლეს. მიმდინარე ჩემპიონატში „მანჩესტერ სიტი“ და „ნიუკასლ იუნაიტედი“ მიდიან დაუმარცხებლად, მაგრამ ამ ორი გუნდის შედარება არ შეიძლება. „სიტი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, „კაჭკაჭების“ მარცხსა და დაქვეითებას კი ყოველ ტურში ელიან.

ერთი სიტყვით, ისტლენდელებს 11 ტურის შემდეგ ძალიან შთამბეჭდავი შედეგი აქვთ — 10 მოგება და ერთი ფრე. ამ შედეგის შემყურე მანჩესტერელთა 28 წლის კოტდ'ივუარელი ფეხბურთელი, **იაია ტურე** იმედოვნებს, რომ ის და მისი გუნდი სეზონს შვიდი წლის წინანდელი „არსენალის“ მსგავსად დაუმარცხებლად ჩაამთავრებენ:

*„მანჩესტერ სიტიში“ იმიტომ გადმოვედი, რომ ისტორიაში მინდოდა მოხვედრა. ჩვენ ახალ ფურცელს ვწერთ, რაც უმნიშვნელოვანესია. მართალი გითხრათ, სეზონის დაუმარცხებლად ჩამთავრებაზე ბევრსაც არ ვფიქრობ, რადგან პრემიერლიგაში თამაში ძალიან ძნელია და სხვა გუნდები ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოგვიგონ. კალენდარს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ურთულესი შეხვედრები გველის. უახლოეს მომავალში „ნიუკასლს“ ვმასპინძლობთ, მერე „ლივერპულს“ უნდა ვესტუმროთ, შემდეგ მივემგ ზავრებით ლონდონში, „ჩელსისთან“ სათამაშოდ და ამას „არსენალთან“ შინ დაპირისპირება მოჰყვება. რასაკვირველია, ამ მეტოქეებთან ბრძოლა ძნელია, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ დაუმარცხებელ სვლას განვაგრძობთ“.*

ტურე თქმით, მანჩესტერულ დერბიში 6:1 გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ **რობერტო მანჩინის** ბიჭები ჩემპიონობისთვის იბრძვიან და მზად არიან:

*„მანჩესტერული დერბის შემდეგ, კოტ დ'ივუარიდან რამდენიმე კაცმა დამირეკა და მკითხა: ეს მართალია? თქვენ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგეთ? ხალხი ნელ-ნელა ხვდება, რომ „მანჩესტერ სიტი“ ახლა უკვე დიდი გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც ძალიან დიდი ფეხბურთელები თამაშობენ“.*

თუმცა კითხვაზე, შეიძლება თუ არა „სიტის“ მის ყოფილ გუნდთან, „ბარსელონასთან“ შედარება, ტურეს ეცინება:

*„არა, ჩვენ მათგან ძალიან შორს ვართ. „ბარსელონა“ ფანტასტიკური კლუბია. მგონი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები, უპირველეს ყოვლისა, იქ არიან: ჩავი, ინიესტა, დანი ალვეში, ლიონელ მესი, ჟერარდ პიკე... მათ დონეზე რომ ახვიდე, ბევრი უნდა იმუშაო და დიდი ჯილდოები მოიგო“.*

პრობლემა

# კუშჩაკის მანჩესტერული ჯოჯოხეთი



29 წლის პოლონელმა მეკარემ, **ტომაშ კუშჩაკმა** „მანჩესტერ იუნაიტედს“ მის დამონებაში დასდო ბრალი, რითაც ყველა გააკვირვა. საკუთარი კლუბის წინააღმდეგ ასეთ თამამ გალაშქრებას ფეხბურთელები, როგორც წესი, ერიდებიან. გოლკიპერი, რომელმაც ოთხი წელიწადი **ედვინ ვან დერ სარის** ჩრდილში გაატარა, დღეს, „ოლდ ტრეფორდზე“, **დავიდ დე ხეასა** და **ანდერს ლინდეგაარდის** შემდეგ, მესამე კაცად ითვლება. როდესაც შეატყო, რომ „იუნაიტედში“ ფეხბურთის თამაშის პერსპექტივა არ აქვს, კუშჩაკმა **ალექს ფერგიუსონს** იჯარის წესით სხვაგან გაშვება სთხოვა — მის გადაბირებას „ლიდსი“ ცდილობდა — მაგრამ, ინგლისის ჩემპიონთა ლეგენდარულმა თავკაცმა პოლონელის თხოვნა ყურად არ იღო. არადა, მეკარისთვის რეგულარულად თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზაფხულში „ევრო 2012-ში“ აპირებს მონაწილეობას.

კუშჩაკმა თქვა: *„მე მანჩესტერში მონად ვიქეცი. საშინლად გულდაწყვეტილი ვარ, მაგრამ წუწუნი და ფერგიუსონის ლანძღვა არ მინდა. ეს ჩემი სტილი არ არის. დიდი ხანი არ არის, რაც ფერგიუსონს ველაპარაკე. ვთხოვე, იანვარს ნუ დაელოდები, იჯარით გამიშვი-მეთქი. ავუხსენი, რომ ევროპის ჩემპიონატზე მინდა თამაში და ამისათვის რეგულარული პრაქტიკა მჭირდება, მაგრამ მისთვის, როგორც ჩანს, სულ ერთია. „ლიდს იუნაიტედი“ ორი თვის განმავლობაში თამაშის შანსს მაძლევდა, მაგრამ დამბლოკეს. არადა, რომ გავეშვით, იქნებ პოლონეთის ნაკრების მწვრთნელს ჩემი არსებობა გახსენებოდა. სამწუხაროდ, ეჭვი მაქვს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ამას განზრახ მიკეთებენ.*

*ფერგიუსონს პატივს ვცემ, როგორც დიდ მწვრთნელს, მაგრამ მის გუნდში ყოფნა აღარ მინდა და იმედი მაქვს, რომ იანვარში აქედან წასვლის საშუალებას მომცემს“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● პარი სენ-ჟერმენი



# უბრალოდ წარმატებული

"ლოს ანჯელეს გალაქსის" ინგლისელი ვარსკვლავის, დევიდ ბექჰემის "პარი სენ-ჟერმენში" შესაძლო გადასვლის შესახებ ვისაც არ დაეზარა, კომენტარი ყველამ გააკეთა. ბუნებრივია, "რიგითი მოკვდავების" მოსაზრებები ბექჰს არც დააინტერესებდა, მაგრამ როცა გადაწყვეტილებას **მიშელ პლატინი** და **ზინედინ ზიდანი** გააკრიტიკებენ, კომენტარისგან თავის შეკავება ძნელი ხდება. გეხსომებათ, რომ უეფას პრეზიდენტმა შესაძლო ტრანსფერს "კარგი მარკეტინგული სვლა" უწოდა. ვეტერანმა ფეხბურთელმა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდებს გვიან უპასუხა. აი, რას აცხადებს ის: *"ბევრი მიიჩნევს, რომ ბექჰემის პარიზში გადასვლა მხოლოდ ბრენდის ყიდვაა, მაგრამ ეს ასე არ არის. მე მინდა ვიყო წარმატებული ფეხბურთელი, ეს ერთადერთი მოტივაციაა, რაც მამოძრავებს".*

ამასობაში ბრიტანული წყაროები ალაპარაკდნენ, რომ ფრანგულმა კლუბმა ფეხბურთელისთვის შეთავაზებული კონტრაქტის პირობები გააუმჯობესა – ნაცვლად 4,5 მილიონისა, დევიდს პსჟ წელიწადში 5 მილიონს სთავაზობს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ბექჰემის კონტრაქტს ვადა "გალაქსისთან" ამ დღეებში გასდის.

დედაქალაქელთა ლიდერს, 22 წლის **ხავიერ პასტორეს** ფრანგულმა მასმედიამ ერთი დღე დააწია, ისეთი ეფექტური ველარ არის, როგორიც სეზონის დასაწყისში იყოო. არგენტინელმა არასტაბილური ასპარეზობის მიზეზად გადაღლა დაასახელა: *"ჩემს წინა კლუბებში ასეთი დატვირთვები არ მქონია, ყოველ მესამე დღეს ხომ არასოდეს მითამაშია. მართალია, კრიტიკას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ საერთოდ არ მაღელვებს-მეთქი, ვერც ამას ვიტყვი. კრიტიკა ჩემთვის მისაღებია, რადგან როცა კარგად ვერ ვთამაშობ, ეს უნდა ითქვას კიდეც. როცა ყველაფერი კარგად გამომდის, პრესა არც ამას მივიწყებს. უახლოესი 10 დღის განმავლობაში არგენტინის ნაკრების განკარგულებაში ვიქნები და აქაურ პრობლემებს დროებით მაინც დავივიწყებ. პარიზში დისკომფორტს მიქმნის ისიც, რომ უკვე ორი თვეა სასტუმროში ვცხოვრობ, რამაც ძალიან დამღალა, თუმცა სასურველი საცხოვრებელი უკვე ვნახე, სადაც მალე გადავალ და დავისვენებ".*

აქვე პსჟ-თან დაკავშირებულ კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით: ერთ-ერთმა ბრაზილიურმა ვებგვერდმა დაწერა, ფრანგებს "ბოტაფოგოდან" 24 წლის მარცხენა მცველის **ბრუნო კორტესის** გადაბირება სურთო. როგორც ირკვევა, რიოდეჟანეიროელებმა უკვე მიიღეს ოფიციალური წინადადება. აღსანიშნავია, რომ ბრუნოს ბრაზილიის ნაკრებში დებიუტი წელს სექტემბერში არგენტინის ნაკრებთან (2:0 პენტაკამპეონთა სასარგებლოდ) ჰქონდა.

● საფრანგეთის ნაკრები

# კომპრომისი ბარსასთვის

საფრანგეთის ნაკრების ცენტრალური მცველი **ერიკ აბიდალი** გუნდს ორ ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. მიზეზი უბრალოა, "ბარსელონამ" "სამფეროვნების" ხელმძღვანელობას უმორჩილესად სთხოვა, ერიკი შეკრებიდან გაეთავისუფლებინა. კატალონიელებს ის ესპანეთის თასის შეხვედრაში სჭირდებათ მესამედივიზიონელი "ოსპიტალეტოს" წინააღმდეგ. სანაკრებო შეკრებაზე ფეხბურთელების გამგზავრების შემდეგ **ხოსეპ გვარდიოლას** განკარგულებაში ძირითადი გუნდის განაცხადიდან მხოლოდ 11 ფეხბურთელი დარჩა. უცნობია, შეუერთდება თუ არა აბიდალი ეროვნულ გუნდს 15 ნოემბერს ბელგიასთან შეხვედრისთვის.

ეჭვის ქვეშ დგას ამხანაგურ შეხვედრებში "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველის **სამირ ნასრის** მონაწილეობაც. "ქუინზ პარკთან" შეხვედრის (2:3 "სიტის" სასარგებლოდ) წინადღეს 23 წლის ფეხბურთელმა მარჯვენა მუხლი მსუბუქად დაიზიანა, რის შემდეგაც **რობერტო მანჩინიმ** მოედანზე მისი გამოყვანა ველარ გარისკა. სამირი სანაკრებო შეკრებაზე



ლორან ბლანს სამირ ნასრი დააკლდება

გამოცხადდება და საბოლოო გადაწყვეტილებას ფრანგი ექიმები მიიღებენ. თუმცა მისი თამაშის შანსი ძალიან მცირეა. პრემიერლიგის ბოლო შეხვედრებში მცირე ტრავმები მიიღეს ასევე ნიუკასლელმა **იოან კაბაიემ** და ჩელსელმა **ფლორან მალუდამ**, მაგრამ **ლორან ბლანს** მათი იმედი შეიძლება ჰქონდეს, რადგან მათ სერიოზული არაფერი სჭირთ.

11 ნოემბერს საფრანგეთი ამერიკის ნაკრებს დაუპირისპირდება, რახან ეს ინფორმაცია ფრანგებსაც ეხებათ, მას აქვე მოგაწვდით: ოკეანისგაღმელებს "სამფეროვნებთან" თავიანთი ლიდერი **ლენდონ დონოვანი** დააკლდებათ. *"ჩვენ ვგეგმავდით, რომ ლენდონი საფრანგეთთან ითამაშებდა და ამის მერე დაუბრუნდებოდა კლუბს, მაგრამ მან გვთხოვა, რომ ორივე შეხვედრიდან გაგვეთავისუფლებინა. მართალია, მერჩივნა გუნდის ლიდერი საქმეში მენახა, მაგრამ მის სურვილს პატივს ვცემ,"* – განაცხადა ამერიკელთა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა**. ფრანგებთან სპარინგის შემდეგ 15-ში აშშ სლოვენიას გაეჯიბრება.

● ჰოლანდიური ამბები

# ქირვეულის მორჯულება



ბერტ ვან მარვიიკი

ჰოლანდიურმა გამოცემა "დე ტელეგრააფმა" **ბერტ ვან მარვიიკის** აგენტზე დაყრდნობით მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა, ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული გუნდის თავკაცთან შეთანხმებას მიაღწია და სპეციალისტი "ნარინჯისფრებს" 2016 წლამდე უხელმძღვანელებსო. ინფორმაცია მოულოდნელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ ვან მარვიიკს არაერთხელ ჰქონდა ნათქვამი, დიდხანს ერთ ადგილას გაჩერება ჩემი სტილი არ არის, ამიტომ ევრო 2012-ის შემდეგ ჩემ მაგივრად ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას სხვა მწვრთნელის მოძებნა მოუწევსო. ბერტი ქვეყნის მთავარ გუნდს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ თავკაცობს და 2010-ში გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. წარმატებულად იმუშავა ვან მარვიიკმა 2012-ის შესარჩევ ციკლშიც: მისმა გუნდმა საგზური ვადამდე მოიპოვა და შთამბეჭდავი თამაშის წყალობით ჟურნალისტების მიერ ესპანეთისა და გერმანიის ნაკრებებთან ერთად მომავალი დიდი ბატალიების უმთავრეს ფავორიტად სახელდება.

ახლა კი ჰოლანდიურ საკლუბო თემატიკაზე გადავიდეთ: "ტოტენჰემის" ხელმძღვანელობა იანვარში **ეურელიო გომესთან** განშორებას რომ აპირებს, რა ხანია, ცნობილია. მიზეზი 30 წლის ბრაზილიელის **ჰარი რედნაპთან** კონფლიქტია. გომესის შეძენის მსურველი მისი ყოფილი კლუბი "ეინდჰოვენია". PSV ამჟამინდელი ძირითადი მეკარის, შვედი **ანდრეას ისაკსონის** შემცვლელს ეძებს, ვის კონტრაქტსაც ვადა სეზონის ბოლოს გასდის. გომესი ეინდჰოვენელთა ღირსებას 2004/08 წლებში იცავდა.

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პორტუგალია დანის გარეშე

პორტუგალიის ნაკრებს, 11 და 15 ნოემბერს, ბოსნიასთან ევრო 2012-ის პლეი ოფის მატჩებში "ზენიტის" შემტევი ნახევარმცველის **მიგელ დანის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა. მიზეზი დანის მარჯვენა მუხლის ტრავმაა, რომელიც 28 წლის ფეხბურთელმა "შახტართან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისწინა ვარჯიშზე მიიღო. ფეხბურთელმა უკრაინულ გუნდთან გამაყუჩებლებით და მუხლზე ნახვევით ითამაშა, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. **ლუჩანო სპალეტის** პრემიერლიგის მომდევნო შეხვედრაში "კუბანის" წინააღმდეგ უკვე მის გარეშე მოუხდა შემადგენლობის დაკომპლექტება. პეტერბურგული კლუბის ექიმები აცხადებენ, დანის სერიოზული არაფერი სჭირს და ვარჯიშს ის 7-10 დღეში დაუბრუნდებაო. სარეაბილიტაციო პერიოდს ის სამშობლოში გაივლის. **პაულუ ბენტუმ** მის ნაცვლად ნაკრებში ბერძნული პაოკ-ის ნევერ **ვიერინიას** უხმო. ბენტუს გუნდს ასევე ტრავმის გამო დააკლდება მადრიდის "ატლეტიკოს" მცველი **სილვიო**. ამ უკანასკნელს ნაკრებში მალაგელი **ელისეუ** დაიკავებს.

## ირლანდიას ბესტი დააკლდა

"როიტერის" ინფორმაციით ირლანდიის ნაკრებისა და "ნიუკასლის" 25 წლის თავდამსხმელი **ლეონ ბესტი** ესტონეთთან ევრო 2012-ის პლეი ოფის მატჩებს ოჯახური მიზეზით დააკლდება. ამის შესახებ ლეონმა პირადად აცნობა ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ჯოვანი ტრაპატონის** და ნიუკასლში დაბრუნდა. მიზეზი კი ნამდვილად საპატიოა, ბესტის მეგობარი გოგონა დღე-დღეზე პირველ შვილს ელოდება. იტალიელ მწვრთნელს უკვე მესამე თავდამსხმელი გამოაკლდა. იქამდე მას ტრავმების გამო **ლაიამ ლოურენსი** (სტოკ სიტი), **შეინ ლონგი** (ვესტ ბრომვიჩი) და დისკვალიფიცირებული **კევინ დოილი** (ვულვერჰემპტონი) გამოეცალნენ ხელიდან. მასტერ ტრაპის განკარგულებაში სამი შემტევი რჩება: **საიმონ კოქსი** (ვესტ ბრომვიჩი), **რობი კინი** (ლოს ანჯელეს გალაქსი) და **ჯონათან უოლტერსი** (სტოკ სიტი).

## ლილი შეღავათს ითხოვს

"ლილის" ხელმძღვანელობა საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგისგან მე-14-ე ტურში "ტულუზთან" შეხვედრის (19 ნოემბერი) ერთი დღით ადრე ჩატარებას ითხოვს. "ძაღლებს" მოსკოვის ცსკა-სთან ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის (22 ნოემბერს) მოსამზადებლად დრო სჭირდებათ. *"ლიგის საშეჯიბრო კომიტეტისგან ოფიციალურად ვითხოვთ, რომ 19-ის ნაცვლად 18-ში გვათამაშოს, რადგან დამატებით 24 საათის დასვენება ჩემპიონთა ლიგაში გადამწყვეტი მატჩისთვის უკეთ მომზადების საშუალებას მოგვცემს,"* – ნათქვამია განცხადებაში. პროფესიული ლიგის გადაწყვეტილება უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

## გალათასარაის წინადადება

"მანჩესტერ იუნაიტედი" დღე-დღეზე "გალათასარაისგან" ოფიციალურ წინადადებას მიიღებს 30 წლის **დიმიტარ ბერბატოვის** ტრანსფერთან დაკავშირებით, - წერს თურქული პრესა. ბულგარელმა უკვე წელიწადზე მეტია, რაც დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და ბუნებრივია, ამჟამინდელი მდგომარეობით უკმაყოფილოა. სტამბოლელთა პრეზიდენტი **უნალ აისალი** ადასტურებს, რომ "ლომები" ფეხბურთელით სერიოზულად არიან დაინტერესებულები. თურქული კლუბი მზადაა, ვეტერანში 7,5 მილიონი გირვანქა, ანუ 8,75 მილიონი ევრო გადაიხადოს.

## ბლატერი ფორბსის სიაში

ჟურნალი "ფორბსი" სხვადასხვა სახის რეიტინგს ხშირად ადგენს ხოლმე. გულწრფელად გეტყვით, რომ წარმოდგენა არ გვაქვს, რა კრიტერიუმებით არჩევს ის ნომინანტებს, მაგრამ მთელი მსოფლიო ყურადღებით რომ ადევნებს თვალს, ეს კი ნამდვილად ასეა. ამერიკულმა გამოცემამ ამჯერად მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია შეაკოწიწა და მასში 63-ე ადგილზე ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** გაამწესა. სიაში ძირითადად პოლიტიკოსები არიან. ბლატერის გარდა სპორტის სამყაროდან ერთი კაცი მოხვდა - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ჟაკ როგე**, ის 68-ე ადგილზე გავიდა. ყველაზე გავლენიან ადამიანად "ფორბსმა" ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** დაასახელა.

## აბდელაუი - საუკეთესო ნორვეგიელი

ნორვეგიის საუკეთესო ფეხბურთელად გერმანული "ჰანოვერის" თავდამსხმელი, 26 წლის **მოჰამედ აბდელაუი** დაასახელეს. ფეხბურთელმა მშვენივრად ჩაატარა წინა სეზონიც, როცა ბუნდესლიგის საშუალო გაქანების გუნდის შემადგენლობაში ტრავმების გამო პრინციპში ერთ არასრულ სეზონში 10 გოლი გაიტანა. კიდევ უფრო კარგად გამოიყურება ის მიმდინარე სეზონში – მოჰამედის ანგარიშზე უკვე 8 გოლია. თავდამსხმელი მაროკოული წარმოშობისაა, თუმცა ნორვეგიაშია დაბადებული და პროფესიული კარიერაც ამ ქვეყანაში დაიწყო, სადაც "სკეიდისა" და "ვოლერენგას" ღირსებას იცავდა. გერმანიაში სათამაშოდ ის 2008 წელს გადავიდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ექსპერიმენტი ჩაიშალა: არც როისი, არც კლოზე!

## უკრაინასთან ბუნდესგუნდის კარს ცილერი დაიცავს

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** წლის ბოლო ტესტმატჩებში ექსპერიმენტებს მიმართავს. პარასკევს კიევში უკრაინის ნაკრებთან გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში ბუნდესგუნდის კარს „ჰანოვერის" ახალგაზრდა მეკარე **რონ-რობერტ ცილერი** დაიცავს, ნახევარდაცვაში კი იოგი **მესუთ იოზილისა** და **მარიო გიოტცეს** ტანდემს პირველად ათამაშებს. მთავარი ექსპერიმენტი კი ლიოვს უკვე ჩაეშალა: ბუნდესმწვრთნელს უნდოდა, რომ უკრაინასთან თავდასხმაში **მარიო გომესი** და **მიროსლავ კლოზე** ერთად გაემწესებინა, რასაც ველარ მოახერხებს, რადგან კლოზემ ტრავმა მიიღო და ბუნდესნაკრებს კიევში ვერ გაჰყვება.

უკრაინასთანაც და ოთხი დღის შემდეგ, ჰოლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაშიც, რომელიც ჰამბურგში გაიმართება, ლიოვი ტაქტიკურ ექსპერიმენტებსაც მიმართავს. სადღეისოდ მას ორი ტაქტიკური სქემა აქვს დამუშავებული: 4-2-3-1 და 4-1-4-1. ახლა კი უნდა, რომ გუნდი ორი თავდამსხმელით ათამაშოს, რაც უკრაინასთან შეხვედრაში კლოზეს არყოფნის გამო ალბათ ვერ მოხერხდება, აი, ჰოლანდიასთან კი ეს ექსპერიმენტიც შედგება, რადგან ბუნდესგუნდის სამედიცინო შტაბის განცხადებით, მირო ჰოლანდიასთან თამაშს შეძლებს. აღსანიშნავია, რომ იოგის ხელმძღვანელობით გერმანიის ნაკრებმა ორი ნომინალური ცენტრფორვარდით მხოლოდ ერთხელ, ორი წლის წინ კოტ დ'ივუართან ტესტმატჩში ითამაშა – მაშინ ლიოვმა ბუნდესგუნდის წინა ხაზზე **შტეფან კისლინგისა** და **ლუკას პოდოლსკის** ტანდემი გაამწესა. ის მატჩი 2:2 დასრულდა.

*„ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ შეკრებამდე დიდი დროა, მაგრამ მანამდე მხოლოდ სამი ტესტმატჩი გვაქვს დაგეგმილი და ეს შეხვედრები სწორედ ექსპერიმენტებისთვის უნდა გამოვიყენოთ. მინდა, რომ 4-4-2-იც დავამუშაოთ, რადგან გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე არაპროგნოზირებადი გუნდი უნდა იყოს,"* - აცხადებს ლიოვი.

### ლიოვს როისიც გამოაკლდა

ლიოვს მოახლოებული ტესტმატჩებისთვის მიონხენგლადბახის „ბორუსიას" 22 წლის გარემარბი **მარკო როისიც** გამოაკლდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელიც მიმდინარე სეზონში შესანიშნავ ფორმაშია, ნაკრებს ამჯერად გრიპმა ჩამოაცილა. გაგახსენებთ, რომ როისი ტრავმების გამო გერმანიის ნაკრებს არაერთხელ დააკლდა, თუმცა ოქტომბერში, თურქეთთან შეხვედრაში (3:1) ბუნდესგუნდში დებიუტირება მაინც მოასწრო. ჯერჯერობით უცნობია, მოასწრებს თუ არა მარკო ჰოლანდიასთან მატჩისთვის გამოჯანმრთელებას.

### ცილერის დებიუტი და პრემიები

უკრაინასთან მატჩისთვის **მანუელ ნოიერი** გამოძახებული არაა. „ბაიერნის" მეკარე და ბუნდესგუნდის პირველი ნომერი ლიოვის სამწყსოს ჰოლანდიასთან შეხვედრისთვის შეუერთდება. ეს იმას ნიშნავს, რომ კიევში გერმანიას ორი მეკარე, ბრემენელი **ტიმ ვიზე** და ჰანოვერელი რონ-რობერტ ცილერი ეყოლება. ლიოვის გადაწყვეტილებით, ეს უკანასკნელი მინიმუმ ერთ ტაიმს ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ნაკრებში ცილერის დებიუტი აუცილებლად შედგება.

რაკი **ბასტიან შვაინშტაიგერი** ტრავმირებულია, ლიოვი უკრაინასთან თამაშს სავარაუდოდ მხოლოდ ერთი საყრდენით დაიწყებს და ეს უკანასკნელი **ტონი კროოსი** იქნება. როგორც იცით, იოგიმ გადაწყვიტა, რომ კაპიტანი **ფილიპ ლამი** დაასვენოს. მის ნაცვლად, მარცხენა მცველის პოზიციისთვის ორი კანდიდატი ჰყავს: დორტმუნდელი **მარსელ შმელცერი** და ჰამბურგელი **დენის აოგო**. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, ევროპის ჩემპიონატზე ლიოვი ამ ორიდან ერთ-ერთს განაცხადს მიღმა დატოვებს და სწორედ ამ და მომდევნო ტესტმატჩებში უნდა გამოჩნდეს, რომელი ვერ წავა პოლონეთსა და უკრაინაში – შმელცერი თუ აოგო.

აქვე კიდევ ერთი საინტერესო მოვლენაც: როგორც იცით, ამ ბოლო დროს გერმანელი ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დღევანდელი ბუნდესგუნდი ყველა დროის საუკეთესოა. ხშირია შედარებები 1990 წლის გუნდთან, რომელიც იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და რომელსაც მსოფლიოს ფეხბურთის ისტორია ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ცნობს. მაშინდელი ბუნდესგუნდის თავკაცი **ფრანც ბეკენბაუერი** მიიჩნევს, რომ ეს შედარება უაზრო და გადაჭარბებულია.

*„ჩემი აზრით, ყველა დროის საუკეთესო გერმანიაზე მხოლოდ მაშინ უნდა დავიწყოთ საუბარი, როცა ეს გუნდი ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. უტიტულო გუნდის ისეთ გუნდთან შედარება, რომელიც მე 1990 წელს მყავდა, მინიმუმ გადაჭარბებული, მაქსიმუმ კი უაზრო საქციელია,"* - აცხადებს კაიზერფრანცი.

დაბოლოს: როგორც იცით, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესნაკრების თითოეულ ფეხბურთელს ევროპის ჩემპიონობისთვის საკმაოდ დიდი პრემია, 300 000 ევრო დაუწესა. ახლა გაირკვა, რომ სწორედ 300 000 ევრო იქნება ლიოვის პრემიაც. ფინალში გასვლის შემთხვევაში გერმანიის ნაკრების თითოეული ფეხბურთელი 150 000 ევროს მიიღებს, ნახევარფინალში გასვლისთვის 100 000 ევროს, ხოლო მხოლოდ ჯგუფიდან გასვლისთვის კი – 50 000 ევროს.


გერმანიის ნაკრებს უკრაინასთან მატჩისთვის მიროსლავ კლოზე გამოაკლდა

მწვრთნელი




## ლოთარმა გერმანიაზე გული აიცრუა, ვისაც მე არ ვჭირდები, არც მე მჭირდებაო...

გერმანიის ნაკრების რეკორდსმენ **ლოთარ მათეუსს** აღარ აქვს იმის იმედი, რომ ოდესმე რომელიმე გერმანული კლუბში მიიწვევენ და მწვრთნელად დანიშნავენ. მოგეხსენებათ, 50 წლის ლოთარი წლების განმავლობაში ცდილობდა, რომ რომელიმე გერმანული კლუბი დაეინტერესებინა და ბუნდესლიგაში მუშაობა დაეწყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ახლა კი, მათეუსმა სამშობლოში მუშაობაზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნია.

*„ვიცი, რომ გერმანიაში მწვრთნელად არავის ვჭირდები. მივხვდი, ეს უტოპიაა, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ. ასეა თუ ისე, ფაქტია, შანსი იმისა, რომ ბუნდესლიგაში ვიმუშაო, 5 პროცენტზე მეტი არ არის,"* - აცხადებს გაზეთ „კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში მათეუსი, რომელიც ბოლოს ბულგარეთის ნაკრებს წვრთნიდა, საიდანაც ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს.

ლოთარის აზრით, გერმანული კლუბების მიერ მისი უყურადღებოდ დატოვება პირველ რიგში მისი არეულ-დარეული პირადი ცხოვრების ბრალია. *„სამწუხაროდ, გერმანიაში ბევრ ისეთ დეტალს აკვირდებიან, რაც, წესით, გათვალისწინებული არ უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, ბევრ გუნდს მარტო იმიტომ არ ვუნდივარ, რომ უკვე სამი ცოლი მყავდა. გარდა ამისა, გერმანიაში ჩემს სახელს ყველა „ბაიერნთან" აიგივებს, მიუნხენურ კლუბში არავინ მეპატიჟება, სხვებს კი ისევ „ბაიერნის" გამო არ ვუნდივარ. რეკორდმაისტერმა ამ მხრივ ძალიან მავნო,"* - ამბობს მათეუსი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ ლოთარის მომდევნო გაჩერება სამწვრთნელო ასპარეზზე ისევ უცხოეთი იქნება.

ცოტა ხნის წინ, მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „კარლსრუეში" მწვრთნელი გააგდეს და რამდენიმე გაზეთმა დაწერა, შესაძლოა, ალექსანდრე იაშვილის გუნდს ლოთარ მათეუსი ჩაუდგეს სათავეშიო, რის შემდეგაც „კარლსრუეს" პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა, ლოთარს შანსი არ აქვს, რომ თუნდაც მეორე ბუნდესლიგის გუნდში დაინიშნოს, მე მასზე ერთი წამითაც არ მიფიქრიაო.

*„ასეთი განცხადებებით ჩემი სახელის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობას ვთხოვ, დამიცვან. ბოლოს და ბოლოს, მე გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი ვარ,* - განრისხებულია მათეუსი, - *არ მესმის, რატომ მომიხსენიებენ ასე, მაგრამ ერთს კი ვიტყვი: ვისაც მე არ ვჭირდები, არც მე მჭირდება. არაერთი შემოთავაზება მაქვს და სამსახურის შოვნა არ გამიჭირდება."*

დორტმუნდის ბორუსია

# ისევ კევინი, მუქარა

## გროსკროიტცი: ბაიერნი ჩვენზე მაგარი არ არის!

საკმარისი იყო, დორტმუნდის „ბორუსია" ისევ კარგად ათამაშებულიყო, რომ გერმანიის მოქმედი ჩემპიონის ფეხბურთელებმა კვლავ დაიწყეს ხმამაღალი განცხადებების გაკეთება. დორტმუნდელებმა ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგეს და გუნდი ცხრილში მეორე ადგილზეა, რამაც **იურგენ კლოპის** გუნდი შეათამამა.

*„ეს ისევ ის „ბორუსიაა", რომელიც გასულ სეზონში ბრწყინვალე ფეხბურთით ყველას ალაფრთოვანებდა. ეს „ბორუსია" მიუნხენის „ბაიერნს" არაფრით ჩამოუვარდება. თუ ასე გავაგრძელებთ და, მაგალითად, „ბაიერნთანაც" ისე ვითამაშებთ, როგორც „ვოლფსბურგთან" ვიასპარეზეთ, ვერავინ მოგვიგებს. ცუდია, რომ სანაკრებო პაუზამ მოგვისწრო, მინდოდა, „ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ „ბაიერნთან" მალე გვეთამაშა. იმედი მაქვს, რომ ფორმიდან არც ერთი ჩვენგანი არ ამოვარდება,"* - „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს **კევინ გროსკროიტცი**, რომელმაც „ბორუსიას" საჩემპიონო სეზონში 34 მატჩში 8 გოლი გაიტანა და კლოპის გუნდის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი იყო. ერთი სიტყვით, მართალია, 19 ნოემბრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი (დორტმუნდელები მიუნხენში სწორედ 19 ნოემბერს ჩადიან), მაგრამ გროსკროიტცი რეკორდმაისტერს უკვე ემუქრება.

მიუნხენში კევინის განცხადებას მშვიდად შეხვდნენ. „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი**: *„დორტმუნდს" საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოვუგოთ. პირველ რიგში იმისათვის, რომ ცხრილში ჩვენი უპირატესობა გავზარდოთ (ბაიერნი ბორუსიას ახლა 5 ქულით უსწრებს) და მეორე: ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა მოკეტოს, ვინც ფიქრობს, რომ „ბაიერნი" გერმანიაში ყველაზე ძლიერი არ არის."*

გაგახსენებთ: გასულ სეზონში გერმანიაში ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ „ბაიერნი" „ბორუსიას" „ალიანს არენაზე" მოუგებდა, მაგრამ დორტმუნდელებმა სეზონის საუკეთესო მატჩი სწორედ მიუნხენში ჩაატარეს და რეკორდმაისტერი 3:1 დაამარცხეს. სხვათა შორის, იმ მატჩის გმირი სწორედ კევინ გროსკროიტცი იყო...


კევინ გროსკროიტცი ბაიერნს ემუქრება

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ციურიხის მცველი ბაიერნში?

## ესპანელ-შვეიცარიელი როდრიგესი 10 მილიონი ღირს

აგერ უკვე ორი წელია, რაც მიუნხენის „ბაიერნი" ფლანგის კარგ მცველს ეძებს. ამ ხნის მანძილზე რეკორდმაისტერმა რამდენიმე იაფფასიანი კანდიდატი გადაიბირა, მაგრამ იმედები ვერავინ გაამართლა. უახლესი მაგალითები ჰოლანდიელი **ედსონ ბრააფჰაიდი** და **დანიელ პრანიჩი** არიან – პირველი ახლა „ჰოფენჰაიმშია", მეორე კი მიუნხენში სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ზაფხულში მიუნხენელებმა ბრაზილიელი **რაფინია** შეიძინეს, რომელიც ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ არა იმდენად კარგად, რომ „ბაიერნის" მწვრთნელმა და შეფებმა თავი მშვიდად იგრძნონ.

უახლესი ინფორმაციით, რეკორდმაისტერი „ციურიხის" 19 წლის მარცხენა მცველით, ესპანური წარმოშობის მქონე შვეიცარიელი **რიკარდო როდრიგესით** დაინტერესდა. ბავარიელებს ეს უკანასკნელი ზაფხულში, ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში მოეწონათ – გეხსომებათ, ჯგუფურ ეტაპამდე „ბაიერნმა" სწორედ „ციურიხის" ბარიერი გადალახა. „ციურიხი" „ალიანს არენაზე" 0:2 დამარცხდა და სხვათა შორის, იმ მატჩის შემდეგ როდრიგესმა თქვა, **არიენ რობენმა** მაისურა გამიცვალა და შემაქოო. შვეიცარიული პრესის ინფორმაციით, „ბაიერნი" როდრიგესით სერიოზულადაა დაინტერესებული. ახალგაზრდა მარცხენა მცველი, რომელიც შვეიცარიის ნაკრების წევრიცაა, 10 მილიონი ევრო ღირს.

კიოლნი

# თხები პოლდისთვის იბრძვიან

## მილანი და არსენალი რიგში ჩადგნენ...

„კიოლნის" გულშემატკივრები, მწვრთნელი და ხელმძღვანელები ამ ბოლო დროს ძალიან ნერვიულობენ იმის გამო, რომ გუნდის 26 წლის ლიდერ **ლუკას პოდოლსკის** 2013 წლის ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერ არ გაფორმებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, პოლდიმ კიოლნი ზამთარში, ან სეზონის ბოლოს დატოვოს.

ამასობაში, პოდოლსკის სერიოზული მსურველები გამოუჩნდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ლუკასის გადაბირება „მილანს" და „არსენალს" სურთ. ლონდონელები სულაც უკვე მზად არიან, გერმანიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერში 23 მილიონი ევრო გადაიხადონ. თვითონ ფეხბურთელი გადაჭრით არაფერს ამბობს, იმას კი ადასტურებს, რომ შეიძლება „კიოლნიდან" წავიდეს.

ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ლუკასს „კიოლნიდან" და ზოგადად გერმანიიდან წასვლა ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმაც** ურჩია. *„პოდოლსკი თავისი კლუბისთვის ნატვრისთვალია და მე „კიოლნის" ქომაგების განაწყენება არ მინდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლუკასი მზადაა, გერმანიიდან წავიდეს და ძალები ინგლისში, იტალიაში ან ესპანეთშიც მოსინჯოს. წლების წინ მას ამას არ ვურჩევდი, ახლა კი მიმაჩნია, რომ ეს მისთვის კარგი იქნება,"* - ამბობს იოგი.

„კიოლნის" სპორტულ დირექტორ **ფოლკერ ფინკეს** მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება უნდა, მაგრამ გაუჭირდება, რადგან ლუკასი აქამდე არასდროს ყოფილა ისე დაფასებული, როგორც ახლაა. პოლდი ძალიან კარგ ფორმაშია, მისმა ფასმა კი სადღეისოდ 20 მილიონ ევროს მიაღწია. „თხების" თავკაც **სტალე სოლბაკენს** უნდა, ლუკასი იმაში დაარწმუნოს, რომ „კიოლნს" სამომავლოდ უკეთესი პერსპექტივა აქვს, რადგან პოლდის არაერთხელ უთქვამს, მუდმივად პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მომბეზრდაო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XI ტურის შეჯამება

# სანდრო ჩრდილიდან გამოდის

## გაგიკვირდებათ და... არავინ მოუხსნიათ

სანდრო ჩრდილიდან გამოდის. ვინ სანდროო იკითხავთ, რა თქმა უნდა, **როსელი**, „ბარსას" ახალი პრეზიდენტი. რალა ახალიო, იტყვით, მაგრამ შემოგედავებით, წინამორბედისგან განსხვავებით, რომელიც ენერგეტიკული ვამპირი იყო, როსელს აქამდე არაფერი განსაკუთრებული არ უთქვამს და აი, თქვა: ლა ლიგას ცუდად აქვს საქმე, უნდა ვიხსნათ. პირველი ნაბიჯი ამისკენ მონაწილეთა 18-მდე შეკვეცა იქნება, შემდეგ კი - 16-მდეო. კატალონიელთა ბოსმა სულ 4 კლუბი ჩამოთვალა, რომელთაც სტაბილური ფინანსური მდგომარეობა აქვთ (გაგიკვირდებათ და, „რეალსა" და „ბარსასთან" კამპანიაში „ბილბაო" და „ოსასუნა" მოხვდნენ), სხვები შეიძლება, მალე მე-3 დივიზიონში ჩაიკარგონ ან სულაც დაიშალონო.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ამ ტურის შემდეგ (ნუმერაციით მე-12, რეალურად - მე-11) ბარე ორი მწვრთნელის გაგდების ამბავს ველოდით, მაგრამ ასე არ მოხდა: „ატლეტიკოს" თავკაციც ადგილზეა, ისევე როგორც „მალაგის", „სარაგოსის" და, თქვენ წარმოიდგინეთ, „რეალ სოსიედადისაც". მოკლედ, ჯერჯერობით **მიქაელ ლაუდრუპი** ერთადერთია, რომელმაც სამსახური დაკარგა და ისიც „მალიორკას" დანიელი თავკაცი არ გაუგდიათ, თავად წავიდა.

### რონი vs ლეო

ჩვენი ვერსიით, ამ ორ სუპერვარსკვლავს შორის ანგარიში 6:5 იყო **ლიონელ მესის** სასარგებლოდ. ახლა კი დელიკატური სიტუაციის წინაშე დავდექით: ერთი მხრივ ტურში აშკარად საუკეთესო **კრიშტიანო რონალდოა**, მეორე მხრივ კი ფეხბურთელი, რომელსაც ქვეთავით ქვემოთ ტურის გმირად დავასახელებთ.

რონალდომ „ოსასუნას" კარში სამი გოლი გაიტანა (5-დან 3 დარტყმა ზუსტი), პორტუგალიელი ერთხელ დაჯარიმდა და ერთხელ თამაშგარეში მოხვდა. მესიმ „ბილბაოს" 1 გაუტანა (4-დან 2 ზუსტი დარტყმა). არგენტინელის წინააღმდეგ ორჯერ იუხეშეს, თავად - ერთხელ.

რონალდომ იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა - 6:6.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 4-2-3-1

***ხავი ვარასი*** *(სევილია, 4)* - ***ალვარო არბელოა*** *(რეალი, 3),* ***ვიქტორ რუისი*** *(ვალენსია, 1),* ***მარტინ დემიკელისი*** *(მალაგა, 1),* ***ერიკ აბიდალი*** *(ბარსელონა, 3)* - ***ტინო კოსტა*** *(ვალენსია, 1),* ***აბდელ ბარადა*** *(ხეტაფე, 1)* - ***ანხელ დი მარია*** *(რეალი, 3),* ***ანდერ ერერა*** *(ბილბაო, 1),* ***კრიშტიანო რონალდო*** *(რეალი, 6)* - ***დავიდ ბარალი*** *(სპორტინგი, 1).*



### ტურის გმირი

**ლეო მესი** (ბარსელონა)

მატჩის 91-ე წუთზე გაიტანა და „ბარსელონა" სეზონში პირველი მარცხისგან იხსნა. ეს მესის პირველი გოლია „სან მამესზე" და პირველი ჩემპიონატის საგარეო მატჩში.

### ტურის ფრაზები

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ახლა „რეალი" ან კარგად თამაშობს, ანაც ძალიან კარგად"*, - „ოსასუნას" 7:1 განადგურების შემდეგ.

**ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა): *„თუკი ვინმე ამ თამაშში მოგებას იმსახურებდა, ეს ჩვენ ვიყავით"*, - „ბილბაოსთან" 2:2 ფრის შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი. ფეხბურთის ნამდვილი ჰიმნი"*, - „სან მამესური" ბატალიის შემდეგ.

**ინიგო მარტინესი** (რეალ სოსიედადი): *„სათქმელი არაფერი მაქვს, სავსებით დამსახურებულად გამაგდეს"*, - ბასკი მცველი „ხეტაფესთან" მე-11 წუთზე გაძევების შემდეგ.

**გრეგორიო მანსანო** (ატლეტიკო): *„ჩემმა ფეხბურთელებმა უნდა გააცნობიერონ, რომ დიდი გუნდის მაისურები აცვიათ"*, - „ხეტაფესთან" 2:3 მარცხის შემდეგ.

**ლუის გარსია** (ხეტაფე): *„ჩვენ დავიმსახურეთ ასეთ სტილში მოგება, დროული იყო"*, - მადრიდული დერბის მოგების შემდეგ.

**ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე): *„მართალია, შედეგი სამართლიანია, მაგრამ ჩვენც ფატალურად არ გვიმართლებდა"*, - ვალენსიურ დერბიში მარცხის შემდეგ.

**მარსელინო** (სევილია): *„ძალიან ცოტა გავაკეთეთ იმისთვის, რომ სამ ქულაზე პრეტენზია გვქონოდა"*, - „მალიორკასთან" უგოლო ფრის შემდეგ.

### ტურის მსხვერპლნი

უპირველესად, ეს **ანხელ დი მარიაა**, რომელმაც მეორე ტაიმის მე-3 წუთზე მუხლის მყესი დაიზიანა და შესაცვლელი გახდა. არადა, იმ დროისთვის მის ანგარიშზე უკვე იყო 3 საგოლე პასი. დი მარიას ნოემბერში მოედანზე ველარ ვიხილავთ.

„რეალ სოსიედადის" კენიელი ლეგიონერი **მაკდონალდ მარიგა** კარგა ხანს დააკლდება გუნდს, მან ხელის ტრავმა მიიღო.

### ტურის ინციდენტი

ვალენსიურ დერბიში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა, „სიუტატ დე ვალენსიაზე", როცა „ვალენსიამ" პირველი გოლი გაიტანა, გახარებული ფანები ღობეს შემოახტნენ და იმანაც ვერ გაუძლო. შედეგად, 5 ფანი სერიოზულად დაშავდა, მათ მხრის და მუხლის ტრავმები აქვთ მიღებული. საბედნიეროდ, ინციდენტი უმსხვერპლოდ დასრულდა.

### პირველი

ივლისში „ეკიპმა" დაწერა, რომ 20 წლის **ფლორიან ლეჟონში** „ვილიარეალმა" 1 მილიონი ევრო გადაუხადა „ისტრს". ამის შემდეგ საფრანგეთის 20-წლამდელთა ნაკრების მცველი ჩვენი თვალთახედვის არეალიდან გაქრა (სეგუნდაში თამაშობდა) და აი, „ესპანიოლთან" მისი დებიუტი შედგა ლა ლიგაში, ის ბოლო წუთზე შევიდა.

### ტურის სტატისტიკა

27 გოლი ტურში (2,7 მატჩში). 3 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 6 ფრით დასრულდა, სტუმრებმა 1 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 61 ყვითელი და 6 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ-თრიკი - **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

დუბლი - **ქარიმ ბენზემა** (რეალი), **დავიდ ბარალი** (სპორტინგი), **მიჩუ** (რაიო ვალეკანო).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხოსე კამპანია** (სევილია, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **70 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **19 - ესპანიოლი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **10 - რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **26 - ბილბაო**

ყველაზე მეტი კუთხური: **11 - მალიორკა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **7 - სარაგოსა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **75% - რეალი**

**მალიორკა-სევილია 0:0**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ხავი ვარასი (სევილია)

**ბეტისი-მალაგა 0:0**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ალეხანდრო პოსუელო (ბეტისი)

**ლევანტე-ვალენსია 0:2**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ტინო კოსტა (ვალენსია)

**რეალი-ოსასუნა 7:1**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**გრანადა-რასინგი 0:0**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** მიკელ რიკო (გრანადა)

**სარაგოსა-სპორტინგი 2:2**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ხუან პაბლო (სპორტინგი)

**ესპანიოლი-ვილიარეალი 0:0**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ერნან პერესი (ვილიარეალი)

**რაიო ვალეკანო-სოსიედადი 4:0**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** მიჩუ (რაიო ვალეკანო)

**ბილბაო-ბარსელონა 2:2**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** ლეო მესი (ბარსელონა)

**ხეტაფე-ატლეტიკო 3:2**

**საუკეთესო ფეხბურთელი:** აბდელაზიზ ბარადა (ხეტაფე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 11 | 9 | 1 | 1 | 39-7 | 28 |
| 2. ბარსელონა | 11 | 7 | 4 | 0 | 34-6 | 25 |
| 3. ვალენსია | 11 | 7 | 3 | 1 | 17-9 | 24 |
| 4. ლევანტე | 11 | 7 | 2 | 2 | 17-9 | 23 |
| 5. სევილია | 11 | 4 | 6 | 1 | 11-8 | 18 |
| 6. მალაგა | 11 | 5 | 2 | 4 | 12-14 | 17 |
| 7. ესპანიოლი | 11 | 5 | 1 | 5 | 9-13 | 16 |
| 8. ვალეკანო | 11 | 4 | 3 | 4 | 14-13 | 15 |
| 9. ბილბაო | 11 | 3 | 5 | 3 | 17-14 | 14 |
| 10. ოსასუნა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-24 | 14 |
| 11. ატლეტიკო | 11 | 3 | 4 | 4 | 14-14 | 13 |
| 12. ბეტისი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-15 | 13 |
| 13. ვილიარეალი | 11 | 2 | 5 | 4 | 9-17 | 11 |
| 14. ხეტაფე | 11 | 2 | 4 | 5 | 12-17 | 10 |
| 15. მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 16. სარაგოსა | 11 | 2 | 4 | 5 | 12-22 | 10 |
| 17. სპორტინგი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-16 | 9 |
| 18. რასინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 7-15 | 9 |
| 19. გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 20. სოსიედადი | 11 | 2 | 2 | 7 | 9-18 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - ლიონელ მესი (ბარსელონა), 13 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - გონსალო იგუაინი (რეალი).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ტრანსფერები

# ვარსკვლავები ერთ ევროდ

ეკონომიკური მიმომხილველები სულ უფრო ხშირად ახსენებენ სიტყვა კრიზისს ესპანეთთან მიმართებით. ასე რომ, სეზონის ბოლოს ბევრ კლუბს მოუწევს „ლევანტეს" სატრანსფერო პოლიტიკის გამეორება, როცა ვალენსიელებმა მხოლოდ თავისუფალი აგენტები შეიმატეს. მოდი, გადავხედოთ სიას, რომელი ფეხბურთელები თავისუფლდებიან ხელშეკრულებებისგან სეზონის ბოლოს ლა ლიგაში. „რეალი" ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს **რიკარდო კარვალიოსთან**, რათა მცველს ავტომატურად ერთი სეზონით გაუხანგრძლივდეს კონტრაქტი და, თუ ასე მოხდა, „რეალს" სეზონის ბოლოს ერთი თავისუფალი აგენტიც არ ეყოლება, მაგრამ „სამეფო კლუბი" ამ მხრივ გამონაკლისია.

### ბილბაო

რაულ ფერნანდესი (მეკარე, 23 წლის), კოიკილი (მცველი, 31), აიტორ ოსიო (მცველი, 34), იგორ გაბილონდო (ნახევარმცველი, 32), გაისკა ტოკერო (თავდაამსხმელი, 27).

### ატლეტიკო

ანტონიო ლოპესი (მც, 30), ლუის პერეა (მც, 32).

### ბარსელონა

ხოსე პინტო (მეკ, 36), ერიკ აბიდალი (მც, 32), ისააკ კვენკა (ნახ, 20).

### ბეტისი

მიკი როკე (მც, 23), ხოსე ისიდორო (მც, 25), ნაჩო პერესი (მც, 31), ირინეი სანტოსი (ნახ, 30).

### ესპანიოლი

კიკო კასილია (მეკ, 25), ერნესტო გალანი (მც, 25), ვალტერ პანდიანი (თავ, 35), ტიევი ბიფუმა (თავ, 19).

### ხეტაფე

ხაიმე გავილანი (ნახ, 26), პედრო რიოსი (ნახ, 29), აბდელ ბარადა (ნახ, 22).

### გრანადა

ხოსე ფიგუერასი (მეკ, 32), ალან ნიომი (მც, 23), დიეგო მაინსი (მც, 28), ინიგო ლოპესი (მც, 29), დანი ბენიტესი (ნახ, 24), აბელ გომესი (ნახ, 29), ალექს ხეიხო (თავ, 29).

### ლევანტე

ნანო (მც, 31), ხუანფრანი (მც, 35), ასიერ დელ ორნო (მც, 30), ხავი ვენტა (მც, 35), სერხიო ბალესტეროსი (მც, 36), ხავიერ ფარინოსი (ნახ, 33), ხუანლუ გომესი (ნახ, 31), ვალდო (ნახ, 30), რაფა ხორდა (თავ, 27), კარლოს არანდა (თავ, 31), რუბენ სუარესი (თავ, 32).

### მალაგა

ხავიერ მალაგუენო (მც, 29), ველინგტონი (მც, 32), ელდერ როსარიო (მც, 31), ენცო მარესკა (ნახ, 31), რუუდ ვან ნისტელროი (თავ, 35).

### მალიორკა

პაბლო კასერესი (მც, 26), ნუნიეში (მც, 34), მარტი კრესპი (მც, 24), პაუ სენდროსი (მც, 24), პედრო ბიგასი (მც, 21), გონსალო კასტრო (ნახ, 27), ხოსეპ მარტი (ნახ, 36).

### ოსასუნა

რიკარდო (მეკ, 39), როვერსიო როდრიგესი (მც, 27), სერხიო ფერნანდესი (მც, 34), პაჩი პუნიალი (ნახ, 36), ხავიერ კალეხა (ნახ, 33), რაულ გარსია (ნახ, 25).

### რასინგი

მარიო ფერნანდესი (მეკ, 23), ხოსე პიკონი (მც, 23), ოსმარ ბარბა (მც, 23), ბერნარდო ესპინოსა (მც, 22), გონსალო კოლსა (ნახ, 32), პედრო მუნიტისი (ნახ, 36), კენედი ბაკირჩიოგლუ (ნახ, 30), ხულიან ლუკე (ნახ, 19), ადრიან გონსალესი (ნახ, 23), ხაირო (ნახ, 18), კრისტიან სტუანი (თავ, 25), მამადუ კონე (თავ, 19).

### რაიო ვალეკანო

დავიდ კობენიო (მეკ, 29), დანიელ ხიმენესი (მეკ, 28), ტიტო (მც, 26), ხოსე კასადო (მც, 25), ალეხანდრო არიბასი (მც, 22), რაულ ბრავო (მც, 30), ხორდი ფიგუერასი (მც, 24), სულეიტონ პერეირა (მც, 25), რაფა გარსია (ნახ, 25), ხოსე მოვილია (ნახ, 36), მიჩელი (ნახ, 36), პიტი (ნახ, 30), ნესტორ სუაეტა (ნახ, 26), ხავი ფუეგო (ნახ, 27), რაულ ტამუდო (თავ, 34), კოკე (თავ, 28), ანდრია დელიბაშიჩი (თავ, 30).

### რეალ სოსიედადი

ენო ზუბიკარაი (მეკ, 27), ტონიო (მეკ, 24), მიკელ არანბურუ (ნახ, 32).

### სევილია

ანდრეს პალოპი (მეკ, 38), ტომ დე მული (ნახ, 25), ემილიანო არმენტეროსი (ნახ, 25), ფრედერიკ კანუტე (თავ, 32).

### სპორტინგი

ანდრე კაშტრო (ნახ, 23), ალბერტო რივერა (ნახ, 33), ივან ერნანდესი (ნახ, 31), ნაჩო ნოვო (თავ, 32).

### ვალენსია

კრისტიან პერეირა (მეკ, 20), ბრუნო სალტორი (მც, 31), ჰედვიგეს მადურო (მც, 26), ანხელ დეალბერტი (მც, 28), მიგელი (მც, 31), დავიდ ალბელდა (ნახ, 34).

### ვილიარეალი

სესარ ფერნანდესი (მეკ, 40), დიეგო მარინო (მეკ, 21), ანხელ ლოპესი (მც, 30), მარიო გასპარი (მც, 20), მარკოს სენა (ნახ, 35), ხერარდ ბორდასი (ნახ, 30).

### სარაგოსა

ლეო ფრანკო (მეკ, 34), ხავიერ პარედესი (მც, 29), ანტონიო ტომასი (ნახ, 26), ლეონარდო პონსიო (ნახ, 29).

● იტალიის ნაკრები

# სანამ როსი და კასანო დაბრუნდებიან...

## პრანდელი სიახლეების ძიებაში

**11 და 15 ნოემბერი** სანაკრებო მატჩების დღეა და ბუნებრივია, უქმად არც „სკუადრა აძურა" იქნება. იტალიის ეროვნული ნაკრები ჯერ ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელს, პოლონეთის უმთავრეს გუნდს შეერკინება, შემდეგ კი ურუგვაისთან მოსინჯავს ძალებს. ჩეზარე პრანდელიმ იმ ფეხბურთელთა გვარები დაასახელა, რომლებსაც მოახლოებულ მატჩებში დაეყრდნობა - ჯერ შემადგენლობას გავეცნოთ, შემდეგ კი განვავრცოთ თემა...



**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დე სანქტისი (ნაპოლი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), ფედერიკო ბალცარეტი (პალერმო), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), დომენიკო კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), სტეფან ოგბინა (ტორინო), ანდრეა რანოკია (ინტერი).

**ნახევარმცველები:** ალბერტო აკვილანი (მილანი), ანტონიო ნოჩერინო (მილანი), დანიელე დე როსი (რომა), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა), ტიაგო მოტა (ინტერი), სიმონე პეპე (იუვენტუსი).

**თავდამსხმელები:** მარიო ბალოტელი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა), ალესანდრო მატრი (იუვენტუსი), პაბლო ოსვალდო (რომა), ჯამპაოლო პაცინი (ინტერი).

### დაცვა

**ჩეზარე პრანდელის** სიაში რვა ნომინალური მცველია, რომელთაგან ხუთი მუდმივად ხვდება „აძურას" შემადგენლობაში - შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც მათი გვარები: **ფედერიკო ბალცარეტი, ანდრეა ბარცალი, ჯორჯო კიელინი, დომენიკო კრიშიტო** და **კრისტიან მაჯო.** აქვეა **ანდრეა რანოკია**, რომელიც ერთი ხანობა ოფსაიდში რჩებოდა, თუმცა ბოლო დროს იძახებენ ნაკრებში და პრინციპში, შეგვიძლია ხუთეულსაც დავუმატოთ. დებიუტანტი არც **სტეფან ოგბინაა**, მაგრამ სტაჟიან „აძურელად" ჯერ მაინც არ ითვლება და მისი გამოძახება მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია. საინტერესოა, რომ სტეფანი „ტორინოს" ღირსებას იცავს, გუნდის, რომელიც სერია B-ში ასპარეზობს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ოგბინა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მცველად ითვლება იტალიაში და მისი საბაზრო ღირებულება დღეს დაახლოებით 20 მილიონ ევროს შეადგენს. მოკლედ, სერია B-ს მთავარი ვარსკვლავია და შემთხვევით არ იძახებენ ეროვნულ ნაკრებში.

ცალკე სალაპარაკო თემაა **ინაციო აბატეს** გამოძახება, რომელიც პირველად მოხვდა ქვეყნის რჩეულ ფეხბურთელთა შორის. „მილანის" განაპირა მცველის გამოძახებაზე კომენტარი პრანდელიმ საგანგებოდ გააკეთა: *„აბატეს თამაშს დიდი ხანია ვაკვირდები, ბოლო პერიოდში საგრძნობლად მოუმატა, ძალიან კარგად ათამაშდა და შესაბამისად, გამოვიძახე კიდეც. ინაციოს აუცილებლად მიეცემა შანსი და უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნულ გუნდში ასპარეზობის ღირსია. მჯერა მისი და ვნახოთ, როგორ გაამართლებს იმედებს".*

ეროვნულ ნაკრებში გამოძახებამ აბატე ძალიან გაახარა და ბოლოს სწორედ მის კომენტარს გავეცნოთ: *„ეს ჩემი ახდენილი ოცნებაა და ყველაფერს ვილონებ, რომ მწვრთნელის ნდობა ბოლომდე გავამართლო. ჩემი სურვილია, ეროვნულ გუნდში დავმკვიდრდე და „აძურას" სრულუფლებიან წევრად ვიქცე".*

### ნახევარდაცვა

შუა ხაზში იმ გვარებს ვხედავთ, რომლებიც სტაბილურად ხვდებიან ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. შედარებით ახალი სახე **ანტონიო ნოჩერინოა**, რომელიც მიმდინარე სეზონს შესანიშნავად ატარებს და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „მილანის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა.

პრანდელის ხუთი ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომლებიც ცენტრალურ ნახევარმცველებად ითვლებიან: ზემოთ აღნიშნული ნოჩერინო, **ალბერტო აკვილანი, ანდრეა პირლო, ტიაგო მოტა** და **რიკარდო მონტოლივო.** მოკლედ, ცენტრში დიდი კონკურენციაა და საინტერესოა, ვისზე გაკეთდება აქცენტი. „გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, პოლონელებთან სასტარტო თერთმეტეულში მონტოლივოსა და მოტას ვიხილავთ, ურუგვაის ნაკრებს კი მილანელები: ნოჩერინო და აკვილანი დაუპირისპირდებიან. უკონკურენციოა ანდრეა პირლო, რომლის მიმართაც პრანდელის უსაზღვრო ნდობა აქვს. საინტერესოა **სიმონე პეპეს** როლიც - „იუვენტუსში" კლასიკური გარემარბია, მაგრამ პრანდელის „აძურამ" ბოლო პაექრობები 4-4-2 სქემით გამართა; ანუ, დიდია ალბათობა, პეპეს სხვა პოზიციაზე მოუწიოს ასპარეზობამ. თუმცა, შესაძლოა პრანდელიმ შეცვალოს კიდეც სქემა, პრინციპში მისი ერთ-ერთი კომენტარი ამაზე ნამდვილად გვაფიქრებს და ბოლოს სწორედ ჩეზარეს მოვუსმინოთ:

*„ძალიან მინდოდა, რომ მარიო ბალოტელი ცენტფორვარდის პოზიციაზე გამომეცადა, ფლანგებიდან კი ჯუზეპე როსი და ანტონიო კასანო გამეშნესებინა. სამწუხაროდ, როსი და კასანო გამოგვაკლდნენ და ხანგრძლივი დროით ჩამოშორდნენ ფეხბურთს. ამიტომ, ალტერნატიულ ვარიანტებს მოვსინჯავთ და ვნახოთ, რა გამოვა".*

### თავდასხმა

თავდასხმას ნაწილობრივ უკვე შევეხეთ კიდეც, როდესაც პრანდელის კომენტარი მოვიშველიეთ, სადაც „სკუადრა აძურას" მწვრთნელი **ანტონიო კასანოსა** და **ჯუზეპე როსის** გამოკლების შესახებ საუბრობდა. პრანდელიმ ამ თემაზე ტაქტიკური ჭრილის გარეშეც ისაუბრა და კიდევ ერთხელ გადავცეთ სიტყვა:

*„რამდენიმე დღის წინ, კასანო მოვინახულე და ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი, რადგან თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. მითხრა, რომ ერთი სული აქვს როდის დაუბრუნდება მოედანს, რამაც ოპტიმიზმით აღმავსო. ჩემი ინფორმაციით, კასანოს და როსის დაბრუნებას დაახლოებით ხუთი თვე დასჭირდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპის ჩემპიონატზე მათი ასპარეზობა საკმაოდ რეალურია. სიმართლე გითხრათ, ამაში დარწმუნებულიც კი ვარ".*

სანამ კასანო და როსი დაბრუნდებიან, პრანდელიმ სხვა ხუთ ფორვარდზე შეაჩერა არჩევანი, რომელთაგან დღეს ოთხია მის განკარგულებაში. - დიახ, **სებასტიან ჯოვინკომ** სერია A-ს უკანასკნელ ტურში კოჭი დაიზიანა და ექიმთა დასკვნით, 99% ვერც ერთ სანაკრებო შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. მიუხედავად ამისა, ჯოვინკო არ ამოვილეთ სიიდან, რადგან ის 1% არსებობს და ვინ იცის, იქნებ გამართლდეს კიდეც.

განაცხადში ოთხი ისეთი ფორვარდია, რომლებსაც დაგვირგვინება უფრო ეხერხებათ, ვიდრე სიღრმიდან თამაში. ანუ, ისინი ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან და საინტერესოა, ვისზე უფრო მეტად გაკეთდება აქცენტი. ოთხიდან ორს ნებისმიერ შემთხვევაში სათადარიგოთა შორის მოუწევს ყოფნა, რადგან 4-3-3 ტაქტიკის შემთხვევაში ერთ-ერთ გარემარბად სიმონე პეპე უნდა მოვიაზროთ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჯოვინკოს დაშავების შემდეგ, ბევრი ალაპარაკდა **ანტონიო დი ნატალეს** ნაკრებში დაბრუნების შესახებ, თუმცა პრანდელიმ ეს ინფორმაცია მალევე უარყო. მისი თქმით, ტოტოს შესაძლებლობებს კარგად იცნობს, მის გამოძახებაზე ფიქრობს და შესაძლოა, აპირებს კიდეც, მაგრამ არა მოახლოებულ ორ პაექრობაში. მოკლედ, წინ ორი მეტად საინტერესო შეხვედრა გველის და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**ლაშა ნიკლაური**










ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიორენტინა

# მთელი იმედები დელიო როსიზე

XI ტურის მიმოხილვაში ვწერდით იმის შესახებ, რომ „კიევოსთან“ გასვლითი მარცხის შემდეგ, „ფიორენტინას“ გულშემატკივრებმა **სინიშა მიხაილოვიჩს** ობსტრუქცია მოუწყვეს და მას გადადგომისკენ მოუწოდეს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სერბ სპეციალისტს ვერონაშივე შეხვდა კლუბის სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** და მას პოსტის დატოვება საკუთარი ინიციატივით ურჩია, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. გავიდა რამდენიმე საათი და ფლორენციული კლუბის მესვეურებმა სინიშასთან კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს და ამის შესახებ სერბს წერილობით აცნობეს. ამ მოვლენიდან ერთი საათი არ იყო გასული და გაცხადდა, რომ „ფიორენტინას“ ახალ მთავარ მწვრთნელად **დელიო როსი** დაინიშნა და მას დებიუტი უკვე სერია A-ს მომდევნო ტურში, „მილანის“ წინააღმდეგ ექნება. აი ასე ელვისებური სისწრაფით განვითარდა მოვლენები და როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, თურმე ფლორენციელებსა და როსის შორის დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ეს ინფორმაცია კორვინომაც დაადასტურა:

„ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ სინიშა მიხაილოვიჩს საკმარისზე მეტი დრო მივეცით, მაგრამ ვითარება უკეთესობისკენ ვერაფრით შეცვალა. უკვე დიდი ხანია გუნდი არასტაბილურად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში „ვიოლასთვის“ შეუფერებელი ადგილი უკავია. მისი გათავისუფლების საკითხი ზაფხულშიც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ კიდევ ერთი შანსი მიგვეცა. მიმდინარე სეზონის სტარტმა დაგვანახვა, რომ არაფერი შეცვლილა და დაახლოებით ათი დღის წინ ახალი მწვრთნელის ძიება დავიწყეთ. ვფიქრობ, დელიო როსი სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც ამ ვითარებაში ყველაზე მეტად სჭირდება გუნდს და იმედია, ამჯერად მაინც გამართლდება ჩვენი მოლოდინი“.

**ლაშა ნიკლაური**



ამბები

## ფერნანდესი მკაცრად დასაჯეს

როტერდამის „ფეიენოორდის“ ფორვარდი **გიონ ფერნანდესი** ნეკ-ის მცველ **რენს ვან ეიდენის** ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 6-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. საგულდაგულოდ შეისწავლეს ამ ინციდენტის ვიდეოჩანაწერი და დაადგინეს, რომ 25 წლის ფერნანდესი ჩხუბის ერთადერთი ინიციატორია. სხვათა შორის, ფერნანდესი 2010 წელსაც დასაჯეს (მაშინ) 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით.



გიონ ფერნანდესი

## რუნის შეწყალება არ მითხოვიაო

ჩერნოგორიის ნაკრების წევრმა **მიოდრაგ ძუდოვიჩმა** უარყო ხმები, თითქოს, მან უეფას სთხოვა **უეინ რუნის** შეწყალება. შეგახსენებთ, რომ ევრო 2012-ის გადამწყვეტ შესარჩევ მატჩში რუნი ძუდოვიჩს ეუხეშა, რისთვისაც 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. ინგლისელთა შეტევების ლიდერი მთლიანად გამოტოვებს ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს და, ვინ იცის, იქნებ მთლიან პირველობასაც. ამ ინფორმაციამ რუსულ „ვესტიში“ გამოჟონა და, ბუნებრივია, ინგლისელებმა აიტაცეს. მაგრამ ძუდოვიჩი აცხადებს, რომ „ვესტიმ“ ფრაზა კონტექსტიდან ამოგლიჯა და დაამახინჯა.

## კიკე არაბეთში

მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა თავკაცმა **კიკე სანჩეს ფლორესმა** ოფიციალურად ჩაიბარა „ალ აჰლი“, მას შემდეგ, რაც არაბებმა თანამდებობიდან ჩეხი სპეციალისტი **ივან ჰაშეკი** გაანთავისუფლეს. ესპანელი დუბაიში ხუთშაბათს ჩაფრინდება და შეგახსენებთ, რომ კიკე ფლორესმა ევროპა ლიგის პირველი ტიტული მოიგო „ატლეტიკოსთან“ ერთად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნაკრები

# მინსკსა და ნიცაში

26 ნოემბერს მინსკის „სპორტის სასახლე“ ოლიმპიურ ჩემპიონ **ოლეგ კარავაევის** მემორიალს უმასპინძლებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მიწვეულნი არიან საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის, უკრაინის, ლიტვის, ყაზახეთის, საფრანგეთის, აშშ-ის და პოლონეთის ნაკრებები. ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელშიც ჩვენები ბოლო წლებში მუდმივად გამოდიან. მინსკი მათთვის ისედაც ნაცნობი ადგილია - ლამის ყოველი პირველხარისხოვანი ტურნირის წინ „სტაიკების ოლიმპიურ ბაზაზე“ ატარებენ ერთობლივ წვრთნებს, რადგან იქ სხვებიც სიამოვნებით ჩადიან სავარჯიშოდ და მუდამ ძლიერი შემადგენლობა იყრის ხოლმე თავს. ამჯერად **ბეგი დარჩიას** ასეთი გუნდი მიჰყავს ბელარუსში: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **არჩილ თურმანიძე** (66), **მანუჩარ ცხადაია, მანუჩარ კვირკველია** (ორივე-74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120). დარჩიას ორი სათადარიგო მონაწილის წაყვანა შეუძლია, თუმცა მხოლოდ ერთი მიჰყავს - **კვირკველია**, რომელსაც საჭიროებისამებრ იქ გამოიყენებს, სადაც დასჭირდება - 74-ში ან 84-ში. ცხადაია, იგი კვლავაც რჩება 66-ის მოჭიდავედ, თუმცა ამჯერად 74-ში გამოვა, რაც დარჩიას საშუალებას მისცემს, 66-ში **თურმანიძე** გამოსცადოს. ეს ბიჭი შარშან ძალიან კარგ სეზონს ატარებდა, თუმცა ავადმყოფობამ არც ევროპაზე გამოსვლის საშუალება მისცა და არც - მსოფლიოზე. სამწუხაროდ, მძიმე წონაში ვერ ხერხდება ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **შოთა გოგისვანიძის** გამოცდა - მას წელი სტკივა და ვერც უახლოეს ხანებში იასპარეზებს.

როცა ეროვნული ნაკრების მთავარი ბირთვი მინსკში იქნება, ზუსტად იმავე პერიოდში - 25-26 ნოემბერს „ფრანგული მარგალიტი“ ნიცა ოლიმპიურ ჩემპიონ **ანრი დეგლანის** მემორიალს უმასპინძლებს სამივე საჭიდაო დისციპლინაში, მაგრამ იქ ჩვენგან მხოლოდ ბერძენ-რომაელები გამოვლენ. ესეც ტრადიციული და ძლიერი შეჯიბრებაა, თუმცა ჩვენები აქამდე დიდად არ სწყალობდნენ. ახლაც ძირითადად ახალგაზრდული გუნდის გაგზავნა იგეგმება, მაგრამ ლაპარაკია ნაკრების რამდენიმე ტიტულოვანი კანდიდატის დამატებაზეც. ეს საკითხი საბოლოოდ მიმდინარე კვირის ბოლოს გაირკვევა.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# სიახლეები ჩემპიონატის პარალელურად

ბერძნულ პორტო-კარასში მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის პარალელურად გაიმართა ევროპის საჭადრაკო კავშირის გენერალური ასამბლეის სხდომა. 48 ქვეყნის დელეგატებმა კავშირის პრეზიდენტის **სილვიო დანაილოვის** წინადადებით რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. კერძოდ, 2012 წლის პირველი იანვრიდან ევროპის საჭადრაკო კავშირის ეგიდით გამართულ ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაში მოასპარეზეებისა და ჩინოვნიკებისთვის სავალდებულო იქნება დრეს კოდი, 40 სვლამდე აიკრძალება ყაიმის შეთავაზება. მოჭადრაკე ვაჟთა 2013 წლის ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება

2011
GREECE
EUROPEAN
TEAM
CHESS
CHAMPIONSHIPS



პლოვდივს (ბულგარეთი) მიენიჭა. ამასთანავე, სილვიო დანაილოვმა და თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა **ალი ნიჰატ იაზიჩიმ** ხელი მოაწერეს ოფიციალურ კონტრაქტს, რომლის შესაბამისადაც მოჭადრაკე ქალთა 2012 წლის ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი 1-14 მარტს თურქეთის ქალაქ გაზიანთეფში გაიმართება. მისი საპრიზო ფონდი იქნება 120 000 ევრო. იქვე 15-19 მარტს სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცშიც ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი 30 000 ევროს საპრიზო ფონდით.

ახლა კი პორტო კარასში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის გუშინდელი მე-6 ტურის შედეგების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენებურებზე სასიამოვნოს ვერაფერს გეტყვით: საქართველოს ქალთა ნაკრებმა უკრაინის ეროვნულ გუნდთან წააგო 1:5:2,5 (**ნინო ხურციძემ** მარია მუზიჩუკს აჯობა, **ლელა ჯავახიშვილმა** ქულა გაიყო ნატალია ჟუკოვასთან, **ნაზი პაიკიძე** ანა უშენინას დანებდა, ხოლო **ნანა ძაგნიძე** – კატერინა ლახნოს). ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **რუსეთი-პოლონეთი 2:2** (ნადეჟდა კოსინცევა-მონიკა სოჩკო 1:0, იოლანტა ზავადსკა-ტატიანა კოსინცევა 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა-იოანა მაიდანი 0:1, კარინა ჟერკოვსკა-ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5), **ჩეხეთი-საფრანგეთი 1,5:2,5, უნგრეთი სლოვენია 1,5:2,5, სერბეთი-ჰოლანდია 2,5:1,5, საბერძნეთი-სომხეთი 1:3, გერმანია-რუმინეთი 3:1.** ექვსი ტურის შემდეგ: რუსეთი-11 (17), უკრაინა-10 (16), პოლონეთი-9 (16), სერბეთი-8 (15,5), სლოვენია-8 (15), საფრანგეთი-8 (14), საქართველო-8 (13,5), სომხეთი-8 (13).

ვაჟთა ტურნირში საქართველოს ნაკრები სლოვენიასთან დამარცხდა. პირველ დაფაზე **ბაადურ ჯობავა** შავი ფიგურებით თავის ყოფილ მწვრთნელ ალექსანდრ ბელიავსკის შეუთანხმდა ყაიმზე, ასევე დაზავდნენ **დავით ზარქუა** და მატეი ზებენიკი, **მიხეილ მჭედლიშვილი** და იური ბორისეკი, **ლევან ფანცულაიამ** კი ლუკა ლენიჩთან წააგო. **საფრანგეთი-ბულგარეთი 2:2, საბერძნეთი-რუმინეთი 1,5:2,5, რუსეთი-აზერბაიჯანი 1,5:2,5, სომხეთი-ესპანეთი 2,5:1,5, გერმანია-იტალია 3:1, ჰოლანდია-პოლონეთი 2,5:1,5.** ექვსი ტურის შემდეგ: რუმინეთი-10 (15,5), აზერბაიჯანი-10 (15), ბულგარეთი-10 (15), სომხეთი-9 (15,5), გერმანია-9 (15), საფრანგეთი-9 (14,5). საქართველო 6 ქულით (15) მე-16 ადგილზეა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: **ქალები.** სომხეთი-რუსეთი, პოლონეთი-უკრაინა, **საქართველო-სლოვენია**, საფრანგეთი-სერბეთი. **ვაჟები.** ბულგარეთი-აზერბაიჯანი, რუმინეთი-გერმანია, საფრანგეთი-სომხეთი, უნგრეთი-სლოვენია, ჰოლანდია-საბერძნეთი... **საქართველო-ხორვატია.**

**ვაჟა დანელია**

ფოტომატიანე



1950 წელი. ქუთაისის კალათბურთელთა ნაკრები. მარცხნიდან: შოთა მესხი, მიხეილ ჩოგოვაძე, გ. ბეჟანიშვილი, შოთა გოგინოვი, გივი ყაველაშვილი, პ. სანიკიანი, დ. ცირეკიძე, ოთარ ადეიშვილი, ზ. ალხაზიშვილი, ვაჩიბერიძე, რ. გუმბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვიის სროლა. ქველიაშვილის თასი

# თასს მეზობლებმა უკეთ დაუმიზნეს

**გუშინ ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ცნობილი ქართველი მსროლელის, ევროპის სამგზის ჩემპიონისა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან შოთა ქველიაშვილის თასზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.**



შოთა ქველიაშვილი (1938-2004)

უცხოელთაგან მასში ამჯერადაც მხოლოდ აზერბაიჯანელები მონაწილეობენ, თუმცა ჩვენები სხვების მოწვევაზე დიდად არც ზრუნავენ, რადგან საქართველოში არსებული ეს ერთადერთი კეთილმოწყობილი ტირი, სამწუხაროდ, არც ისე დიდია და ბევრ მონაწილეს ვერც დაიტევს. მართალია, ქვეყანაში არსებობს კიდევ 1-2 დახურული ტირი, მაგრამ იქ არათუ საერთაშორისო, ადგილობრივი მნიშვნელობის შეჯიბრებების გამართვაც კი შეუძლებელია. იმედია, ერთხელ და სამუდამოდ დაადგება საშველი მსროლელთა ბაზის მშენებლობას ვარკეთილში, სადაც მესტენდურებსაც ელირსებათ კეთილმოწყობილი სასროლეთი და - ტყვიის მსროლელებსაც.

აზერბაიჯანელები ამჯერადაც მოზრდილი გუნდით ჩამოვიდნენ, რომელსაც ტრადიციულად მსოფლიოს სამგზის ვერცხლისა და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **ირადა აშუმოვა** ლიდერობს. გუნდშია მისი დისშვილი **ნიგიარ ბაგიროვაც**, სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილი ჩუბინი კი მათ არავინ ჰყავთ. მთლიანობაში ტურნირში 50-მდე მსროლელი გამოდის.

გუშინ გაიმართა შეჯიბრებები ქალთა და ვაჟთა შორის. ქალებში მასპინძელთაგან სტუმრებს მეტოქეობა მხოლოდ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** გაუწია, თუმცა გამარჯვება მაინც აზერბაიჯანელებს დარჩათ. აშუმოვამ ჯამში 479,7 ქულა დააგროვა და ოქროს მედალსაც დაეუფლა, სალუქვაძემ 477,9-ით ვერცხლი მოიპოვა, ბრინჯაო კი ბაგიროვამ ირგუნა-469,8.

სტუმრების გამარჯვებით დასრულდა ვაჟთა ტურნირიც, თუმცა იქ საპრიზო სამეულში რიცხობრივი უპირატესობა ქართველთა მხარესაა. წინა წლებში აქ აზერბაიჯანელი **რუსლან ლინიოვი** იმარჯვებდა, რომელიც ახლა ჯარშია გაწვეული და ვერ გვესტუმრა, თუმცა პირველობა მაინც შარშანდელ გამარჯვებულ აზერბაიჯანელს **რასულ მამედოვს** ხვდა, რომელმაც ჯამში 676,5 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე მასპინძელი **ლევან ქადაგიძე** გავიდა 665,2-ით, ბრინჯაო კი 658,6-იან მის თანაგუნდელ **დავით ახვლედიანს** ერგო.

დღეს ქველიაშვილის თასის მოსაპოვებლად ბიჭები იასპარეზებენ, ხვალ - გოგოები. ხვალვე გაიმართება დაჯილდოება და შეჯიბრებაც დაიხურება.

ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს ტურნირი ახალი სეზონისთვის მზადების ერთ-ერთი პირველი ეტაპია. წლეულს მათ წინ აქვთ კიდევ ერთი შეჯიბრება - 17-18 დეკემბერს ისევ სალუქვაძის სახელობის ტირში საქართველოს თასის გათამაშება ჩატარდება. უცხოელთა, კონკრეტულად კი აზერბაიჯანელთა მოწვევა იქაცაა განზრახული, მაგრამ მათი სტუმრობა ნაკლებადაა მოსალოდნელი.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი 50 ქულას შეელია



ანა ტატიშვილი

უპირველესად ქართველ ჩოგბურთელთა ახალ მდგომარეობას გაგაცნობთ რეიტინგ-ლისტში. WTA: 87 (-) **ანა ტატიშვილი** - 776 ქულა; 177 (-7) **მაკა ჩახნაშვილი** - 359; 287 (-8) **სოფიო შაფათავა** - 186; 306 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 163; 403 (+4) **ეკა გორგოძე** - 97; 453 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 82; 467 (-) **თათია მიქაძე** - 78; 993 (-5) **ნათია გეგია** - 11; 1014 (+1) **ანი გოგვაძე** - 10; 1209 (+6) **მაგდა ოქრუაშვილი** - 3. ATP: 1197 (-15) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1310 (-9) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1487 (-13) **ალექსანდრე მეტრეველი** - 1.

ჩვენი პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი წესით ფინიქსის საერთაშორისო ტურნირში უნდა გამოსულიყო, სადაც მას მე-2 ნომრად განთესავდნენ. მაგრამ ბოლო მომენტში ტატიშვილმა გადაიფიქრა იქ გამოსვლა, რის გამოც შარშან მოპოვებულ 50 ქულას დაკარგავს, ეს კი ქართველს რეიტინგში 5-6 ადგილის დაკარგვად დაუჯდება. ეკა გორგოძე ანთალიაში, 10-ათასიან ტურნირშია მე-3 ნომრად განთესილი. მისი პირველი მეტოქე უნგრელი **სილა ბორშანია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**






# თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი დავით მუჯირი

## გადაბრუნდი, მუჯირი!

ეს ამბავი ანეკდოტად დადიოდა ქალაქში თავის დროზე.

ჩვენს სტადიონზე მოსკოვის (აღარ მახსოვს) რომელიღაც ძლიერ გუნდს ვეთამაშებით. თამაში მართლაც აზარტული და საინტერესო გამოდგა. ძალს ჩვენ ვართ, ძალს - რუსები. გახურდა და რა გახურდა თამაში. ისეთი ტემპი შევთავაზეთ თბილისელ გულშემატკივრებს, რომ სტადიონზე ყურთასმენა აღარაა. ბღავილამდეა მისული მაყურებელი.

ჩვენი მორიგი შეტევაა, არც მთლად ზუსტი, მაგრამ უსწრაფესი. „პასი“ გამოუშვეს ჩემკენ. „ავიწყვიტე“ ადგილიდან, ბურთს მივწვდი, მაგრამ ნამეტანი წინ გავიგდე. გავიგდე და გამოვენთე, მაგრამ ბურთი ჩემზე სწრაფი გამოდგა, არ შევშინდი, მივდიე ბოლომდე და მე და ბურთი ერთად აღმოვჩნდით მოედნის გარეთ მოწინააღმდეგის კარის გასწვრივ.

აბღავლებული სტადიონი გაწბილებისგან ერთბაშად ჩაქრა, ჩაინავლა და ჩადუმდა. ამ სიჩუმეში მოულოდნელად გავიგონე ტრიბუნებიდან გამოტყორცნილი გულშემატკივრის „სოლო შეძახილი“

- მუჯირი!!!! დათოოო!!!

ინსტინქტურად გავიხედე ხმის მიმართულებით. აშკარად ვიგრძენი, ან „დალუპული“ ქუთაისელი ფანი იყო, ან „გამშპარი გურული“.

ხმას როგორ ამოვიღებდი მაგრამ „სოლო გამომსვლელი“ მიხვდა, რომ გავიგონე მისი ხმა:

- გასული ხარ, „დამკაში“, გასული და... გადაბრუნდი ახლა... გადაბრუნდი!!!

## დაყრუებული გოლკიპერი

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებია. კახეთში მეგობარ გელა ნადირაშვილს ვეწვიეთ სტუმრად მე, ნოდარ ხიზანიშვილი და ოთარ გაბელია მეუღლეებითურთ.

ქეიფი გვიანამდე გაგრძელდა. ღამის 2 საათზე მოულოდნელად ავტყდი - თელავში უნდა გადავიდე მოყვრებთან - გინდათ თუ არა-მეთქი. ბევრი მიშალეს, მაგრამ მთვრალი გურულის გადარწმუნება ასე ადვილია?! ქალებს უკვე ეძინათ. ნოდარ ხიზანიშვილი მომიჯდა გვერდით. არც ოთარ გაბელია აღმოჩნდა წინააღმდეგი, „სადაც თქვენ, მეც იქო“ და „ჩაჯ სვენა“ უკანა სავარძელში.

ნახევარ საათში მთელი სამოყვრო ჩემი მანქან.ს სიგნალის ხმამ გაალვიძა:

- ჰეეეი, მასპინძელო! მოვიდა თქვენი საყვარელი სიძე! - ვიძახი ომახიანად. დიდხანს არც გავჩერებულვართ. არც ოჯახში შევედით, იქვე, მანქანასთან გამოიტანეს პურმარილი. მანქანაში მაგნიტოფონი მაქვს ჩართული და ბოლო ხმაზე აწეული. გუგუნებს იქაურობა. როგორც მივედით, ისევე მალე გამოვბრუნდით. მე და ნოდარმა კი შევსვით ოთხ-ოთხი სავალდებულო სადღეგრძელო, გაბელიას საერთოდ არ დაულევია ერთი უმარტივესი მიზეზის გამო... ეძინა... გზაში დაგვათენდა.

მეორე დღეს გავილვიძეთ.

- როგორ ხარ? - ვეკითხები ეზოში გამოსულ ოთარს. ხმას არ იღებს.

- როგორ ხარ, როგორ?! - გავუმეორე. მაგრამ ახლაც უშედეგოდ, არ იღებს ხმას და იღიმება:

- რა მოუვიდა ამას? - გადავხედე ხიზანიშვილს.

- რა ვიცი მე! - აიჩეჩა მხრები, თუმცა მალე „მიხვდა“:

- ბიჭო - მეუბნება - როგორ გიპასუხებს ეგ კაცი. დაგავიწყდა, მეგრელი როა? მეგრულად უთხარი.

იცოცხლე, დავატრიალე მეგრული კითხვები, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. გაბელია ხმას არ გვცემს.

როგორც იქნა მივხვდით. უკანა სავარძელზე რომ ეძინა, თურმე თავი მაგნიტოფონის დინამიკზე ედო და ძილში „გამოყრუებულა“. შევუდექით მკურნალობას თბილისში. ექიმმა გვითხრა საშიში არაფერია, დრო უნდა და გაუვლისო. დავმშვიდდით, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა ერთი კალენდარული მატჩი გამოატოვებინა - მაყურებლის ხმას მაგი ვერ გაიგონებს და კარში დგომის დროს რომ ჩაეძინოს, დავიღუპებითო.

მის მერე ოთარი უკანა სავარძელზე დაჯდომას ყოველთვის ერიდებოდა.

## მომიკიდე-რა!

კუიბიშევში გვქონდა გასვლითი მატჩი. თამაშის შემდეგ სასტუმროში დავბრუნდით, რადგან იმ ღამეს ფრენა არ იყო და მოვეწყვეთ ნომერში მე, ვახტანგ (ტუხა) ქორიძე და შოთა ხინჩაგაშვილი.

არ გვეძინება შთაბეჭდილებებით დახუნძლულებს, რაღაცნაირ ეიფორიაში ვართ. მე და ტუხამ გავახურეთ კარტის თამაში. შოთა ჩვენზე „წესიერი“ აღმოჩნდა და თამაშზე უარი თქვა. იჯდა და გვიყურებდა მოწყენილი და ჩაფიქრებული.

ტუხამ „მალბოროს“ (მაშინ მაგარი სიგარეტი იყო) კოლოფი გახსნა და ვეწევით. შოთა საერთოდ არ ეწეოდა და კაეშანი უფრო მოეძალა.

სად გვცალია მაგისი კაეშნისთვის. მე და ტუხა ვუბერავთ ერთდროულად კარტს და სიგარეტს.

არსებობს ბუნებაში თავისებური კანონზომიერება: „ღმერთი ნეტარებას ბოლომდე არ გაცლის“. გაგვითავდა ასანთის ღერები. ერთი ცალიღა დარჩა.



დავით მუჯირი (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

არადა, ჩვენ გარდა ყველას სძინავს, ვერ ვიშოვით.

ტუხამ გამოსავალი მოძებნა. დარჩენილი, ბოლო ღერით მოუკიდა სიგარეტს და მმოძღვრავს:

- რაია თუ იცი! - ახლა მე მოვწევ, ბოლომდე რომ მოვწევ, მერე იმ ნამწვავიდან შენ მოუკიდე და შენ რომ ბოლოში ჩახვალ - მერე მე მოვუკიდებ და მე რომ ბოლოში ჩავალ შენ მოუკ... მოკლედ, გულმოდგინედ ვიცავთ რიგს.

ეს „აღმოჩენა“ არცთუ „რენტაბელური“ გამოდგა, ასე მიჯრილად და იძულებითი მოწევისგან ისე გავლურჯდით, ერთმანეთს ვეღარ ვცნობთ.

- ე ბიჭო, ცოცხალი ენციკლოპედია ხარ და მოიფიქრე რამე თუ არა ისე გავიბერე ამ სიგარეტის ბოლით, საცაა ბუშტივით გავფრინდები ჰაერში-მეთქი - შევძახე ტუხას. ტუხა რისი ტუხაა გამოსავალი არ მოეძებნა და ეცა შოთას:

- ე ბიჭო, ახლა შენ გადაუკიდე ჩვენიდან და ჩვენ ცოტას შევისვენებთ ამასობაში! - დაავალა ხინჩაგაშვილს.

- რას ამბობთ თქვენ! - გადაგვერია შოთა - ვუიზნი არ მომიწევია და...

- რას ჰქვია, არ მოგიწევია! - გაუბრაზდა და რა გაუბრაზდა ტუხა - არ მოგიწევია და ახლა მოწიე! ვერ ხედავ, რომ ვიღუპებით ორი კაცი ერთი გუნდიდან. „ს ატრავლენიემ ნიკოტინა?!“ - „ჩაურუსულა“ მეტი დამაჯერებლობისთვის. სხვა რა გზა იყო და შოთამ იკისრა, მოუკიდა და „მორიგეობს“. ჯერ ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მეორე და მესამე ღერი უფრო ადვილად გადაიტანა. ეგ კი არა, მეოთხე და მეხუთე თვითონ გამოგვგლიჯა ხელიდან. გათენდა კიდეც და გამოვფრინდით თბილისში.

შოთა იმ დღეს მერე უსიგარეტოდ აღარ გვინახავს. მიეჩვია ერთ ღამეში.

კაცმა რომ თქვას სწორიცაა, თუ მეგობარი ხარ, ბოლომდე უნდა იმეგობრო, ძმაო!

## პუპუ, პუპუ!

ერთ ჩვენს ფეხბურთელს (გვარს შეგნებულად არ ვამბობ) ერთი ორთაბრძოლისას სამი კბილი ჩამოტყდა (უარესებიც ხდება) და მერე პროთეზი ჩაისვა. ეს ისე მოხდა, რომ იმ პროთეზების ამბავი ჩვენ არ გაგვიგია (ზოგი სტომატოლოგი მართლაც „მხეცია“). ასე 2 თვის შემდეგ მოსკოვის „დინამოს“ ვეთამაშებით, თბილისში.

ძალიან კარგ პოზიციაში მივიღე ბურთი და უცბად, ზემოთ რომ მოგახსენეთ - ის ფეხბურთელი მეძახის:

- პუპუ, მომე ბურთი - პუპუ!

უკეთეს პოზიციაში იყო კაცი და ელვისებურად გავუგზავნე „პასი“.

რად გინდა მერე... ბურთისკენ გაიხედა და გგონიათ? არ გეტკინოთ არაფერი. ბურთმა იარა, იარა და გადაკვეთა გვერდითი ხაზი. გავშრი კაცი... ეს შტერი, რომელმაც პასი მომთხოვა, ცირკის ცხენივით ტრიალებს იქვე, ორი მეტრის რადიუსის სიბრტყეზე და ჩაშტერებია ბალახს.

- რა ქენი, კაცო, ეს! - მივვარდი აქოშინებული, თუ თავი არ გქონდა, რას მთხოვდი ბურთს - პუპუ, პუპუო! - დავაყარე საყვედურები.

- მაცალე, კაცო, შენ! მაცალე - შემაკავა ხელით. რა მეპასება, რა!

- რა იყო, დეპეშა ხვარ მიიღე ცუდი? - შემეშინდა.

- დეპეშა კი არა, „მუმუ“ უნდა დამეძახა და ამ პროთეზების გადამკიდემ „პუპუ“ დაგიძახე და ამომივარდა პირიდან. მომაძებნინე თუ არა გაგიხეთქავ თავსო. ვილას ახსოვდა თამაში, ის 300-დოლარიანი პროთეზი რომ ვინმეს ფეხით გაეტეხა ხომ მართლა მომკლავდა!

შევუდექით „ჭიავ, ჭიავ მაპოვნინე“-ს და მალევე ვიპოვეთ, ისე, რომ მაყურებელს არაფერი გაუგია, არადა, იღუპებოდა კაცი. ვაა, რა ბედი მაქვს!!!

## ვაი, წელიიი!!!

იტალიაში ვართ. ხვალ მაგარი საპასუხისმგებლო მატჩია. მე და შოთა ხინჩაგაშვილი ერთ ნომერში ვართ სასტუმროში. ღამეა... გვძინავს და შოთას ხმა მაღვიძებს:

- ვაი წელიიი... ვკვდები, წელიიი!!! დავაყურე... ცოტა ხანს გაჩუმდა, მაგრამ ისევ ატეხა:

- წელიიი!! - მიშველეთთ!!! - არადა, სძინავს, კაცო.

ავანთე შუქი, ვუზელ წელს. გგონიათ ილვიძებს? „კარგია, კარგი, მიდი, მიდი!“ მეც, თავს არ ვზოგავ, მასკდება ოფლი.

- მადლობა, ანზორ! - თქვა ბოლოს და... გააგრძელა ძილი.

მეორე დღეს ვარდივით გამოიყურებოდა, არც წელი ახსოვდა და, რა თქმა უნდა, არც ტკივილი. მაგრამ ჩემს გულს ღრღნიდა შეურაცხმყოფელი ეჭვი: „რატომ მადლობთ, ანზორ, და არა დათო?“

- კარგად მოგიხდა ხომ ჩემი მასაჟი? - ვეკითხები გამომცდელად.

- შენ რა შუაში ხარ, მადლობა ანზორ გაბიტაშვილს უნდა ვუთხრა, გადამარჩინა კაციო.

...თურმე სიზმარში ხედავდა, რომ მასაჟს ჩვენი ექიმი ანზორ გაბიტაშვილი უკეთებდა.

ბედია ეს?!!!

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ევროჩელენჯი

# ტა, ტა, ტა, მოვიდა სანდიატა!

- აგერ გვყოლია კარგი ბიჭი - მომავალ შესარჩევში საქართველოს ნაკრებში სანდიატა გაინსი ვათამაშოთ. ფიზიკურადაც ძლიერია, სისწრაფეც აქვს, აზროვნებაც, პასიც იცის და ბურთის ჩაგდებაც. ახალგაზრდა შემონდ უილიამსია, - მითხრა ჩემმა კოლეგამ „არმია“-“გოტინგენის“ მატჩის დასრულების შემდეგ (თუმცა საკითხავია, თავად გაინსს სურს ქართული პასპორტი?). კალათბურთელის გადამეტებული ქება არ ღირს, მაგრამ გუშინ მოედანზე გაინსი მთავარი მოქმედი პირი იყო.

მან პირველ ტაიმშივე გამოავლინა მაღალი კლასი: 3-დან 3 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო, 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და დიდ შესვენებაზე 15 ქულით გავიდა. შეხვედრის ყველაზე ეფექტური ეპიზოდიც გაინსზე მოდის: მესამე პერიოდის დასრულებას წამები უკლდა, იგი საკუთარი ნახევრიდან „გოტინგენის“ ფარქვეშ თვალის დახამხამებაში შეიჭრა და **უილიამ ტომასს** ისეთი პასი გაუკეთა, ჩატენვის გარდა სხვა გზა არ დაუტოვა. უილმა ერთი საჯარიმოც მიაყოლა და მესამე პერიოდის წინ „არმია“ ათით დააწინაურა - 58:48.

ბოლო წუთებზე, როცა გერმანელებმა სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს და მთელი დარბაზი სუნთქვაშეკრული შესცქეროდა თამაშს, გაინსმა შორეული სამქულიანი მშვიდად ისროლა და, რა თქმა უნდა, ჩააგდო - 78:71 (სირენამდე 1:14 წუთით ადრე). ეს უკვე გამარჯვების ტოლფასი იყო...

გაინსი მატჩის ბომბარდირი გახდა, 24 ქულა მიითვალა (7-დან 5 სამქულიანი).

„არმიის“ ამერიკელ გამთამაშებელზე ბევრი კი ვილაპარაკეთ, მაგრამ გუშინდელი გამარჯვება ერთ კალათბურთელს არ მოუტანია - 82:76 გუნდის მონაპოვარია. მართალია, რიგ ეპიზოდებში **ჯერემი რიჩარდსონი** აჩქარდა, მაგრამ როცა შეხვედრის ბედი სასწორზე ალმოჩნდა, საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობა სრულად გამოავლინა. თავად განსაჯეთ: რიჩარდსონს საწყის სამ პერიოდში 8 ქულა ჰქონდა, მეოთხე რაუნდში კი 9 მიამატა და სულ 17 მოუგროვდა. მას ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა.

სანდიატა გაინსს გამთამაშებლის პოზიციაზე ზოგჯერ ცვლიდა **გილერმო დიასი**, თუმცა პუერტორიკოელი ძირითადად მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა. სროლის სიზუსტით ჩვეულად ვერ გამოირჩა, მაგრამ გუნდისთვის მეტად სასარგებლო იყო, რაზეც თუნდაც 8 შედეგიანი გადაცემა მეტყველებს.

- დიასს საკუთარი შესაძლებლობები ჯერ არ უჩვენებია, მაღალი კლასის უკანახაზელია, გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, - აღნიშნა ნამატჩევს „არმიას“ მეორე მწვრთნელმა **ვაჟა მხეიძემ**.

არმიელებს ფარქვეშ დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რაც მოხსნებში გამოიხატა, გერმანელებს ამ კომპონენტში 51:30 ვაჯობეთ. სამი პერიოდის შემდეგ ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთებით ჩვენი გუნდი 20:14-ს იგებდა... ეს ყველაფერი მძიმე ფორვარდის უილიამ ტომასისა და ცენტრის **იოაკიმ შელბომის** დამსახურებაა. მათ ერთობლივად 28 მოხსნა მიითვალეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გოტინგენელები სამწამიან ზონაში ქვითკირის კოშკებივით მტკიცედ იდგნენ და მასპინძელ მეფარეებს ბურთის ჩაგდება უჭირდათ. ტომასმა ყველაზე მეტი, 40 წუთი ითამაშა, რაც მის ღირებულებაზე მიუთითებს.

მთავარმა მწვრთნელმა, **კოტე ტულუშმა** მხოლოდ სამი ქართველი ათამაშა: **ანატოლი ბოისა** 11 წუთით, **დავით საყვარელიძე** - 3 წუთით, **ზვიად ბაბიაშვილი** - 5 წუთით. დათომ და ზვიადმა ბევრი ვერაფერი მოასწრეს, ანატოლიმ კი თავი ენერგიული თამაშით დაგვამახსოვრა, შეტევაშიც აქტიური იყო. ნამატჩევს მთავარ მწვრთნელს ქართველ კალათბურთელებზე ვკითხეთ:

- დღეს ევროჩელენჯზე პირველი თამაში ჩავატარეთ, საწყისი შეხვედრა ყოველთვის მძიმეა. ამიტომ ძირითადად ლეგიონერებს დავეყრდენი, მომდევნო მატჩებში ქართველები მეტად დაიტვირთებიან.

8 ნოემბერი. თბილისი

სპორტის სასახლე

## არმია-გოტინგენი 82:76

23:14, 20:20, 15:14, 24:28

8 000 მაყურებელი

*მსაჯები:* *სეფი შემეში (თურქეთი), დიმიტარ გოლოგანოვი (ბულგარეთი), საშა პეტეკი (სლოვენია)*

| | არმია | წთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ. | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4 | რიჩარდსონი | 31 | 6/15 | 40.0 | 4/7 | 57.1 | 2/8 | 25.0 | 3/4 | 75.0 | 2 | 7 | 9 | 2 | 3 | 1 | 0 | 3 | 4 | 17 |
| 5 | ბაბიაშვილი | 5 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 6 | ა. ბოისა | 11 | 1/5 | 20.0 | 1/3 | 33.3 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 |
| *10 | ტომასი | 40 | 6/16 | 37.5 | 6/14 | 42.9 | 0/2 | 0.0 | 6/7 | 85.7 | 5 | 8 | 13 | 2 | 3 | 3 | 1 | 2 | 5 | 18 |
| *14 | შელბომი | 35 | 3/8 | 37.5 | 3/8 | 37.5 | 0/0 | 0.0 | 3/7 | 42.9 | 6 | 9 | 15 | 0 | 1 | 1 | 6 | 3 | 5 | 9 |
| *15 | დიასი | 37 | 3/7 | 42.9 | 2/3 | 66.7 | 1/4 | 25.0 | 3/3 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 8 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 10 |
| 21 | საყვარელიძე | 3 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *24 | გაინსი | 38 | 8/15 | 53.3 | 3/8 | 37.5 | 5/7 | 71.4 | 3/4 | 75.0 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 0 | 0 | 3 | 3 | 24 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 0 | | | 0 | | |
| ჯამი | | | 27/69 | 39.1 | 19/44 | 43.2 | 8/25 | 32.0 | 20/27 | 74.1 | 20 | 31 | 51 | 18 | 14 | 8 | 8 | 15 | 23 | 82 |

| | გოტინგენი | წთ | თამ.სრ. | % | 2ქ | % | 3ქ | % | 1ქ | % | მ.მეტ. | მ.საკ. | მ.სულ. | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *11 | აპელებე | 37 | 3/5 | 60.0 | 2/4 | 50.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 5 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 7 |
| *12 | დეილი | 33 | 3/11 | 27.3 | 1/5 | 20.0 | 2/6 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0 | 2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 5 | 2 | 10 |
| *21 | ჰორნი | 38 | 8/14 | 57.1 | 4/9 | 44.4 | 4/5 | 80.0 | 2/4 | 50.0 | 1 | 5 | 6 | 2 | 3 | 2 | 1 | 2 | 4 | 22 |
| 22 | ნოხი | 15 | 0/4 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 |
| 24 | უებერი | 1 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| *25 | სონდერსი | 33 | 5/9 | 55.6 | 2/4 | 50.0 | 3/5 | 60.0 | 0/1 | 0.0 | 2 | 6 | 8 | 4 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 | 13 |
| 32 | საიკსი | 14 | 2/5 | 40.0 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 | 3 | 6 |
| *44 | მაფრა | 28 | 8/12 | 66.7 | 8/12 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 9 | 9 | 0 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | 18 |
| გუნდი | | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | 0 | | | 0 | | |
| ჯამი | | | 29/62 | 46.8 | 19/41 | 46.3 | 10/21 | 47.6 | 8/11 | 72.7 | 4 | 26 | 30 | 16 | 13 | 7 | 4 | 23 | 15 | 76 |



ალექსანდრე კობიაშვილის ფოტო

გილერმო დიასი თავის სტიქიაში

„არმიას“ კალათბურთელებზე ინდივიდუალურად ვილაპარაკეთ, ახლა შეხვედრის ზოგადი სურათი მოვხაზოთ.

ვერავინ წარმოიდგენდა, „გოტინგენი“ ასე კარგად თუ დაიცავდა თავს: გერმანელებს ჩვენები სათანადოდ ჰყოლიათ შესწავლილი და მაქსიმალურად ცდილობდნენ ინდივიდუალური მოქმედებები შეეზღუდათ - მასპინძლებს მთელი თამაშის განმავლობაში მათსავე მოედანზე ხვდებოდნენ და ერთმანეთსაც კარგად აზღვევდნენ. პირველ რიგში, სწორედ ამის ბრალია 6-ზე მეტი სხვაობით რომ ვერ მოვიგეთ. მატჩზე დამსწრე გერმანელმა ჟურნალისტმაც აღნიშნა, ამ სეზონში ასე კარგად თავს პირველად იცავენო.

ვერ ვიტყვით, რომ „არმიის“ დაცვა არანაკლები იყო, ერთადერთი, პირველ ტაიმში **რობერტო მაფრას** შეკავება გაჭირდა. „გოტინგენის“ მეფარე მაფრა ფარქვეშ ვერ შედიოდა, ამიტომ მან სამწამიანი ზონის გარეთ „გაშალა აფრა“ და სამი პერიოდის შემდეგ მის ანგარიშზე 16 ქულა იყო (მეოთხე პერიოდში აქტივს მხოლოდ ერთი ორქულიანი შემატა).

როგორც გითხარით, „გოტინგენს“ ფარქვეშიდან ბურთის ჩაგდება უჭირდა, ამიტომ საშუალო და სამქულიან ტყორცნებზე ჰქონდა აქცენტი აღებული. საბოლოოდ 10 სამქულიანი ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. თუ მცირე ღრიჭო ჩნდებოდა, გერმანელთა სწრაფი უკანახაზელები ფარქვეშ შეჭრას არ ერიდებოდნენ. ამიტომაც დაფიქსირდა სამწამიანიდან რეალიზებულ ქულებში თანაბარი ანგარიში - 26:26.

„არმიას“ შეტევა უფრო მრავალფეროვანი იყო, გარედანაც აგდებდნენ, საშუალო მანძილიდანაც და ფარქვეშიდანაც. თუმცა გუნდს კიდევ სჭირდება შეთამაშება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ერთ ან თუნდაც 2 თვეში გუნდური თამაშის დახვეწა წარმოუდგენელია.

აქამდე „არმიას“ საქართველოს ჩემპიონატის გუნდებთან უწევდა დაპირისპირება და ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. სერიოზულ მეტოქეს ჩვენი ჩემპიონი პირველად გადაეყარა და ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა. იგივე შეიძლება ითქვას გუნდის ახალგაზრდა მწვრთნელ კოტე ტულუშზე, რომლისთვისაც მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი სწორედ გუშინ შედგა. დასაწყისი კარგია...

შესაძლოა, თავად მწვრთნელსაც სურდა უფრო დიდი სხვაობით მოგება, მაგრამ როგორც ვთქვით, სადებიუტო მატჩი ყოველთვის მძიმეა. ბურთების საერთო შეფარდებაზე ფიქრი კი ნაადრევია, რადგან ჩვენს ჯგუფში კიდევ ორი გუნდია (თურქული „ბეშიქთაში“ და ჰოლანდიური „ლეიდენი“) და თითოს კიდევ ხუთი მატჩის ჩატარება მოუწევს. მომდევნო ეტაპზე ორი საუკეთესო გადის.

ნამატჩევს ორივე გუნდის მწვრთნელმა ემოციურად ილაპარაკა. „არმიის“ დამრიგებელი კოტე ტულუში გახარებული იყო:

- ევროპის საკლუბო ტურნირებში ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო, ამიტომ დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა გვქონდა. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატჩს შინ ვატარებდით და მრავალრიცხოვანი პუბლიკის წინაშე

>> მე-16 გვერდზე

V ტური

SEASON 2011/12

11 ნოემბერი
რუსთავი
რუსთავი-თსუ 15:00

11 ნოემბერი. ბათუმი
ბათუმი-სოხუმი 17:00

12 ნოემბერი
სპორტის სასახლე
ოლიმპი-ქუთაისი 14:00
დინამო-შსს 16:00
არმია-თსუ 18:00

ლეგიონერები




# ქართველები ორ ჯგუფში ლიდერობენ

უამინდობის გამო, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მე-5 ტური არასრული გამოდგა. B ჯგუფში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა. აქ ქართველ მორაგბეთა არც ერთ გუნდს უთამაშია. A და D ჯგუფში კი კვლავინდებურად „ქართული გუნდები" ლიდერობენ.

**შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ" სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა **ავთანდილ კოპალიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „ორლეანთან" - 17:13. ამ გამარჯვებით პარიზული გუნდი 19 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

სუთიაშვილმა, კოპალიანმა და საყვარელიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, აშვეთია მატჩში მე-40 წუთიდან ჩაერთო, კობაური განაცხადში არ იყო.

ამდენივე ქულა აქვს და მეორე ადგილზეა **დავით ბოლლაშვილის** „ლილი", რომელიც სტუმრად დამარცხდა მინიმალური სხვაობით „ბობინისთან - 27:28. ჩვენებურის გუნდმა თამაში არასტაბილურად ჩაატარა. დასაწყისში, მე-10 წუთისთვის 12:0-ს აგებდა, თუმცა ტაიმი 17:12 მოიგო. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მაინც იძალეს და მეტოქეს გამარჯვება ბოლო წუთზე **ალექსანდრ პიშოს** საჯარიმოთი გამოგლიჯეს ხელიდან. ბოლლაშვილს არ უთამაშია.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონმა" შინ მოუგო **გიორგი მჭედლიშვილის** „დიჟონს" - 20:12. შედეგად მონლუსონელებმა სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზე აინაცვლეს და ლიდერებს ერთი ქულით ჩამორჩებიან.

ყუფარაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მჭედლიშვილი ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა და 59-ე წუთზე შეცვალეს, დათუნაშვილი განაცხადში არ იყო.

**შოთა მელიქიძის** „მაკონმა" შინ გაანადგურა ფედერალ 1 დივიზიონის დებიუტანტი, **რეზო გიგაურის, ნიკოლოზ გიორგაძისა** და **დიმა ხოჭოლავას** „ბულონი" - 51:6. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

**A ჯგუფი**

ბობინი-ლილი 28:27, ორლეანი-მასი 13:17, მონლუსონი-დიჟონი 20:12, ნევერი-სტრასბური 38:16, მაკონი-ბულონი 51:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 19 ქულა, 2. ლილი - 19, 3. მონლუსონი - 18, 4. ბობინი - 15, 5. მაკონი - 6. დიჟონი - 13, 7. ნევერი - 10, 8. ორლეანი - 7, 9. სტრასბური - 6, 10. ბულონი - 0

**B ჯგუფი**

კასტანე-მონტობანი 6:12, ნიცა-ბურგ ან ბრესი (გადაიდო), შატორენარი-სენტ ეტიენი (გადაიდო), პოკენი-რომანი (გადაიდო), ნიმი-ლა სეინი (გადაიდო)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონტობანი - 21 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 18, 3. ლა სეინი - 13, 4. კასტანე - 13, 5. სენტ ეტიენი - 11. 6. შატორენარი - 8, 7. რომანი - 4, 8. ნიმი - 3, 9. პოკენი - 3, 10. ნიცა - 2.

C ჯგუფში ზედიზედ მეოთხე მარცხი ინვნია სტუმრად „სენ ჟან დე ლუზთან" მერაბ კვირიკაშვილის, გიორგი ჩხაიძის, დავით ოზგებაშვილისა და რობერტ აბესლამიძის „სენ ჟუნიენმა" - 6:12. ჩვენებურთა გუნდი შედეგად შვიდი ქულით ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა.

**C ჯგუფი**

სენ ნაზერი-ვანი 16:23, სენ ჟან დე ლუზი-სენ ჟუნიენი 12:6, კოლომიე-ლავორი 33:18, მორლაა-სენ მედარი 10:6, ლანჟონი-აგეტმო 33:10

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კოლომიე - 21 ქულა, 2. სენ ჟან დე ლუზი - 14, 3. სენ მედარი - 13, 4. ლანჟონი - 12, 5. მორლაა - 12, 6. სენ ნაზერი - 11, 7. ვანი - 10, 8. ლავორი - 10, 9. სენ ჟუნიენი - 7, 10. აგეტმო - 6.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ერთი გუნდი, **დიმიტრი ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენი" ასპარეზობს და ისიც ლიდერია. ვალანსელებმა მე-5 ტურში სტუმრად ითამაშეს „რიბერაკთან" და 22:11 მოიგეს. „ვალანს დაჟენს" 18 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა.

**D ჯგუფი**

ლიმოჟი-ლურდი 12:15, მოლეონი-ოლორონი 12:37, ტიროსი-ბლანიაკი 18:6, ლანამეზანი-მარმანდი 30:9, რიბერაკი-ვალანს დაჟენი 11:22.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვალანს დაჟენი - 18 ქულა, 2. ლურდი - 18, 3. ტიროსი - 17, 4. ლიმოჟი - 14, 5. ოლორონი - 11, 6. ლანამეზანი - 11, 7. ბლანიაკი - 9, 8. რიბერაკი - 5, 9. მარმანდი - 5, 10. მოლეონი - 5.

ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი ლიდერობს. **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" სტუმრად დაამარცხა ფრანგული რაგბის გრანდის, „ტულუზის" სათადარიგო გუნდი 17:15 და ახლა 14 ქულით პირველ ადგილზეა.

ამდენივე ქულა აქვს და მეორე ადგილზეა **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯაშიტაშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად მოუგო „მონპელიეს" - 22:15.

**IV ტური**

ტულუზი-ტულონი 15:17, პო-ბურგუენი 16:16, აჟენი-ბაიონი 14:10, მონპელიე-კლერმონი 15:22, ლიონი-პერპინიანი (გადაიდო)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 14 ქულა, 2. კლერმონი - 14, 3. აჟენი - 13, 4. ბაიონი - 12, 5. პერპინიანი - 9, 6. პო - 7, 7. ბურგუენი - 7, 8. მონპელიე - 5, 9. ტულუზი - 4, 10. ლიონი - 2.

ოთხი ერი

# პუმებმა ზე რაგბიში შეაბიჯეს

**არგენტინის ნაკრების სამი ერის გათამაშებაში ჩართვა, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ეროვნული ნაკრებები - ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა თამაშობენ, ჯერ კიდევ შარშან გადაწყდა. 2012 წლიდან ეს ტურნირი ოთხ ერად გადაკეთდება და სრულიად განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. თითოეულ გუნდს სეზონში ექვსი მატჩის გამართვა მოუწევს და ყველა ერთმანეთს ეთამაშება შინ და გარეთ.**

არგენტინის ნაკრები სადებიუტო მატჩს ტურნირში 18 აგვისტოს გამართავს სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან. შინ კი „პუმები" ამავე ნაკრებთან ერთი კვირის თავზე ითამაშებს.

*„ჩვენს ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებები თამაშობენ. ამ გუნდებმა მსოფლიოს თასის შვიდი გათამაშებიდან ექვსი მოიგეს. არგენტინის ნაკრების დამატება დიდი ხანია საჭირო იყო და მოხარულნი ვართ, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ მიიღეს კიდეც.*

*ოთხი ერის გათამაშებაში ასპარეზობა კიდევ უფრო მეტად განავითარებს რაგბის არგენტინაში და, იმედი მაქვს, რომ იგივე მოხდება მთლიანად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე."* - თქვა ოთხი ერის გათამაშების გენერალურმა დირექტორმა **გრეგ პიტერსმა**.

არგენტინის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ლუის კასტილომ** კი ამ მოვლენას არგენტინული რაგბისთვის ისტორიული უწოდა:

*„ყველა არგენტინელი უსაზღვროდ გახარებული და ამაყია, ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში ასაპრეზობის უფლება რომ მოგვცეს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ არგენტინული რაგბი განუხრელად ვითარდებოდეს. საამისოდ ძალიან სერიოზული ინვესტიციები უნდა გავწიოთ საშინაო რაგბიში. იმედი მაქვს, „პუმების" თამაში ოთხი ერის გათამაშებაში, შეჯიბრებას კიდევ უფრო საინტერესოს და პოპულარულს გახდის."*

**ოთხი ერი**

**18 აგვისტო**

ავსტრალია-ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა-არგენტინა

**25 აგვისტო**

ახალი ზელანდია-ავსტრალია, არგენტინა-სამხრეთ აფრიკა

**8 სექტემბერი**

ავსტრალია-სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია-არგენტინა

**15 სექტემბერი**

ავსტრალია-არგენტინა, ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა

**29 სექტემბერი**

სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია, არგენტინა-ახალი ზელანდია

**6 ოქტომბერი**

სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია, არგენტინა ავსტრალია.



მსოფლიოს თასის ექო

# ორელიან რუჟერი უდანაშაულოა

იმის ნაცვლად, რომ IRB-მა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მსაჯობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე იზრუნოს, მორაგბეთა „დევნითაა"დაკავებული. ახლახან საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მესამეხაზელმა **იმანოლ არინორდიკმა** ოფიციალურად დაადანაშაულა პრესკონფრენციაზე ფინალური მატჩის არბიტრი **კრეიგ იუბერი** მიკერძოებულ მსაჯობაში.

IRB-მა არინორდოკზე შეტევა რომ ვერ გაბედა, ფრანგთა შუამარბ **ორელიან რუჟერის** მიადგა, აქაოდა, ფინალური მატჩის მიწურულს ქერა ფრანგმა მეტოქის ლიდერს **რიჩი მაქოას** განზრახ ბინძურად ეთამაშაო.

დაინიშნა მიუკერძოებელი კომისია, რომელსაც ეს ინციდენტი უნდა განეხილა. თავმჯდომარე **სკოტ ნოლანმა** მომჩივნებს იმედი გაუცრუა. ჯერ ერთი, ფაქტი არ მტკიცდება და მეორე, წესის დარღვევის განხილვა უნდა მოხდეს არაუგვინეს 36 საათისა. ფინალური მატჩიდან კი ორ კვირაზე მეტია გასული.

ერთი სიტყვით, რუჟერის დანაშაული არ მტკიცდება და საქმე დახურულად შეიძლება ჩაითვალოს.

# ვილკო ბურთით უკმაყოფილოა



ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** მსოფლიოს თასის ორგანიზატორებს ცუდი სათამაშო ბურთების გამო აკრიტიკებს. „ვილკომ" ახალ ზელანდიაში ფეხით უჩვეულოდ ცუდად ითამაშა, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ბურთის ცუდ ხარისხს აბრალებს.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდება „ტაიმსში", ვილკინსონი ამბობს:

*„ახალ ზელანდიაში ბურთები ძალზედ უცნაურად მოძრაობდნენ. ეს კიდევ არაფერი, ბურთები, რომლებითაც ვვარჯიშობდით, სრულიად განსხვავდებოდნენ სათამაშო ბურთებისგან. ვფიქრობ, არაპროფესიონალიზმის ბრალია, რომ ასეთი უმაღლესი რანგის ტურნირზე ბურთის ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს.*

*წარმოიდგინეთ, ბურთს პირდაპირ ურტყამ და ის ფრენისას მიმართულებას რამდენჯერმე იცვლის. ველარ გავიგე რა მექნა, როგორ დამერტყა.*

*ინგლისის ნაკრების ფეხით თამაშის მწვრთნელ დეივ ელრიდს და ფიზმომზადების მწვრთნელ პაულ სტრიდჯერონს დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან რუმინეთთან მატჩში საჯარიმოს დარტყმისას ბურთი შემიცვალეს. ეს მათ ჩემი თხოვნით გააკეთეს, არ მინდოდა ისეთი ბურთით დამერტყა საჯარიმო, რომელიც დანიშნულების ადგილიდან ერთ მილზე მიფრინავს.*

*ძალიან გაწბილებული ვარ. იმისთვის, რომ კარში დარტყმა დამეხვეწა, აურაცხელი დრო მაქვს დახარჯული და ბევრი ოფლი დაღვრილი. ამდენი შრომა კი, მავანთა დაუდევრობით, წყალში ჩამეყარა. ეს ყოველივე ძალიან მაბრაზებს".*

# ქრაისთჩერჩული რაგბის დროებითი თავშესაფარი

ახალი ზელანდიის ნაკრები ივნისის ტესტების ერთ-ერთ შეხვედრას ირლანდიის ნაკრებთან ქრაისთჩერჩში გამართავს. ამ ქალაქში თებერვალში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ „ემი სთედიუმი" საგრძნობლად დააზიანა.

„ოლ ბლექსი" კი „სამყურებს" ივნისში „რაგბი ლიგა პარკზე" დაუპირისპირდება, რომლის რეკონსტრუქციაზეც 20 მილიონი დოლარი დაიხარჯა და ახლა 25 ათას მაყურებელს იტევს. ამავე სტადიონზე დაიდებს ბინას დროებით ზე რაგბის გათამაშებაში მოასპარეზე „კრუსეიდერზიც".

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### კრივი


ჯო ფრეზერი

# ლეგენდა გარდაიცვალა

სამწუხარო ამბავი შეიტყვეს გუშინ კრივის მოყვარულებმა. ფილადელფიაში 67 წლის ასაკში გარდაიცვალა კრივის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი მძიმეწონოსანი **ჯო ფრეზერი**. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ფრეზერი ღვიძლის კიბოთი იყო ავად და მოკრივის ახლობლები სასწაულის იმედად იყვნენ დარჩენილნი, მაგრამ სასწაული არ მოხდა.

ჯო ფრეზერი სამხრეთ კაროლინას შტატში დაიბადა, მაგრამ შემდეგ ფილადელფიაში გადავიდა საცხოვრებლად. 1964 წელს ის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, 1970 წელს კი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა პროფესიონალებს შორის. 1971 წელს ფრეზერი პირველი მოკრივე გახდა ისტორიაში, ვინც ლეგენდარული **მოჰამედ ალი** დაამარცხა – ეს მოხდა ნიუ იორკში და იმ ბრძოლას ჟურნალისტებმა "ათასწლეულის ორთაბრძოლა" უწოდეს. ამის შემდეგ ეს მოკრივეები კიდევ ორჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ ჯომ დამარცხებულმა დატოვა რინგი.

ჟურნალმა "რინგმა" და კრივში მომუშავე ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციამ (BWAA) სამჯერ დაასახელეს ფრეზერი წლის საუკეთესო მოკრივედ, ხოლო მისი ბრძოლები **ჯერი კუორისთან**, მოჰამედ ალისთან (ორჯერ) და **ჯორჯ ფორმენთან** წლის შეხვედრებად იყო აღიარებული.

ფრეზერი კრივიდან 1976 წელს წავიდა, თუმცა 1981-ში ერთი ბრძოლისთვის დაბრუნდა დიდ სპორტში. 1990 წელს ის კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს, 1998 წელს კი "რინგმა" ის ყველა დროის საუკეთესო რვა სუპერმძიმეწონოსანს შორის შეიყვანა.

*"მე ვაკვირდებოდი ამ მოკრივეებს – ჯო ლუისს, როკი მარჩიანოს, შუგარ რეი რობინსონს,* - ყვებოდა ფრეზერი EA Sports-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. – *ეს ბიჭები მართლაც საუკეთესოები იყვნენ, ამიტომაც ჩემს თავს ვუთხარი: "ოდესღაც მეც ასეთივე ვიქნები". სამხრეთში ვცხოვრობდი, მაგრამ იქ არ იყო ვარჯიშის შესაძლებლობა. სახლში მივედი, ტომარა ავიღე და გავავსე ყველაფრით, რაც ხელში მომხვდა. ამ ტომრის დახმარებით ვისწავლე კრივი. და როცა ეს ყველაფერი მომბეზრდა, საკუთარ თავს ვუთხარი: "აქედან უნდა წავიდე". სადმე უნდა გადავსულიყავი, სადაც ჩემპიონი გავხდებოდი. ამიტომაც აღმოვჩნდი ფილადელფიაში".*

*"ქუჩაში არავისი მეშინია. არც რინგზე. მაგრამ თუ მას აქვს დანა, ხოლო მე პისტოლეტი, ეს არასამართლიანი იქნება ჩემი მხრიდან. მასაც პისტოლეტი მიეცით. მე მაინც ვიჩხუბებ მის წინააღმდეგ. ჯორჯ ფორმენმა ორჯერ ჩამაგდო ნოკაუტში, მაგრამ მე არაფრის მეშინია. მას ორჯერ ვეჩხუბე და შემიძლია ახლაც შევხვდე რინგზე. რა მომივა, კიდევ ერთი ნოკაუტი? მეტი არაფერი. არანაირი შიში".*

### ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ჩინეთი ბელარუსმა დაამარცხა

პარიზიში, დისნეილენდის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში, სადაც გუშინ მედლების ერთი კომპლექტი გაითამაშეს ქალებმა 58-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ჩემპიონატის პირველ ორ დღეს ჩინელმა ძალოსნებმა ოთხი შესაძლებლიდან ოთხი ოქროს მედლის აღება შეძლეს, მაგრამ ამჯერად მათი წინსვლა შეაჩერა ბელარუსმა ძალოსანმა **ნატასია ნოვიკოვამ**.

ეს სპორტსმენი წინა ორ ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გადიოდა და ვერცხლის მედალს სჯერდებოდა, გარდა ამისა, 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მაგრამ ახლა ბელარუსმა გატეხა ნავსი და კარიერაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

ნოვიკოვას მთავარი კონკურენტი 21 წლის ჩინელი **ლი სუეინგი** იყო, რომელმაც ატაცში 103 კილოგრამი ასწია და ლიდერობა იგდო ხელთ. მაგრამ ბელარუსმა სიტუაცია აკვრაში გამოასწორა. ლი სუეინგმა აქ 133 კილოგრამი დაძლია და ნოვიკავას გამარჯვებისთვის 136-კილოგრამიანი შტანგა უნდა აეწია. ბელარუსმა ამის გაკეთება მესამე ცდაზე შეძლო და ამან ოქროს მედალი მოუტანა.

ჩინელი სპორტსმენი მეორე ადგილს დასჯერდა, მესამეზე კი ტაილანდელი **პიმსირი სირიკაევი** გავიდა.

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კროსბის შემდეგ თამაშში ველით

საინტერესო და რაც მთავარია, სასიხარულო ამბავი შეიტყვეს ჰოკეის, კერძოდ კი **სიდნი კროსბის** გულშემატკივრებმა. "პიტსბურგის" კაპიტანმა და კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა გუშინ განაცხადა, რომ შესაძლებელია მისი თამაში "პინგვინების" მომდევნო მატჩში, რომელიც პარასკევს "დალასის" წინააღმდეგ გაიმართება.

*"დიახ, ეს შესაძლებელია. თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია"*, - აღნიშნა კროსბიმ, რომელიც უკვე ცხრა თვეა გადის ტვინის შერყევის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს.

ახლა კი, როგორც ყოველ ოთხშაბათს, გასული კვირის ლაურეატებს გაგაცნობთ.

#### კვირის გუნდი. ნიუ იორკ რეინჯერსი

ნიუიორკელები განახლებულ "მედისონ სკვერ გარდენში" დაბრუნდნენ, სტაბილურობა მოიპოვეს და ოთხმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხვეს. ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება მათ "სან ხოსეს" წინააღმდეგ მოიპოვეს – 5:2. საქმე მხოლოდ ანგარიშში არ არის - **ტორტოლერას** გუნდის თამაში მართლაც შთამბეჭდავი იყო. მასპინძლებმა მოედნის ყველა მონაკვეთზე აჯობეს მეტოქეს და დამაჯერებლად გამოიყენეს საკუთარი შანსი.

"რეინჯერსის" ყველაზე პრობლემური მეტოქე ამჟამად კრიზისში მყოფი "ანაჰაიმი" იყო, რომელიც ნიუიორკულმა კლუბმა მხოლოდ ბულიტების სერიაში დაამარცხა – 2:1. სამაგიეროდ, სწორედ "რეინჯერებმა" შეწყვიტეს "მონრეალის" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია (5:3), რის შემდეგაც "ვინიპეგსაც" გაუსწორდნენ – 3:0.

საბოლოოდ, გუნდი პლეი ოფის ზონაში შევიდა და თან ორი და ერთი მატჩით ნაკლები აქვს, ვიდრე "პიტსბურგსა" და "ფილადელფიას".

#### ტურის სამი ვარსკვლავი

**1. ჯოშ ჰარდინგი (მინესოტა).** გვერდს ვერ ავუვლით "მინესოტას" წარმატებას, რომელიც ასევე აცხადებდა პრეტენზიას კვირის გუნდის სტატუსზე. "ველურებმა" ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგეს – დაამარცხეს "სენტ ლუისი", "ვანკუვერი" და ორჯერ "დეტროიტი", რითაც კონფერენციაში მეხუთე ადგილზე დამკვიდრდნენ.

ამ სერიის ერთ-ერთი გმირი გახდა 27 წლის მეკარე **ჯოშ ჰარდინგი**, რომელიც ოთხივე მატჩში იღებდა მონაწილეობას. არც ერთ შეხვედრაში კანადელ მეკარეს ერთზე მეტი შაიბა არ გაუშვია, "დეტროიტთან" კი "შათაუტის" შესრულებაც შეძლო.

ამ მეკარისთვის ასეთი წარმატებული თამაში მნიშვნელოვანია, რადგან 2010-11 წლების სეზონის წინ მან მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და მთელი ჩემპიონატი გამოტოვა. მიუხედავად ამისა, "მინესოტამ" მაინც გააფორმა მასთან ერთწლიანი და 750-ათასიანი კონტრაქტი. თუ ჰარდინგი ასევე გააგრძელებს თამაშს, ხელფასის მომატებაზე სერიოზული პრეტენზია ექნება. ცნობისთვის, გუნდის პირველი მეკარე **ნიკლას ბექსტრიომი** 6 მილიონს იღებს.

**2. ლუი ერიქსონი (დალასი).** არც ისე პოპულარული, მაგრამ ძალიან ეფექტური ფორვარდი **ლუი ერიქსონი** აგრძელებს ქულების დაგროვებას და "დალასს" დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობის შენარჩუნებაში ეხმარება. 26 წლის ჰოკეისტმა გასულ კვირას შვიდი ქულა დააგროვა – სამი შაიბა გაიტანა და ოთხი საგოლე პასი შეასრულა.

საერთოდ, ერიქსონს 13 მატჩში 15 ქულა აქვს და თავისუფლად შეუძლია შედეგიანობის პირადი რეკორდი (73 ქულა) გააუმჯობესოს, რომელიც გასულ სეზონში დაამყარა.

**3. ნიკლას ბექსტრიომი (ვაშინგტონი).** შვედი ზედიზედ ოთხი მატჩია მინიმუმ ორ ქულას აგროვებს მატჩში. **ბექსტრიომმა** განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ანაჰაიმთან" მატჩში, როცა საფინალო სირენამდე 42 წამით ადრე გაიტანა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, შემდეგ კი დამატებით დროში გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

გარდა ამისა, ბექსტრიომმა გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა "კაროლინასთან" 5:1 მოგებულ მატჩში და ორი გოლი შეაგდო "აილენდერსთან" შეხვედრაში, რომელიც დედაქალაქელებმა 3:5 წააგეს.

ამჟამად შვედს 13 პასი აქვს და ამ მხრივ ლიგაში ლიდერობას იყოფს, ხოლო 18 ქულით მესამეა ბომბარდირთა დავაში.


ნიუ იორკ რეინჯერსი

**ბოსტონი–აილენდერსი 6:2**

**3:2, 0:0, 3:0**

**გოლები:** 1:0 პუიო-1 (კერონი-1), 1:1 მოულსონი-3 (სტაიოსი-3, გრაბნერი-1), 2:1 ჰორტონი-3 (ხარა-8, კრეისი-3), 3:1 სეგუინი-8 (პ. ბერეჟრონი-8, მარჩანდი-5), 3:2 გრაბნერი-4 (ტავარესი-5, მოულსონი-4), 4:2 ლუჩიჩი-7 (ჰორტონი-4, კრეისი-4), 5:2 ჰორტონი-4 (კორვო-4, საიდენბერგი-3), 6:2 კრეისი-3 (ხარა-9, ლუჩიჩი-6).

**სან ხოსე–ლოს ანჯელესი 4:2**

**0:0, 3:1, 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯ. ჯონსონი-4 (დაუტი-3, კოპიტარი-10), 1:1 ჯ. ტორნტონი-4 (მარლო-7, პაველსკი-7), 2:1 მარლო-4 (დ. ბოილი-8, ქლოუ-7), 3:1 დ. ბოილი-1 (პაველსკი-8, მარლო-8), 4:1 კუტური-6 (ვლასიჩი-3, ჯ. ტორნტონი-9), 4:2 კოპიტარი-8 (დაუტი-4, კუიკი-1).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 15 | 9 | 3 | 3 | 21 |
| 2. ტორონტო* | 14 | 9 | 4 | 1 | 19 |
| 3. ვაშინგტონი* | 12 | 9 | 3 | 0 | 18 |
| 4. ფილადელფია | 14 | 8 | 4 | 2 | 18 |
| 5. რეინჯერსი | 13 | 7 | 3 | 3 | 17 |
| 6. ბაფალო | 13 | 8 | 5 | 0 | 16 |
| 7. ტამპა ბეი | 14 | 7 | 5 | 2 | 16 |
| 8. ფლორიდა | 13 | 6 | 4 | 3 | 15 |
| 9. ოტავა | 15 | 7 | 7 | 1 | 15 |
| 10. ნიუ ჯერსი | 12 | 6 | 5 | 1 | 13 |
| 11. კაროლინა | 14 | 5 | 6 | 3 | 13 |
| 12. მონრეალი | 13 | 5 | 6 | 2 | 12 |
| 13. ბოსტონი | 13 | 6 | 7 | 0 | 12 |
| 14. ვინიპეგი | 14 | 5 | 7 | 2 | 12 |
| 15. აილენდერსი | 12 | 4 | 6 | 2 | 10 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დალასი* | 13 | 10 | 3 | 0 | 20 |
| 2. ჩიკაგო* | 14 | 8 | 3 | 3 | 19 |
| 3. ედმონტონი* | 13 | 8 | 3 | 2 | 18 |
| 4. სან ხოსე | 13 | 8 | 4 | 1 | 17 |
| 5. მინესოტა | 13 | 7 | 3 | 3 | 17 |
| 6.ფინიქსი | 13 | 7 | 4 | 2 | 16 |
| 7. ნეშვილი | 13 | 7 | 4 | 2 | 16 |
| 8. ლოს ანჯელესი | 14 | 6 | 5 | 3 | 15 |
| 9. კოლორადო | 14 | 7 | 6 | 1 | 15 |
| 10. ვანკუვერი | 15 | 7 | 7 | 1 | 15 |
| 11. დეტროიტი | 12 | 6 | 5 | 1 | 13 |
| 12. კალგარი | 13 | 6 | 6 | 1 | 13 |
| 13. ანაჰაიმი | 14 | 5 | 6 | 3 | 13 |
| 14. სტ. ლუისი | 13 | 6 | 7 | 0 | 12 |
| 15. კოლამბუსი | 14 | 2 | 11 | 1 | 5 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 21 (10+11) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 19 (9+10) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 18 (8+10) |
| დანიელ სედინი (ვან) | 18 (6+12) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 18 (5+13) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 18 (5+13) |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 17 (9+8) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 16 (8+8) |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 16 (8+8) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 10 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 10 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 9 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 9 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 9 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 9 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 13 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 13 |
| მ-ა. ბერჟერონი (ტ-ბეი) | 13 |
| ალექსანდრ ედლერი (ვან) | 12 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 12 |
| დანიელ სედინი (ვან) | 12 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 12 |

# ჯოხმომარჯვებული მწვრთნელი

გრანდიოზული სკანდალით დასრულდა მატჩი ჰოკეის კონტინენტალურ ლიგაში. მინსკში ადგილობრივი „დინამო" რუსეთის „ვიზიატს" ხვდებოდა და ბოლო წუთზე რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებით შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა - 3:2.

უხეშობით განთქმულმა „ვიტიაზის" ჰოკეისტებმა ყინულზე ნამდვილი ნადირობა დაიწყეს მეტოქის მოთამაშეების წინააღმდეგ და მოედანზე რამდენიმე ჩხუბი გაიმართა. მინსკელი გულშემატკივრების საპასუხო რეაქცია იყო ყინულზე ბოთლების სროლა.

ამასობაში, „ვიტიაზის" მთავარ მწვრთნელს **ანდრეი ნაზაროვს** კონფლიქტი მოუვიდა იმ გულშემატკივრებთან, რომლებიც რუსული კლუბის სათადარიგოთა სკამის უკან ისხდნენ. რუსების დამრიგებელმა ჰოკეის ჯოხს ხელი სტაცა და გულშემატკივრებს ჩხუბი აუტეხა. მას მხარი „ვიტიაზის" ორმა ჰოკეისტმა - **პანარინმა** და **ანისინმა** აუბეს. გარდა ამისა, ნაზაროვმა უხამსი ჟესტი უჩვენა ტრიბუნებს.

მეორე დღეს ეს ინციდენტი განიხილა ჰოკეის კონტინენტალური ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა. „ვიტიაზის" მთავარ მწვრთნელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ასევე დასაჯეს რუსული კლუბის რამდენიმე ჰოკეისტი და შეხვედრის არბიტრები, რომლებმაც არაკვალიფიციურად იმსაჯეს აღნიშნული შეხვედრა.


ნაზაროვი საქმეში

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ფერარი წასვლით იმუქრება

## სკუდერიაში 2012 წლისთვის შემადგენლობა არ შეიცვლება


ლუკა დი მონტეძემოლო

"ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დი მონტეძემოლომ** მორიგი ულტიმატუმი წაუყენა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას. *"ფორმულა 1 კვლავაც რჩება ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. მაგრამ "ფერარის" გარეშე არ იქნება ფორმულა 1 და "ფერარიც" სულ სხვა იქნებოდა ფორმულა 1-ის გარეშე, -* ამბობს იტალიელი ფუნქციონერი "ავტოსპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. *- ჩვენ ძალიან დამთმობნი ვართ. მაგრამ არსებობს პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში გავაგრძელებთ ჩემპიონატში მონაწილეობას. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მხოლოდ მარკეტინგული მოსაზრებებით არ ვხელმძღვანელობთ, არამედ ვცდილობთ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენს სერიულ ავტომობილებში".*

დი მონტეძემოლო ითხოვს სეზონის მსვლელობისას ტესტების ჩატარებაზე აკრძალვის გაუქმებას. *"დღეს ბოლიდის წარმატება 90 პროცენტით არის დამოკიდებული აეროდინამიკაზე (ამ მხრივ "ფერარი" საგრძნობლად ჩამორჩება "რედ ბულს"),* - ამბობს "სკუდერიას" შეფი. *– ფორმულა 1 რჩება ერთადერთ სახეობად, სადაც სეზონის მსვლელობისას ტესტების ჩატარება აკრძალულია".*

იტალიელმა მიანიშნა იმის შესახებ, რომ გუნდების ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს და მიზეზად "ფერარის" აკადემიის ახალგაზრდა პილოტების დახმარების პროგრამა დაასახელა. *"ჩვენ ვქმნით მანქანებს და არა ვერტმფრენებს, რაკეტებსა თუ თვითმფრინავებს,* - აგრძელებს "ფერარის" პრეზიდენტი. *– დიახ, ჩვენ არ უნდა დავუბრუნდეთ იმ სიტუაციას, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო, მაგრამ ამასთან, ისეთ მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, როცა არ შეგვიძლია შანსი მივცეთ ახალგაზრდა თაობას".*

რა თქმა უნდა, დი მონტეძემოლომ არ დაივიწყა თავისი იდე ფიქსი - ძლიერი გუნდების მიერ მესამე ბოლიდის გამოყვანის შესაძლებლობა. *"დაგვიჯერეთ, ჩვენ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ფორმულა 1-ის ინტერესებსაც ვიცავთ, -* ამბობს იტალიელი. *- ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს გაზრდის ინტერესს გულშემატკივრების, პრესისა და სპონსორების მხრიდან, რადგან რბოლებში მეტი კონკურენტუნარიანი მანქანა მიიღებს მონაწილეობას და არა ისეთები, რომლებიც ორი წრის შემდეგ რამდენიმე წამს აგებენ".*

ინტერვიუს დასასრულს მან გააფრთხილა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა, რომ უახლოეს წლებში არ არის გარანტირებული ჩემპიონატში "ფერარის" მონაწილეობა.

*"ჩვენს პოზიციას ბოლომდე დავიცავთ, -* აღნიშნა დი მონტეძემოლომ. *– თუ ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას სურს "ფერარის" "დიდ პრიზებში" ხილვა, მაშინ უნდა დააბრუნოს წინა პლანზე მოწინავე ტექნოლოგიები. დანახარჯებს კი ჩვენ მივხედავთ. უნდა გვესმოდეს, რომ ფორმულა 1-ში ჩვენ კონსტრუქტორები ვართ და არა სპონსორები".*

უნდა აღინიშნოს, რომ "ფერარის" ხელმძღვანელობა პირველად არ ითხოვს გუნდების ბიუჯეტების გაზრდას. ახლა რამ აიძულა დი მონტეძემოლო ასეთი მკვეთრი განცხადების გასაკეთებლად? ბუნებრივია, ამის მიზეზი გახლავთ არადამაკმაყოფილებელი შედეგები, რის გამოც გუნდი სერიოზულ უკმაყოფილებას გრძნობს სპონსორების მხრიდან. 2009 წლიდან მოყოლებული "ფერარი" მესამე ადგილზე ზემოთ არ ასულა და ვერც წელს მოახერხებს ამის გაკეთებას. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მაღალი დონის კონსტრუქტორი იპოვოს, მარანელოში გადაწყვიტეს ბიუჯეტის გაზრდის გზით წავიდნენ. თუ ფედერაცია და ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა იტალიელთა ნებას დაჰყვებიან, მაშინ კონკურენტუნარიანი გუნდების რიცხვი შემცირდება, რაც "ფერარის" აძლევს შანსს.

თუმცა ინტერვიუდან მეორე დღეს "ფერარიში" სიტუაციის დაწყნარება სცადეს და განაცხადეს, რომ დი მონტეძემოლოს სიტყვები არასწორად იყო აღქმული. *"დი მონტეძემოლოს შენიშვნებში ზოგიერთმა ერთგვარი ულიმატუმი და მუქარა დაინახა. მაგრამ "ფერარი" გარწმუნებთ, რომ მგავსი არაფერი ყოფილა ნაგულისხმები",* - წერია გუნდის პრესცენტრის განცხადებაში.

■ ■ ■

დი მონტეძემოლოს ინტერვიუში კიდევ ერთი საგულისხმო ინფორმაცია შევიტყვეთ. ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ ბრაზილიელი **ფელიპე მასას** სუსტ გამოსვლასა და შესაბამისად, მისი სავარაუდო შემცვლელების შესახებ.

მაგრამ "სკუდერიას" შეფმა ცალსახად მიანიშნა ყველას, რომ მასა 2012 წელს იტალიურ გუნდში იქნება და კვლავ გაუწევს პარტნიორობას ესპანელ **ფერნანდო ალონსოს**.

*"შეიძლება ვინმეს ეს არ მოეწონოს, მაგრამ ჩვენს გუნდში ცვლილებები არ იქნება, თუმცა ცვლილება აუცილებელია თავად ფორმულა 1-ში",* - განაცხადა ლუკა დი მონტეძემოლომ.

ავტოსპორტი. ნასკარი

# სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა

უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ამერიკულ სარბოლო სერია - ნასკარის სპრინტის თასზე. „ტექსას სპიდვეის" ავტოდრომზე **ტონი სტიუარტმა** ბოლო ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო და საერთო ჩათვლის ლიდერთან - **კარლ ედვარდსთან** სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა. ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ეტაპია დარჩენილი.

ამჯერად ტექსასის ტრასაზე ავარიები არც ისე ხშირი მოვლენა იყო. პირველი სერიოზული ინციდენტი 201-ე წრეზე მოხდა, როცა **ჯოფრი ბოდინმა** ვერ დაიმორჩილა მანქანა და ამით ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ხუან პაბლო მონტოია** და **ბრაიან ვიკერსი** დააზარალა.

240-ე წრეზე არ გაუმართლა ნასკარის სერიის ხუთგზის ჩემპიონს **ჯიმი ჯონსონს**, რომელმაც დაკარგა მანქანაზე კონტროლი და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. საბოლოოდ, ამ პილოტმა რბოლა მე-14 ადგილზე დაასრულა და თითქმის დაკარგა ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი, რადგან 54 ქულით ჩამორჩება საერთო ჩათვლის ლიდერს.

რბოლას სათავეში **ჯეფ ბარტონი** ედგა, საერთო ჩათვლის ლიდერები - სტიუარტი და ედვარდსი მეორე და მესამე პოზიციაზე იყვნენ. ეტაპი ასეთი თანმიმდევრობით დასრულდებოდა, ფინიშამდე ოთხი წრით ადრე ბარტონს შეცდომა რომ არ დაეშვა.


ტონი სტიუარტი

საბოლოოდ, ბოლო რვა რბოლაში მეოთხე გამარჯვების წყალობით, სტიუარტმა კიდევ უფრო დამაინტრიგებელი გახადა ნასკარის დარჩენილი ორი ეტაპი, სადაც გაირკვევა კიდეც ამ პრესტიჟული სერიის გამარჯვებულის ვინაობა.

შემდეგი რბოლა 13 ნოემბერს ფინიქსში გაიმართება.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 19** | |
| ჩეხეთი-ისრაელი | 1:2 |
| სერბეთი-ლიტვა | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| **League Trophy** | |
| ოლდჰემი-ქრიუ | 3:1 |
| როჩდეილი-პრესტონი | 1:1 პენ. 2:4 |
| სუინდონი-უიმბლდონი | 1:1 პენ. 3:1 |
| ბრენტფორდი-ბორნმუთი | 6:0 |
| ჩელტენემი-ბარნეტი | 0:2 |
| ოქსფორდი-საუთენდი | 0:1 |
| შეფილდი-ბრედფორდი | 1:1 პენ. 5:6 |
| **შოტლანდია** | |
| **III დივიზიონი** | |
| ანანი-პიტერჰედი | 2:0 |
| კლაიდი-ალოა | 0:1 |
| ელჯინი-მონროუზი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ლანელი-კარმარტენი | 2:0 |
| პორტ ტელბოტი-ბალა | 2:2 |
| პრესტატინი-ნიუთაუნი | 2:1 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| შიოფოკი-კაპოშვარი | 2:0 |
| დებრეცენი-ვაშაში | 5:4 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროჩელენჯი** | |
| ენისეი-ანტვერპენი | 76:72 |
| ტრიუმფი-აალსტი | 83:78 |
| ხიმკი-ვენტსპილსი | 81:67 |
| გოვერლა-პროსტეევი | 75:77 |
| მობიტელკო-შალონი | 81:85 |
| ნიტრა-ოლდენბურგი | 72:77 |
| პარდუბიცე-როანი | 82:77 |
| კერავნოსი-ერტლანდი | 81:93 |
| ტურკ ტელეკომი-პინარი | 74:82 |
| შოლნოკი-პო ორტეზი | 85:70 |
| ფუენლარბადა-ნორჩოპინგი | 89:75 |
| **ფრენბურთი** | |
| **მსოფლიოს თასი** | |
| **ქალები** | |
| ჩინეთი-დომინიკა | 3:1 |
| აშშ-კენია | 3:0 |
| იტალია-არგენტინა | 3:0 |
| კორეა-ბრაზილია | 2:3 |
| იაპონია-ალჟირი | 3:0 |
| სერბეთი-გერმანია | 2:3 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 5:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პარიზი** | |
| ფონინი-**დოდიგი** | 6:4, 1:6, 3:6 |
| **ბერდიხი**-ვერდასკო | 6:3, 7:5 |
| ლოდრა-**ფ. ლოპესი** | 6:7, 3:6 |
| ნიშიკორი-**სტახოვსკი** | 4:6, 3:6 |
| **როდიკი**-ბენეტო | 6:4, 6:4 |
| **შარდი**-გრანოლერსი | 6:3 უარი |
| ვავრინკა-**ისნერი** | 7:6, 5:7, 6:7 |
| **მონაკო**-იანგი | 6:4, 6:2 |
| **ცონგა**-გარსია ლოპესი | 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**9 ნოემბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. აუგსბურგი-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ჯენოა-ინტერი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტური. ბორდო-პსჟ.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. რეალი-ოსასუნა.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**01:00** სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ფიგურენსე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰერაკლესი.
**16:50** ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური.
**19:10** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**22:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II დღე. პარიზი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ბაზელი. შვეიცარია.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**14:00** ცურვა. მსოფლიოს თასი. ჩინეთი (LIVE).
**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. კანტუ-ოლიმპიაკოსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**22:00** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**22:30** ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**21:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპია-გალათასარაი (LIVE).
**23:45** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბილბაო-ფენერბაჰჩე (LIVE).

**SPORT+**

**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პროკომი-უნიქს (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
**22:00** ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**17:00** ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. V დღე. პერტი (LIVE).

ჩოგბურთი

# სანამ ლიდერები ისვენებენ

პარიზის „ბერსის" დარბაზში სტარტი აილო სეზონის ბოლო მასტერსმა, რომელიც ტრადიციულად, წინ უძღვის წლის შემაჯამებელ ტურნირს.

საწყის წრეში თავისუფლები იყვნენ განთესილი ჩოგბურთელები. პირველ სათამაშო დღეს ცენტრალური შეხვედრა იყო ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოსა** და ხორვატ **მარინ ჩილიჩს** შორის. ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ სანკტ-პეტერბურგის ტურნირი მოიგო და კარგ ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ ვერდასკოსთან პირველი სეტის მოგების შემდეგ, ხორვატმა დარჩენილ ორ პარტიაში დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამჟამად რეიტინგის 23-ე პოზიციაზე მყოფ ესპანელს - 3:6, 6:2, 6:3. ვერდასკომ საათსა და 53 წუთში გაიმარჯვა.

ასევე სამ სეტში მოიგო სამხრეთაფრიკელმა **კევინ ანდერსონმა**. მან ლუქსემბურგელი **ჟილ მიულერი** დაამარცხა. ორივე ჩოგბურთელი კარგად თამაშობდა საკუთარ მოწოდებაზე. ანდერსონმა პირველი და მესამე სეტები თითო ბრეიკის წყალობით მოიგო, თავად მეორე სეტში დათმო ერთი საკუთარი გეიმი და 6:3, 4:6, 6:4 გაიმარჯვა, რითაც მეორე სეტში ფრანგ რიშარ გასკეზე გავიდა.

მოულოდნელად იოლად გაიარა ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** ბარიერი გერმანელმა **ფლორიან მაიერმა**. მან სამი ბრეიკის გაკეთება მოახერხა, შტეპანეკმა მხოლოდ ერთის და 81-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ანგარიში იყო 7:5, 6:3 მაიერის სასარგებლოდ, რომელიც მეორე რაუნდში ამერიკელ მერდი ფიშს შეხვდება.

პარიზული პუბლიკის გასახარად, გაიმარჯვა 29 წლის ფრანგმა **ჟულიენ ბენეტომ**, რომელიც კანადელ **მილოშ რაონიჩს** ხვდებოდა. ორსეტნახევარი ვერც ერთი ჩოგბურთელი ბრეიკს ვერ აკეთებდა და პირველი ორი პარტიის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა - პირველი სეტი რაონიჩმა მოიგო, მეორე ბენეტომ, მესამეში კი ყველაფერი 2:2-ზე ფრანგი ჩოგბურთელის ბრეიკმა გადაწყვიტა, რითაც მასპინძელმა მოიგო მატჩი - 6:7, 7:6, 6:4.

კვლავ ვერ გამოდის კრიზისიდან რუსი ჩოგბურთელი **ნიკოლაი დავიდენკო**. ამჯერად მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა იტალიელ **ანდერას სეპისთან** წააგო ორ სეტში - 6:7, 5:7. არადა, პირველ სეტს რუსი ბრეიკით იგებდა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა, მეორეში კი მდევრის როლში აღმოჩნდა და ვერ დაეწია მეტოქეს. სეპიმ შემდეგ წრეში ესპანელ **ნიკოლას ალმაგროსთან** შეხვედრის უფლება მიიღო.

დღის ბოლო მატჩში კიდევ ერთმა ფრანგმა მიაღწია წარმატებას. მსოფლიოს 95-ე ჩოგანმა **ნიკოლა მაუმ** მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა ვეტერანი ესპანელი **ხუან კარლოს ფერერო**.

ფრანგმა ხუთი ბრეიკის აღება მოახერხა, თავად მხოლოდ ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება და 6:2, 6:3 გაიმარჯვა, რამაც მეორე წრეში კიდევ ერთ ესპანელთან - **დავიდ ფერერთან** შეხვედრის უფლება მისცა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევროჩელენჯი


რამდენიმე წამის წინ არმიამ პირველ ევროგამარჯვებას მიაღწია


ჯერემი რიჩარდსონმა გადამწყვეტ მეოთხედში 9 ქულა მიითვალა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

« მე-12 გვერდიდან

წაგება არ შეიძლებოდა. გამოუცდელობამაც იჩინა თავი. თუმცა მომდევნო შეხვედრის წინ თავდაჯერება შეგვემატა და ვიმედოვნებ, უკეთესადაც ვითამაშებთ.

გამარჯვებული მწვრთნელი მეტოქესაც შეეხო:

- მესმოდა რეპლიკები, თითქოს, „გოტინგენი“ არასერიოზული მეტოქეა. ამის საფუძვლად გუნდის გერმანიის ჩემპიონატში გამოსვლა სახელდებოდა. თუმცა რეალურად რა ძალისაა „გოტინგენი“, ყველამ კარგად დავინახეთ. მის დასამარცხებლად დიდი შრომა დაგვჭირდა.

ქართველთა კაპიტანმა **ზვიად ბაბიაშვილმა** გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა და გამარჯვება მიულოცა:

- საინტერესო შეხვედრა გამოდგა და დაძაბულობა ბოლომდე გაჰყვა. გადამწყვეტ მომენტში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

მოვუსმინოთ მატჩის ბომბარდირ **სანდიატა გაინსს**:

- წინასწარ ვიცოდით, რომ ძლიერ მეტოქესთან გვქონდა საქმე. „გოტინგენმა“ მართლაც კარგად ითამაშა, თუმცა ჩვენც სათანადოდ გავისარჯეთ. მეოთხე პერიოდში, როცა შეხვედრის ბედი წყდებოდა, ზუსტად ვისროლეთ და შედეგი ამან განაპირობა. ახლა მომდევნო მატჩზე უნდა ვიფიქროთ, შემდეგ სამშაბათს „ბეშიქთაში“ გველის. ვფიქრობ, მეორე შეხვედრას პირველზე უკეთ ჩავატარებთ.

გერმანელთა დამრიგებელი **სტეფან მიენაკი** ძირითადად ქართულ გუნდზე ლაპარაკობდა:

- თბილისში ძლიერი მეტოქე დაგვხვდა, ატმოსფეროც შესანიშნავი იყო. ჩვენც მაქსიმუმი გავაკეთეთ და ვფიქრობ, საინტერესო თამაში გამოვიდა. გადამწყვეტი როლი ითამაშეს არმიელთა სნაიპერებმა ჯერემი რიჩარდსონმა და სანდიატა გაინსმა. ბოლო მომენტში მათი შეჩერება ვერ მოვახერხეთ. ამ წაგებით დაკარგული არაფერია, ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდები არიან შეკრებილნი და არავინ იცის, მომდევნო მატჩებში მოვლენები როგორ განვითარდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


სანდიატა გაინსი (№24) 24 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა

## ქრონოლოგია

### არმია–გოტინგენი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 09:17 | მაფრა 2ქ (0:2) |
| 08:31 | მაფრა 2ქ (0:4) |
| 07:41 | რიჩარდსონი 2ქ (2:4) |
| 07:16 | რიჩარდსონი 1ქ (3:4) |
| 06:48 | გაინსი 2ქ (5:4) |
| 06:34 | სონდერსი 3ქ (5:7) |
| 05:28 | ტომასი 2ქ (7:7) |
| 05:08 | ტომასი 2ქ (9:7) |
| 04:50 | სონდერსი 2ქ (9:9) |
| 04:26 | დიასი 2ქ (11:9) |
| 04:05 | დიასი 2ქ (13:9) |
| 03:45 | შელზომი 2ქ (15:9) |
| 03:16 | აჰელეგბე 3ქ (14:12) |
| 02:07 | ჰორნი 2ქ (14:14) |
| 02:05 | გაინსი 3ქ (17:14) |
| 01:33 | შელზომი 1+1 (19:14) |
| 01:13 | გაინსი 2ქ (21:14) |
| 00:08 | ტომასი 1+1 (23:14) |
| **II პერიოდი** | |
| 09:49 | ბოისა 2ქ (25:14) |
| 09:30 | დეილი 3ქ (25:17) |
| 08:50 | მაფრა 2ქ (25:19) |
| 07:48 | ჰორნი 1ქ (25:20) |
| 07:33 | გაინსი 3ქ (28:20) |
| 07:13 | მაფრა 1+1 (28:22) |
| 06:45 | მაფრა 2ქ (28:24) |
| 06:19 | ჰორნი 2ქ (28:26) |
| 05:24 | დიასი 1+1 (30:26) |
| 04:46 | გაინსი 3ქ (33:26) |
| 04:15 | დიასი 3+1ქ (37:26) |
| 03:52 | სონდერსი 3ქ (37:29) |
| 03:25 | ტომასი 2ქ (39:29) |
| 03:09 | ჰორნი 3ქ (39:32) |
| 02:22 | რიჩარდსონი 2ქ (41:32) |
| 01:53 | გაინსი 1+1 (43:32) |
| 00:32 | მაფრა 2ქ (43:34) |
| **III პერიოდი** | |
| 09:00 | მაფრა 2ქ (43:36) |
| 08:43 | რიჩარდსონი 3ქ (46:36) |
| 08:25 | მაფრა 2ქ (46:38) |
| 07:42 | აჰელეგბე 2ქ (46:40) |
| 06:44 | ჰორნი 3ქ (46:43) |
| 04:33 | შელზომი 2ქ (48:43) |
| 02:50 | შელზომი 2ქ (50:43) |
| 02:45 | საიკსი 1+1 (50:45) |
| 02:14 | საიკსი 2ქ (50:47) |
| 01:53 | გაინსი 3ქ (53:47) |
| 00:50 | ტომასი 2ქ (55:47) |
| 00:14 | ჰორნი 1ქ (55:48) |
| 00:00 | ტომასი 2+1 (58:48) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:50 | აჰელეგბე 2ქ (58:50) |
| 09:50 | ბოისა 1+1 (60:50) |
| 09:27 | ჰორნი 2ქ (60:52) |
| 08:40 | შელზომი 2ქ (62:52) |
| 07:58 | ჰორნი 2ქ (62:54) |
| 07:49 | რიჩარდსონი 2ქ (64:54) |
| 06:46 | საიკსი 2ქ (64:56) |
| 06:15 | გაინსი 2ქ (66:56) |
| 04:56 | დეილი 3ქ (66:59) |
| 04:22 | ტომასი 2ქ (68:59) |
| 04:18 | მაფრა 2ქ (68:61) |
| 03:55 | რიჩარდსონი 3ქ (71:61) |
| 03:41 | სონდერსი 3ქ (71:64) |
| 03:13 | ტომასი 1+1 (73:64) |
| 03:02 | ჰორნი 3ქ (73:67) |
| 02:34 | დეილი 2ქ (73:69) |
| 02:15 | რიჩარდსონი 2ქ (75:69) |
| 01:53 | დეილი 1+1 (75:71) |
| 01:14 | გაინსი 3ქ (78:71) |
| 00:59 | ტომასი 1ქ (79:71) |
| 00:47 | სონდერსი 2ქ (79:73) |
| 00:19 | გაინსი 1ქ (80:73) |
| 00:17 | ჰორნი 3ქ (80:76) |
| 00:14 | რიჩარდსონი 1+1 (82:76) |